

# საქართველო პარტიალი



1989



პასუხისმგებელი მდივანი

გელა ბერძენიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ალექსიძე

ანზი არსენაშვილი

(მეცნიერ-რედაქტორი)

ანდრე ბაბიანი

სოთა გორგოძე

აკაკი კარანაძე

დურგინიან ლორია

ვასტანო რაზმაძე

გრიგოლ რთინიშვილი

თამაზ შავჭავჭავაძე

ვიქტორ შარაშენიძე

ირაკლი ჩიქოვანი

სერგო ჯორჯაძე

Ответственный секретарь

Бердзенишвили Г. Д.

Редакционная коллегия:

Алексидзе Л. А.

Арсанашвили А. Г.

(научный редактор)

Габияни А. А.

Горгодзе Ш. В.

Джорбенадзе С. М.

Каранадзе А. Г.

Лория Д. А.

Размадзе В. А.

Роинишвили Г. В.

Чиковани И. П.

Шавгулидзе Т. Г.

Шарашенидзе В. А.



# საჭმომთა სამარტმადი

**№ 2**

მარტი  
 აპრილი

1989 წელი

შუბნალი მარტმადის 1989 წლის 1 მარტიდან

**საქართველოს სსრ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების,  
 რესპუბლიკის პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს  
 მეცნიერულ-პრაქტიკული შუბნალი**

## შ ი ნ ა პ რ ს ი

### განვინილავთ პროქტს

დ. სულაქველიძე — მეცნიერული აზრის სამსჯავროზე	3
ა. კვიციანი, ი. კრასიკოვი — საჭიროა საფუძვლები კიდევ უფრო დაიხვეწოს შენიშვნები და წინადადებები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტზე	11 15

### იურიდიული საორველთაო წავალავა

ი. იაკოვლევი, ა. ნიკიტინი — რატომ ვერ „შეეწყო“ სკოლას სამართლებრივი კურსი	29
---	----

### ქალთა საერთაშორისო დღისადმი

ა. არსენაშვილი — სიყვარულით არჩეული გზა	35
ზ. მარტიაშვილი — სახელმწიფო ნოტარიუსი მილიციის მაიორი	37 38

### თეორიის საკითხები

ო. გამყრელიძე — დანაშაულის ჩადენის ადგილის ცნებისათვის	40
--	----

### სოციოლოგიური კვლავა

ა. გაბიანი — ქალთა შორის ვენერიულ სნეულებათა გავრცელების კონკრეტულ-სო- ციოლოგიური გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი	46
--	----

### პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში

ქ. ლუაშვილი — წერილმანი ხულიგნობის გამიჯვნა დანაშაულებრივი ხულიგნობისაგან	49
---	----

### დავით აღმაშენებელი—900

გ. ნადარეიშვილი — სახელმწიფო და სამართალი, სოციალური წყობილება და კულტურა დავით აღმაშენებლის საქართველოში	57 64
მხოლოდ ციფრები დანიშვნა	66

### ჩვენი ენა, ქართული!

ლ. ქანტურია — ერთი ტერმინის მოკლე განმარტება	67
--	----

### წნეობა

რ. მამალაძე — პატივი ვცეთ ტრადიციებს	69
--------------------------------------	----

### განსვენება

გიორგი ლახურაშვილი	71
ინფორმაცია	72

### კრიმინალისტიკის ისტორიიდან

ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები	75
------------------------------------	----









# მეცნიერული აზრის სამსჯავროზე

19/03

ქვეყნის სამართლებრივი სისტემის არსებითი ნაწილია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელიც პირდაპირ და უშუალო შეხებაშია ადამიანის ისეთ უმნიშვნელოვანეს და სათუთ ინტერესებთან, როგორცაა სიცოცხლე, თავისუფლება, პატივი და ღირსება. თანადროული სისხლის სამართლის კანონმდებლობა სამართლიანად ითვლება ნებისმიერი ცივილიზებული საზოგადოების კულტურულ მონაპოვრად და ამ საზოგადოების ერთგვარ სავიზიტო ბარათს წარმოადგენს. ამიტომ სრულიად ბუნებრივი და გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელიც ფართო საზოგადოებრიობამ გამოიჩინა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის პრესაში გამოქვეყნებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტისადმი. ამ დოკუმენტის ირგვლივ აზრთა ურთიერთგაზიარება და პოლემიკა დღესაც გრძელდება.

მიუხედავად იმ დიდი მნიშვნელობისა, რომელიც გამოქვეყნებულ საკანონმდებლო პროექტს გააჩნია, ობიექტურობა და საზოგადოებრივი ინტერესები მოითხოვს აღინიშნოს, რომ იგი ჯერ კიდევ ვერ არის სრულყოფილი. მას აშკარად ემჩნევა ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური აპარატის ზეგავლენის დამლა, რითაც უკანასკნელ პერიოდში მიღებული დიდმნიშვნელოვანი კანონებისა და სხვა საკანონმდებლო პროექტების საერთო ხვედრი გაიზიარა. ამ გარემოებამ განაპირობა საქართველოს იურიდიული საზოგადოებრიობის ქმედითი პოზიცია საფუძვლების პროექტის\* მიმართ მისი განხილვის პროცესში.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს წინადადებით ჩამოყალიბდა საფუძვლების პროექტის შემსწავლელი მენციერ-იურისტთა სპეციალური კომისია, რომელიც ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა პროექტზე. კომისიის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრამ აღნიშნული კომისიის მუშაობის პროცესში მუხლობრივი განხილვის შედეგად შეიქმნა საკმაოდ ვრცელი დოკუმენტი. მასში საფუძვლების პროექტის მიმართ წარმოდგენილია სოლიდური რაოდენობის, მეცნიერებისა და პრაქტიკის თვალსაზრისით თვისობრივად მაღალი დონის შენიშვნები, შესწორებები და საკანონმდებლო წინადადებები, რომლებშიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის მეცნიერების უკანასკნელი ოცდაათწლიანი პერიოდის მიღწევები, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით თვით განსახილველი საფუძვლების პროექტის მიმართ.

გადაწყდა, რომ ზემოხსენებული კომისიის მიერ შემუშავებული შენიშვნები და წინადადებები დემოკრატიზმისა და საჯაროობის პრინციპების დაცვით გამოტანილი ყოფილიყო განსახილველად გაცილებით ფართო სამსჯავროზე. ამ მიზნით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამართლის პრობლემების შემსწავლელი სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივით 1989

\* აქაც და შემდეგაც შემოკლების მიზნით დაეწერა მხოლოდ „საფუძვლებს“.

საქ. სსრ კ. მარქისის  
სახ. სახ. რესპუბ.



წლის 17 თებერვალს სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრში ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი იყვნენ ცენტრის თანამშრომლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, უმაღლესი სასამართლოს, რესპუბლიკის პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ადვოკატთა კოლეგიისა და ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციის თანამშრომლები. კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს ტელევიზიის წარმომადგენლები, რომლებმაც ფირზე აღბეჭდეს მისი მსვლელობა.

კონფერენცია გახსნა სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა თ. შავგულიძემ. მან აღნიშნა, რომ უკვე ორი თვეა მიმდინარეობს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის ცხოველი განხილვა. ამ მოვლენას აქვს სასიცოცხლო მნიშვნელობა როგორც სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობისათვის, ისე ყოველი მოქალაქისათვის. როგორი იქნება სამართლებრივი სახელმწიფო და პიროვნების მდგომარეობა ამ სახელმწიფოში ეს ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა დონის სისხლის სამართლის კანონმდებლობა გვექნება. ამიტომ ყოველი მეცნიერისა და პრაქტიკოსი იურისტის მოქალაქეობრივი ვალია თავისი წვლილი შეიტანოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარებასა და სრულყოფაში. მომხსენებელი შეეხო მეცნიერ-იურისტთა კომისიის მუშაობას და მოკლედ გააცნო კონფერენციის მონაწილეებს ამ კომისიის მიერ საფუძვლების პროექტის თაობაზე შედგენილი დოკუმენტის შინაარსი. შემდეგ მომხსენებელმა წარმოადგინა თავისი შენიშვნები და წინადადებები საფუძვლების პროექტის მიმართ. უწინარესად მან დასვა სისხლის სამართლის სფეროში საკავშირო სახელმწიფოსა და მოკავშირე რესპუბლიკას შორის საკანონმდებლო კომპეტენციების გამიჯვნის საკითხი. კერძოდ, მიუთითა, რომ საფუძვლების პროექტის პირველი მუხლის მეორე პუნქტი აშკარად უკანონოდ ზღუდავს მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და საკავშირო კონსტიტუციით საკანონმდებლო საქმიანობის სფეროში მისთვის მინიჭებულ უფლებებს. ამიტომ ხსენებული პუნქტი საფუძვლებიდან ან ამოღებული უნდა იყოს ანდა არსებითად გადაამუშავდეს მისი ტექსტი. პროფ. თ. შავგულიძე შეეხო ნასამართლობასთან დაკავშირებულ საკითხებს. მან მიუთითა, რომ ნასამართლობის ის ინსტიტუტი, რომელიც მოქმედ კანონმდებლობაშია, გაუმართლებლად ზღუდავს სოციალურად და პოლიტიკურად არა მარტო უშუალოდ დამნაშავეს, არამედ მისი ოჯახის წევრებსაც, რომლებსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე მოუცილებელ შავ ლაქად მიჰყვებათ როგორც საკუთარი, ისე თავისი ახლობლის ნასამართლობა. მან დააყენა წინადადება, რომ ნასამართლობა წარმოიშვეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავემ სასჯელი მოიხადა გამასწორებელი სამუშაოების ან თავისუფლების აღკვეთის სახით, საფუძვლების პროექტში შემოტანილი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი ახალი გარემოებების გამო პროფ. თ. შავგულიძემ აღნიშნა, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნება საფუძვლებში არსებობდეს ზოგადი ხასიათის ნორმა მართლზომიერი რისკის თაობაზე, რომელიც გაითვალისწინებს არამარტო პროფესიულ და სამეურნეო რისკს,



არამედ ნებისმიერ სხვა შემთხვევასაც, როცა კი ადამიანი გამართლებული რისკის ფარგლებში მოქმედებდა. თავისი გამოსვლის ბოლოს მან წამოაყენა საკანონმდებლო წინადადება, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში და სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში უნდა შევიდეს სპეციალური ნორმა, რომლითაც დადგენილი იქნება, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, აგრეთვე აფექტში ჩადენილი დანაშაული ისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში სპეციალურადაა გათვალისწინებული.

კონფერენციაზე გამოსვლისას პროფესორმა გ. ტყეშელიაძემ აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის შედგენასა და გამოქვეყნებას წინ უსწრებდა სისხლის სამართლის კოდექსის თეორიული მოდელის გამოცემა, რომელიც შეიცავს მრავალ, თვისობრივად გაუმჯობესებულ და დასაბუთებულ დებულებას.\* სამწუხაროდ, ყოველივე ამან ჯეროვანი ასახვა ვერ პოვა საფუძვლების პროექტში, რაც ფრიალ ძნელი ასახსნელია. საფუძვლების პროექტში გათვალისწინებული არ არის აგრეთვე ბევრი კარგი დებულება, რომლებსაც შეიცავენ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები, მათ შორის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი.

მომხსენებელმა მიუთითა, რომ წარმოდგენილ პროექტში საფუძვლებს წინ უძღვის პრეამბულა. ამგვარი წინამძღვარი მას გამართლებულად მიაჩნია, ოღონდ მისი აზრით პრეამბულა საჭიროებს აზრობრივ დახვეწასა და გამართვას. ვინაიდან სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მოქმედება გათვალისწინებულია ხანგრძლივი პერიოდისათვის, ამიტომ პრეამბულაში ფრაზა „სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება“ მიზანშეწონილია შეიცვალოს ფრაზით „სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირება“. იგი შეეხო აგრეთვე საფუძვლებში ზოგადი პრინციპების შეტანის მიზანშეწონილობას. ზოგიერთი კრიმინალისტიკის მოსაზრების საწინააღმდეგოდ მას საჭიროდ მიაჩნია ზოგადი პრინციპების არსებობა საფუძვლებში, ოღონდ იქვე უნდა იყოს გახსნილი თითოეული პრინციპის შინაარსი.

პროფესორმა გ. ტყეშელიაძემ ყურადღება გაამახვილა სხვა საკითხებზეც. მან წამოაყენა წინადადება, რომ საფუძვლების პროექტის მე-8 მუხლში, სადაც დანაშაულის ცნებაში მოცემულია იმ ობიექტების ჩამონათვალი, რომლებსაც ხელყოფს დანაშაული, სულ წინა პლანზე უნდა გადმოვიდეს პიროვნება, ხოლო მას უნდა მოსდევდეს სხვა ობიექტების დასახელება. ეს იქნება სისხლის სამართლის კანონმდებლობაში საბჭოთა სახელმწიფოს თანამედროვე პოლიტიკის გამოხატულება, რომელმაც სრული შემობრუნება გააკეთა აბსტრაქტული ღირებულებებიდან ადამიანისა და მისი ინტერესებისაკენ. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ საფუძვლების პროექტის 22-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემულია დანაშაულის რეციდივის ცნება. კანონმდებლის ასეთი პოზიცია მისაღებია, ოღონდ ნაკლი იმაშია, რომ კანონპროექტი რეციდივის არავითარ იურიდიულ შედეგებს არ უკავშირებს. რეციდივის კატეგორიის არსებობა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მისი თანხლები იურიდიული შედეგების გარეშე ყოველგვარ აზრს კარგავს. აქედან გამომდინარე, ან ამოღებული უნდა იქნას საფუძვლების პროექტიდან რეციდივის ცნება, ანდა თუ

\* Уголовный закон. Опыт теоретического моделирования, М., 1987,



დარჩება, უნდა განისაზღვროს მასთან დაკავშირებული იურიდიული შედეგებიც.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის მიმართ რამდენიმე შენიშვნა გამოთქვა მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. კვაშილავამ. მისი აზრით, საფუძვლების პროექტის მე-4 მუხლის პირველ პუნქტში მოცემული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლის ცნება საჭიროებს სრულყოფას. მის ტექსტში ხმარებული ფრაზა — „...რომელიც შეიცავს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანს...“ უნდა შეიცვალოს ფრაზით — „...რომელიც შეიცავს დანაშაულის ყველა ნიშანს...“ ამით უფრო ნათელი და გასაგები გახდება კანონმდებლის აზრი, როგორც პრაქტიკოსი იურისტისათვის, ისე რიგითი მოქალაქისათვის. რაც შეეხება დანაშაულის შემადგენლობის ცნებას, იგი ჭეშრაც სადაო საკითხია სისხლის სამართლის თეორიაში და არ არსებობს ერთიანი თვალსაზრისი მისი შინაარსის შესახებ. მისი შეტანა მოქმედ კანონმდებლობაში სირთულეებს გამოიწვევს სასამართლო პრაქტიკაშიც. ა. კვაშილავამ აზრი გამოთქვა აგრეთვე საფუძვლების პროექტის მე-3 მუხლის მიმართ, კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ამ მუხლში მოცემული პრინციპების ჩამოთვლა უნდა იყოს ამომწურავი. ჩამოთვლა თუ ამომწურავი არ იქნება, მაშინ ხსენებულ მუხლს სათაური უნდა შეეცვალოს ასეთი შინაარსით — „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები“. გამომსვლელმა ისაუბრა აგრეთვე სხვა პრობლემურ საკითხებზეც.

ფრიად პრინციპულ საკითხებს შეეხო თავის გამოსვლაში იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ო. გამყრელიძე**. მან საკანონმდებლო წინადადების სახით გამოთქვა მოსაზრება, რომ საფუძვლების პროექტში შეტანილი უნდა იქნას სპეციალური ნორმა, რომელშიც აღინიშნება: სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების განვითარება და მასში დამატებების შეტანა შეუძლიათ მოკავშირე რესპუბლიკებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საფუძვლების პრინციპებსა და სულისკვეთებას. ავტორის აზრით, ასეთი ნორმა სრულიად შეესაბამება მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის გაფართოების ტენდენციას, რომელიც ამჟამად აშკარად ვლინდება საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკაში. მომხსენებელმა დააყენა საკითხი იმის თაობაზე, რომ საფუძვლების პროექტიდან ამოსაღებია პრეამბულა, აგრეთვე მე-3 მუხლი, სადაც პრინციპების ჩამოთვლაა მოცემული. აღნიშნული ნაწილები სრულიად ზედმეტია, ვინაიდან ისინი არაფერს არ იძლევიან პრაქტიკისათვის. თუკი საფუძვლებში მე-3 მუხლი მაინც დარჩება, მაშინ იგი მხარს უჭერს ა. კვაშილავას წინადადებას, რომლის მიხედვით პრინციპების ჩამოთვლა უნდა იყოს ამომწურავი.

**ო. გამყრელიძე**მ შენიშვნა გამოთქვა საფუძვლების პროექტის მე-8 მუხლის მიმართ. მისი აზრით, დანაშაულის ცნების განსაზღვრებიდან ამოსაღებია ხელყოფის ობიექტების ჩამოთვლა, რადგან ხელყოფის ობიექტები მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში. ვინაიდან საფუძვლები კოდექსის ზოგად ნაწილს წარმოადგენს, მე-8 მუხლის შინაარსი ქმნის არასაჭირო განმეორებას, რაც გაუმართლებელია იურიდიული ტექნიკიდან გამომდინარე მოსაზრებებით. მომხსენებელმა აზრი გამოთქვა იმის თაობაზე, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში უნდა განისაზღვროს



დანაშაულის ჩადენის ადგილის ცნება. სისხლის სამართლის მეცნიერებაში თანამედროვე ეტაპზე ჩამოყალიბებული შეხედულებებიდან გამომდინარე იგი თვლის, რომ დანაშაულის ჩადენის ადგილად უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი ტერიტორია, თუ სივრცის ის ნაწილი, სადაც კი დანაშაულის შემადგენელი თუნდაც ერთი აქტი მაინც იქნა განხორციელებული. თანამონაწილეობის საკითხებზე მსჯელობისას ო. გამყრელიძემ ყურადღება გაამახვილა პირთა ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენაზე. მან ჩამოაყალიბა ნორმის შინაარსი, რომელიც უნდა დაემატოს საფუძვლების პროექტის მე-17 მუხლს. მასში განსაზღვრულია თუ რა შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაული პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილად. იგი შეეხო აგრეთვე სასჯელების დაწესების სფეროში საკავშირო სახელმწიფოსა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპენტენციების გამიჯვნასა და ზოგიერთ სხვა საკითხებს.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. კვიციანიამ თავის გამოსვლაში წარმოაჩინა დანაშაულთა კლასიფიკაციის პრობლემა. მისი აზრით, საფუძვლების პროექტის მე-9 მუხლში მოცემულ დანაშაულთა კატეგორიებად დაყოფა მოითხოვს დახვეწას, სახელდობრ ამ მუხლის პირველი პუნქტი არ არის კონკრეტული, არ არის ნათლად გარკვეული იმ დანაშაულის არსი, რომელიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს. დანაშაულთა კლასიფიკაცია უნდა შეიცავდეს კონკრეტულ განსაზღვრებებს, ამავე დროს დანაშაულთა კლასიფიკაციის დადგენა მხოლოდ საკავშირო კანონმდებლის პრეროგატივას უნდა წარმოადგენდეს. მან საფუძვლების პროექტის ნაკლად მიიჩნია ისიც, რომ მასში არააჩვენებია არის წარმოდგენილი და გადაწყვეტილი დანაშაულთა სიმრავლის საკითხები.

დანაშაულის შემადგენლობისა და ბრალის საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის დოცენტმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ნაჭყემაძემ. მან მიუთითა, რომ ვიდრე ვიმსჯელებდეთ დანაშაულის შემადგენლობაზე, როგორც პასუხისმგებლობის საფუძველზე, მანამდე დასადგენია თვით პასუხისმგებლობის ცნება, მაგრამ, სამწუხაროდ, იურიდიულ მეცნიერებაში ეს პრობლემა ჯერჯერობით გადაუწყვეტელია. ზოგიერთი კრიმინალისტის მიერ გამოთქმული მოსაზრებების წინააღმდეგ მას მიაჩნია, რომ პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველია დანაშაულის შემადგენლობა და რომ ამ უკანასკნელმა თავისი კანონიერი ადგილი უნდა დაიმკვიდროს მოქმედ კანონმდებლობაში. ბრალზე მსჯელობისას გ. ნაჭყემაძე მიუთითა, რომ საფუძვლების პროექტის მე-8 მუხლში ბრალი შეტანილია დანაშაულის ცნებაში, როგორც მისი ნიშანი. მისი აზრით, ეს არამართებულია, რადგან ასეთ შემთხვევაში დასტურდება საზოგადოებრივი საშიშროების არსებობა ბრალის გარეშეც, რის გამოც საზოგადოებრივი საშიშროება შეფასებითი კატეგორიიდან ფაქტად იქცევა. აღნიშნულიდან გამომდინარე მან შეიტანა წინადადება, რომ ბრალი ამოღებული იქნას დანაშაულის ცნებიდან. შემდეგ გ. ნაჭყემაძე შეეხო პირდაპირი და ევენტუალური განზრახვის გამიჯვნის პრობლემებს, გამოთქვა საკანონმდებლო წინადადებები ამის თაობაზე. დაბოლოს, შეეხო რა სისხლისსამართლებრივი სასჯელის დანიშნულებას, აღნიშნა, რომ სასჯელს ვუსაზავთ ისეთ მიზნებს, რომ-



ლებსაც ის ვერ შეასრულებს, ამიტომ საფუძვლების პროექტის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსი სერიოზულ გადასინჯვას მოითხოვს.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა კ. ქამხაძემ დააყენა სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. იგი თვლის, რომ სასჯელის ზოგად საწყისებში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ბრალის ხარისხი, ეს ხელს შეუწყობს სასამართლოს უფრო სრულფასოვნად განახორციელოს სასჯელის ინდივიდუალიზაცია დამნაშავეს მიმართ. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ შესწორებას მოითხოვს საფუძვლების პროექტის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ პუნქტის შინაარსი. აქ ლაპარაკია დანაშაულის ჩადენაზე მატერიალურად, სამსახურებრივად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ, მაგრამ არაფერია აღნიშნული იმის თაობაზე, რომ დანაშაული ჩადენილი უნდა იყოს აქ მოხსენიებული დამოკიდებულების გამოყენებით. მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების მხოლოდ არსებობა დამნაშავესა და დაზარალებულს შორის თავისთავად არაფერს არ წყვეტს, თუკი ამგვარი დამოკიდებულება უშუალოდ არ იყო გამოყენებული დანაშაულის ჩასადენად. მისი აზრით, საფუძვლების პროექტის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ პუნქტი ასე უნდა ჩამოყალიბდეს: „დანაშაულის ჩადენა სხვა პირის მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით“. კ. ქამხაძემ მხარი დაუჭირა დოცენტ გ. ნაკყებიას მოსაზრებას, რომ სასჯელის მიზანი არ შეიძლება იყოს დამნაშავეს ხელახალი აღზრდა და გამოსწორება; ვინაიდან ამგვარი ამოცანის შესრულების შესაძლებლობა მას არ გააჩნია და არც შეიძლება ჰქონდეს.

ფრიად აქტუალური საკითხები დასვა კონფერენციაზე იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა დ. ჯულუხაძემ. ისინი პირდაპირ ასახავენ იმ მნიშვნელოვან პროცესებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარეობს. მან წამოაყენა საკანონმდებლო წინადადება, რომ შეიზღუდოს დასჯადი დაფარვის ფარგლები, დადგინდეს პასუხისმგებლობა მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა დაფარვისათვის სისხლის სამართლის კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში. რაც შეეხება პასუხისმგებლობას დანაშაულის განუცხადებლობისათვის, იგი საერთოდ გასაუქმებელია, ვინაიდან აშკარად ეწინააღმდეგება სოციალისტურ მორალს, უარყოფით ზეგავლენას ახდენს პიროვნების ფორმირებაზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საზოგადოებრივი აზრი აშკარად უარყოფითადაა განწყობილი „დამსმენის“ რეპუტაციის მიმართ. დ. ჯულუხაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ვერ დაეთანხმება სასჯელის ისეთი ახალი სახის შემოტანას, როგორცაა პატიმრობა. ეს უკანასკნელი დადგენილია შედარებით მსუბუქი დანაშაულის ჩამდენის მიმართ, რომელიც ითვალისწინებს მსჯავრდებულისათვის თავისუფლების აღკვეთას ერთიდან სამ თვემდე ვადით მკაცრი იზოლაციის პირობებში, რაც ყოველგვარ ლოგიკას ეწინააღმდეგება. მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ის, რასაც სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ადასტურებს, სახელდობრ, მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა არ ამართლებს, იგი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების მიღწევას. ამავე დროს კანონმდებლობაში გვაქვს გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვა რეჟიმით. ასეთ ვითარებაში პატიმრობა სასჯელთა სისტემაში უსარგებლო დანამატად გამოიყურება. მომხსენებლის აზრით სრულიად გაუმართლებელია ის, რომ საფუძვლების პროექტში არ არის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გან-



თავისუფლება ვითარების შეცვლის შედეგად. ნორმა, რომელიც პიროვნებას ათავისუფლებს ვითარების შეცვლის გამო, დღესაც კარგად ასრულებს თავის ფუნქციის მოქმედ კანონმდებლობაში. მით უფრო გაუმართლებელია ამ ნორმის ამოღება მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრება დინამიური ხდება, ხოლო ურთიერთსაპირისპირო სიტუაციები და ვითარებები სწრაფად ცვლიან ერთმანეთს. ამიტომ აუცილებელია საფუძვლების პროექტში აღდგეს ნორმა ვითარების შეცვლის შედეგად პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების თაობაზე, აღნიშნა დასასრულს მომხსენებელმა.

დანაშაულთან შემხებლობის საკანონმდებლო რეგლამენტაციის საჭირობოროტო პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის სწავლულმა მდივანმა რ. ბაქანიძემ. გარდა დაფარვისა და განუცხადებლობისა დანაშაულთან შემხებლობა შეიძლება გამოიხატებოდეს აგრეთვე მიმნებებლობაშიც, როდესაც პირს ევალებოდა აღეკვეთა დანაშაულებრივი ქმედობა, მაგრამ არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა. იმის გამო, რომ კანონმდებლობაში არ არის ფორმულირებული მიმნებებლობის ცნება, გამოძიებისა და მართლმსაჯულების ორგანოებს უჭირთ ამ უკანასკნელის გამიჯვნა თანამონაწილეობისაგან. ზშირია შემთხვევა, როდესაც მიმნებებელს სჯიან როგორც დანაშაულის თანამონაწილეს. ეს კანონიერების უნეში დარღვევაა, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში არის სათანადო ნორმები, რომლითაც უნდა აგოს პასუხი მიმნებებელმა. რ. ბაქანიძემ წამოაყენა წინადადება — სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში დანაშაულის დაფარვის განსაზღვრების შემდეგ ჩამოყალიბდეს სპეციალური ნორმა დანაშაულის მიმნებებლობის შესახებ, ისეთივე შინაარსით, როგორც ის მოცემულია მოდალური სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხელში\*.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტში მოცემული დანაშაულის მცდელობისა და დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტების ანალიზი წარმოადგინა კონფერენციაზე ამ სტრიქონების ავტორმა. აღინიშნა, რომ მათი განმსაზღვრელი ცნებები შეიცავენ მთელ რიგ ნაკლოვანებებს, რომლებიც ქმნიან თეორიული ხასიათის წინააღმდეგობებსა და ამასთანავე ხელს უშლიან სასამართლო პრაქტიკის მართებულად წარმართვას. ყურადღება მიექცა იმასაც, რომ ერთობ გაუგებარია საფუძვლების პროექტის ავტორთა პოზიცია, რომლებმაც მთლიანად აუქციეს გვერდი თანამონაწილეების მიერ დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკანონმდებლო რეგლამენტაციას. მოხსენებაში გამოითქვა დასაბუთებული საკანონმდებლო წინადადებები ახალ კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული პრობლემების მოწესრიგებისათვის. გამოთქმული იყო აგრეთვე რამდენიმე მოსაზრება საფუძვლების პროექტში ჩამოყალიბებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემისა და გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის საკანონმდებლო რეგლამენტაციის თაობაზე, მათი გაუმჯობესებისა და დახვეწის თვალსაზრისით.

მთლიანად სიკვდილით დასჯის პრობლემას დაუთმო თავისი სიტყვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრმა ა. ხონიაკი-ნამ. მან აღნიშნა ზოგიერთი გარემოება, რის გამოც ვერ იზიარებს იმ პოზი-



ციას, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევს, რომ მოსამართლეს უფლება მიეცეს თვითონვე შეუცვალოს მსჯავრდებულს სიკვდილით დასჯა თავისუფლების აღკვეთით. ეს ფაქტობრივად ნიშნავს მოსამართლისათვის შეწყალების უფლებამოსილების მინიჭებას. გამოხატა რა თავისი პოზიცია ამ უსასტიკესი სასჯელის მიმართ ა. ხონიაკინამ მიუთითა, რომ ის პრინციპულად წინააღმდეგია მოქმედ კანონმდებლობაში სიკვდილით დასჯის შენარჩუნებისა. საერთოდ, სიკვდილით დასჯის საკითხმა დიდი ინტერესი გამოიწვია კონფერენციაზე გამოიკვეთა ორი ურთიერთსაპირისპირო პოზიცია. კონფერენციის მონაწილეთა ერთმა ნაწილმა საერთოდ უარყო სიკვდილით დასჯის მიზანშეწონილობა როგორც ეთიკურ-ჰუმანიტური, ისე წმინდა პრაქტიკული მოსაზრებებით. მათმა ოპონენტებმა კი შესაძლებლად მიიჩნიეს სიკვდილით დასჯის შენარჩუნება მხოლოდ ერთადერთი დანაშაულისათვის, ეს არის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობა. მიუხედავად პოლემიკის უკომპრომისო ხასიათისა, ერთ ფრიად ანგარიშგასაწევ გარემოებას ყველა ერთსულოვნად აღიარებდა, კერძოდ, იმას, რომ ყველაზე იდეალური სასამართლოც კი არ არის დაზღვეული შეცდომისაგან. ამის გამო სრულიად სარწმუნოა შესაძლებლობა იმისა, რომ სიკვდილით დასჯამ იმსხვერპლოს უდანაშაულო ადამიანი ან ისეთი დამნაშავე, რომელიც მკაცრ სასჯელს არ იმსახურებდა, რაც, სამწუხაროდ, დაადასტურა კიდევ საბჭოთა სასამართლო პრაქტიკამ.

კონფერენციის მუშაობის შედეგების შეჯამებისას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა საკითხი დასვეს სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის საერთო შეფასების თაობაზე. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ საფუძვლების პროექტი ბევრ ისეთ სიახლეს შეიცავს, რომელიც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ჰუმანიზაციისა და დემოკრატიზაციის ტენდენციებს ეხმიანება, მაგრამ მის გვერდით გვხვდება დასანანი შეცდომები და ხარვეზები, რომლებიც საკმაოდ ბევრია. განსახილველი კანონპროექტი დიდად სცოდავს იურიდიული ტექნიკის მხრივაც. ყოველივე ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იხილ იყოს, რომ საფუძვლების პროექტის შედგენაში არსებითად მონაწილეობა არ მიუღიათ ფართო სამეცნიერო საზოგადოებრიობის, საბჭოთა ადვოკატურისა და მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებს, რის გამოც ბევრი რამ გაუთვალისწინებელი დარჩა.

ცნობისათვის აღვნიშნავთ, რომ კონფერენციის დამთავრების შემდეგ შედგა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის მიმართ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების შემცველი შევსილი და გადამუშავებული დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი, რომელიც გაგზავნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიას (ამ დოკუმენტს მკითხველი იხილავს ამავე ნომერში. — რედ.). იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კანონმდებელი ამჯერად ქართველ მეცნიერ-იურისტთა მოსაზრებებსაც გაუწევს ანგარიშს, ხოლო ქვეყანა ისეთ იურიდიულ დოკუმენტს თიღებს, რომელიც სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ღირსების შესაფერისი იქნება.

დავით სულაქველიძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის მეცნიერი თანამშრომელი.



# საჭიროა საფუძვლები კიდევ უფრო დაიხვეწოს

აკოლონ კვიცინია,

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა  
კანდიდატი,

იური კარასიკოვი,

სსრ კავშირის დაუხსრებელი იურიდიული ინსტიტუტის დოცენტი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი ბევრ ისეთ სიახლეს შეიცავს, რომელთა განხორციელებაც კიდევ უფრო მეტად უზრუნველყოფს საბჭოთა ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, განამტკიცებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივ საფუძველს. ამ სიახლეთა უმრავლესობა ერთმანდ მისაღები და გასაზიარებელია, რადგან ისინი სერიოზულ სოციოლოგიურ და სისხლის სამართლებრივ გამოკვლევებს ეფუძნება. მაგრამ მათ შორის მინც შეიმჩნევა დებულებები, რომლებიც დაუსაბუთებლად და ნაჩქარევად მიგვაჩნია.

ჩვენს კანონმდებლობაში პირველადაა გათვალისწინებული დანაშაულის კლასიფიკაციის ნორმა და ამ საკითხის საკანონმდებლო წესით გადაწყვეტის იდეა თავისთავად მოსაწონია. სწორედ ამიტომ საფუძვლების პროექტის მე-9 მუხლის პირველ ნაწილში საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მიხედვით დანაშაული ოთხ სახეობად არის დაყოფილი და აქვე, ამავე მუხლში თითოეული სახეობა განპირობებულია მასში შემავალი დანაშაულის ჩადენისათვის შესაძლო სასჯელებით. ხომ არ ეწინააღმდეგება ასეთი რამ მე-9 მუხლის პირველ ნაწილში მოცემულ დანაშაულის კლასიფიკაციის კრიტერიუმს? ცხადია, რომ სასჯელი დანაშაულის შედეგია და მასში გამოიხატება დანაშაულის საშიშროება, თავისთავად კი სასჯელი არ განსაზღვრავს დანაშაულის საშიშროებას. ეს გამომდინარეობს პროექტის 42-ე მუხლიდან, სადაც ნათქვამია, რომ სამართლო სასჯელის დანიშვნის დროს ითვალისწინებს ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს. მიგვაჩნია, რომ ეს არათანამიმდევრობაა და ალბათ მას ყურადღება უნდა მიექცეს.

ჩვენი აზრით, დადგა დრო კანონმდებელმა განმარტოს თუ რა არის საზოგადოებრივი საშიშროება, რაში გამოიხატება მისი ხასიათი და მისი სახეობები, რა არის საზოგადოებრივი საშიშროების განსაზღვრის კრიტერიუმები. რამდენიმე წლის წინ ჩატარებულმა სახალხო მოსამართლეთა გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ მათი უმრავლესობა ამ ცნებების მიმართ გაუთვითცნობიერებელია (ეს ცნებები მოკმედ კანონმდებლობაშიც არის). მაშ რატომღა ვიმეორებთ შეცდომებს?

სოციალისტური სისხლის სამართლისათვის დამახასიათებელი დანაშაულის მატერიალური განსაზღვრის კონცეფცია საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ დანაშაულის სოციალური არსი. პროექტის საფუძვლები დანაშაულად თვლის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ და ბრალეულად ჩადენილ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობას. სისხლის სამართლის კანონმდებლობის სოციალურ მიმართულებაზე ლაპარაკია საფუძვლების პროექტის მე-2



მუხლში იქნებ აჯობებდა სისხლის სამართლის კანონმდებლობის სოციალურ მიმართულებაზე ყველაფერი საფუძვლების პირველ კარში გვეთქვა და აღარ გავვემეორებინა იგი მეორე კარში. სწორედ ასეა ეს საკითხი გადაწყვეტილი სამოქალაქო თუ სხვა სახის კანონმდებლობებში.

დანაშაულის მატერიალურ განსაზღვრაზე უარის თქმა არ ავნებს ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობის სოციალურ მიმართულებას, უფრო მეტიც, მას მისცემს თანმიმდევრულ ლოგიკურ სტრუქტურას. აღსანიშნავია, რომ ვერც მოქმედ კანონმდებლობაში და ვერც საფუძვლების პროექტში დანაშაულის მატერიალური განსაზღვრა ვერ პოულობს თავის რეალიზაციას სისხლის სამართლის ინსტიტუტებში. ასე მაგალითად: არ არის მოცემული დანაშაულის ჩადენის სტადიის, დანაშაულში თანამონაწილეობის, დანაშაულთა მრავლობითობის საზოგადოებრივი საშიშროება.

დანაშაულის კლასიფიკაციის საკითხთან დაკავშირებით გვინდა გამოვთქვათ რამდენიმე მოსაზრება.

**პირველ რიგში**, კლასიფიკაცია უნდა შეიცავდეს დანაშაულთა კონკრეტული სახეობების დალაგებას. ამ მიზნით, საჭიროდ ვთვლით ექსპერტების სახით მოვიწვიოთ სახალხო მოსამართლეები, რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, აგრეთვე საოლქო და საქალაქო სასამართლოების წევრები. დანაშაულთა დალაგება კატეგორიების მიხედვით შესაძლებელი იქნება მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების მიღების შემდეგ. მაშასადამე, დანაშაულთა კლასიფიკაციის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციაში უნდა შედიოდეს. მეორე, დანაშაულთა კლასიფიკაცია უნდა განსაზღვრავდეს არა მარტო პასუხისმგებლობის შესაძლო ფარგლებს, არამედ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან განთავისუფლების სახეობებს, სასჯელის შეცვლას უფრო მსუბუქი სასჯელით, ნასამართლობის გაქარწყლებას და მოხსნას, ამნისტიას და ა. შ. მესამე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზოგიერთ შემთხვევაში მიეცეთ სასამართლოებს დანაშაულთა ერთი ჯგუფიდან მეორეზე (უფრო ნაკლებად საშიშზე) გადაყვანის უფლება. დანაშაულთა მრავლობითობის შემთხვევაში სასამართლოს უფლება უნდა ჰქონდეს გადაიყვანოს ეს დანაშაული უფრო საშიშ კატეგორიაში (იმ ყველაზე უფრო საშიშ კატეგორიასთან შედარებით, რომელშიც იგი შედის). ასეთი წესი შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ ჩადენილ დანაშაულთა ყველაზე უფრო საშიშ სახეობებზე. ამასთან ერთად, თითოეული დანაშაულის გადაყვანა უფრო საშიშ კატეგორიაში დასაბუთებული უნდა იყოს სასამართლოს განაჩენში. დანაშაულის მრავლობითობისას პასუხისმგებლობის ასეთი ვაზრდა ხელს შეუწყობს კორუფციურებულ, ორგანიზებულ, პროფესიულ დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეს.

საფუძვლების პროექტის მე-20, 21-ე და 22-ე მუხლები ეთმობა დანაშაულთა ნაირსახეობებს. მოცემულია განმეორებითი დანაშაულის, დანაშაულთა ერთობლიობის, დანაშაულის რეციდივის განსაზღვრების პირველი ცდა. ამ ნოველების ყურადღებით წაკითხვისას ადვილად შეიმჩნევა მათში არსებული გამეორებები და წინააღმდეგობები, რაც განპირობებულია იმით, რომ პროექტში დანაშაულთა მრავლობითობა არათანმიმდევრულადაა გადაწყვეტილი. ეს საკითხები (ცნება, ფორმები, სახეობები და სხვა) ცალკე, დამოუკიდებელ კარში უნდა იყოს მოთავსებული. ამავე კარში აუცილებლად უნდა იყოს მო-



ცემული ისეთი მოქმედებების ცნება, რაც შემდეგ ერთიან დანაშაულს შეადგენს.

ჩვენის აზრით, დანაშაულთა მრავლობითობას უნდა მივაკუთვნოთ შემთხვევა, როდესაც დანაშავე ერთი ან რამდენიმე თანამიმდევრული ქმედობით სჩადის დანაშაულის რამდენიმე შემადგენლობას. ამ დანაშაულის გამოყოფის საფუძველი შეიძლება იყოს სისხლის სამართლის მართლსაწინააღმდეგო ქმედობათა სტრუქტურა, რომელიც ხასიათდება ერთიანი ქმედობის სხვადასხვაგვარი ან რამდენიმე შედეგით. როცა ეს შედეგი განაპირობებს ორი დანაშაულის არსებობას (დანაშაულთა იდეალური ერთობლიობა), ანდა რომლისთვისაც დამახასიათებელია დანაშაულებრივ ქმედობათა მრავალგზისობა, როცა თითოეული მათგანი იზოლირებულია და დანაშაულის დამოუკიდებელი შემადგენლობის ნიშნებს შეიცავს (განმეორებითობა).

საჭიროდ მიგვაჩნია კვლავ დავუბრუნდეთ დანაშაულთა ერთობლიობის დიფერენცირებას იდეალურზე და რეალურზე, ეს კი წარსულზე ნოსტალგიით არ არის გამოწვეული. ეს სახეობები განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. რეალური ერთობლიობის დროს ერთი დანაშაული წინ უსწრებს მეორეს, რაც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება (იხ. პროექტის 44-ე მუხლის „ა“ პუნქტი). 21-ე მუხლის ანალიზიდან („დანაშაულთა ერთობლიობა“), რომელიც არ ჰყოფს ერთობლიობას სხვადასხვა სახეობებად და 44-ე მუხლის „ა“ პუნქტის ანალიზიდან ჩანს, რომ ეს ნორმები ურთიერთსაწინააღმდეგოა.

განმეორებითობა წარმოადგენს მტკიცე კავშირების გარკვეულ სისტემას, გააჩნია თავისებური სტრუქტურა, რომელიც შეიცავს ივიეობრივ, ერთგვაროვან და სხვადასხვაგვაროვან დანაშაულს, სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ნორმებში განმეორებითობა (დანაშაულთა მრავლობითობის ფორმა) ვლინდება არაერთხელ ჩადენილ დანაშაულში, რეწვის სახით ჩადენილ დანაშაულში, სპეციალურ და განსაკუთრებით საშიშ რეციდივში. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანს გამოითქვა ჩვენის აზრით გაუმართლებელი მოსაზრებანი, უარი ვთქვათ დანაშაულის სისტემატურად ჩადენისათვის და რეწვის სახით ჩადენილი დანაშაულისათვის გაზრდილი პასუხისმგებლობის არსებობაზე. სისხლის სამართლის კოდექსებში აღნიშნული ნაირსახეობანი თითქმის აღარ არის. და ეს ხდება პროფესიულ დანაშაულებთან ბრძოლის გამწვავების დროს.

იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულთა მრავლობითობის ესა თუ ის ნაირსახეობა არ არის გათვალისწინებული როგორც მოცემული დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანი, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ვალდებულია ჩათვალოს ეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია საფუძვლების 44-ე მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული განმეორებითობის ნაირსახეობათა იერარქიის სისტემატიზაცია. სასამართლოს, პროკურატურის და ადვოკატურის მუშაკთა გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ დანაშაულთა მრავლობითობის ყველაზე საშიშ ნაირსახეობად ითვლება განსაკუთრებით საშიში რეციდივი, შემდეგ ზოგადი და სპეციალური რეციდივი, ამის შემდეგ კი დანაშაულის ჩადენა რეწვის სახით, დანაშაულის ჩადენის სისტემატურობა, მრავალჯერადობა და განმეორებითობა. დანაშაულთა მრავლობითობის ნაირსახეობათა ასეთი სისტემა გათვალისწინებული უნდა იყოს სასჯელის დანიშვნის დროს. მაგალითად, თუ სასა-





მართლმად სასჯელის დანიშვნის დროს დანაშაულის განმეორებით ჩადენა დამამძიმებელ გარემოებად ჩათვალა, ამ შემთხვევაში შეიძლება დაინიშნოს მუხლის სანქციით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმი. ანალოგიურად, განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ჩადენილი ასეთი დანაშაულისათვის შეიძლება დაინიშნოს სანქციით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმუმი.


მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ მოძველებული შეხედულებები დანაშაულთა ერთობლიობასა და სახელმწიფოს მხრიდან მასზე რეაგირების ფორმებზე.

მაგალითად, მოქმედი საფუძვლების 36-ე მუხლი ითვალისწინებს რამდენიმე განაჩენით სასჯელის დანიშვნის უფრო მკაცრ წესს, ვიდრე 35-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნა რამდენიმე დანაშაულის ჩადენისათვის. ანალოგიური მდგომარეობაა საფუძვლების პროექტში (იხ. 46-ე და 47-ე მუხლები).

სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში დანაშაულთა ერთობლიობაში შედის უფრო საშიში დანაშაულობანი და დამნაშავის პიროვნება ხასიათდება როგორც სულ უფრო საშიში. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ ვთვლით დანაშაულთა რეალური ერთობლიობისათვის დაწესდეს ისეთივე სასჯელი, როგორც არის განაჩენთა ერთობლიობის დროს.

საფუძვლების პროექტის ჰუმანური მიმართულების გათვალისწინებით აუცილებლად მიგვაჩნია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფარგლების გაფართოება და ქმედითი მონაწილების, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების გათვალისწინება. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ჩვენი კანონმდებლობის ამოცანაა მოსალოდნელი შედეგის თავიდან აცილება თვით დამნაშავის მხრიდან, დაზარალებულის სიცოცხლის შენარჩუნება და არა დაბრკოლებების შექმნა ამ მიმართებით. ამასთან დაკავშირებით სრულიად გაუგებარია, რომ პროექტში არცერთი სიტყვა არ არის ნათქვამი ქმედითი მონაწილების თაობაზე, ხოლო დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფარგლები კი ვიწროვდება.





მას შემდეგ, რაც საკავშირო და რესპუბლიკურ პრესაში საჯარო განხილვებამ დაიწყო, გამოქვეყნდა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების“ პროექტი, ჩვენი რესპუბლიკის ორგანიზაციების, წარმომებებისა და დაწესებულებების შრომითი კოლექტივები, პერიოდული პრესა და ცალკეული მოქალაქენი აქტიურად გამოთქვამენ თავიანთ შენიშვნებსა და წინადადებებს „საფუძვლების“ თაობაზე. ამასთან, გაიმართა ორი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომლებიც მიემდგვნა სისხლის სამართლის ახალი კანონმდებლობის პრობლემებს; ამავე თემაზე საზოგადოებრივი აზრის სოციოლოგიური გამოკვლევა ჩატარა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელმა ცენტრმა.

„საფუძვლების“ პროექტის თაობაზე გამოთქმული ყველა შენიშვნა და წინადადება ერთობლივად დაამუშავა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრამ.

ეს დოკუმენტი, რომელსაც ახლა მკითხველს ვთავაზობთ, წარედგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიას და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს.

# შენიშვნები და წინადადებები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტზე

## პარი I

### არაპაგუღა. ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობა**

პირველი მუხლის პირველი და მეორე ნაწილები შემდეგი სახითაა ჩამოყალიბებული:

„(1) სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობა შედგება ამ საფუძვლებისაგან, რომლებიც განსაზღვრავენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის პრინციპებს და აწესებენ მის ზოგად დებულებებს საერთო საკავშირო კანონებისაგან, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას ცალკეული დანაშაულისათვის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებისაგან.“

(2) საერთო საკავშირო სისხლის სამართლის კანონები განსაზღვრავენ პასუხისმგებლობას სახელმწიფო და სამხედრო დანაშაულისათვის,

ხოლო აუცილებლობის შემთხვევებში სხვა დანაშაულისათვისაც, რომელიც მიმართულია სსრ კავშირის ინტერესების წინააღმდეგ, აგრეთვე მშვიდობისა და კაცობრიობის უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის“.

საფუძვლების პროექტით შემოთავაზებული ეს ნორმა ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კონსტიტუციას, რომელიც კანონშემოქმედების სფეროში ერთმეორისაგან მიჯნავს საკავშირო და რესპუბლიკურ საკანონმდებლო ორგანოების ფუნქციებს. სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სსრ კავშირის განმგებლობას, მისი უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების სახით, განეკუთვნება „სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობის უზრუნველყოფა, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების დედგენა“. რა თქმა უნდა, შეიძლება ამ ფორმულირების უფრო ვრცელი განმარტება, მაგრამ ყველაზე ვრცელმა განმარტებამაც კი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოიცვას საერთო საკავშირო სისხლის სამართლის კანონებით





პასუხისმგებლობის დადგენა „სსრ კავშირის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულისათვის“. ყოველგვარი დანაშაული, მიმართული მოკავშირე რესპუბლიკის ინტერესების წინააღმდეგ, საბოლოო ანგარიშში, მიმართულია სსრ კავშირის ინტერესების წინააღმდეგ, რამდენადაც სსრ კავშირი, როგორც ფედერალური სახელმწიფო, მოკავშირე რესპუბლიკებისაგან შედგება.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია პროექტის პირველი მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „...აუცილებლობის შემთხვევებში სხვა დანაშაულისათვისაც, რომელიც მიმართულია სსრ კავშირის ინტერესების წინააღმდეგ“, როგორც სსრ კავშირის კონსტიტუციის, ჩვენი საზოგადოების დეცენტრალიზაციის საერთო პრინციპების საწინააღმდეგო, როგორც ნოველა, რომელიც კანონშემოქმედების სფეროში ზღუდავს მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს. რა თქმა უნდა, ფედერალურ სახელმწიფოში შეიძლება წარმოიშვას ცალკეულ დანაშაულობებზე მეტ-ნაკლებად მსგავსი კანონების გამოცემის აუცილებლობა, მაგრამ ეს საკითხი უნდა გადაიჭრას რეკომენდაციის გზით, რომელიც მომდინარეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსაგან. ასეთი პრაქტიკა ადრეც არსებობდა. საეკვო შევხვედეთ ისეთ შემთხვევას, რომ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესმა საბჭოებმა არ მიიღონ მსგავსი რეკომენდაცია და მის საფუძველზე რესპუბლიკურ კანონმდებლობაში არ შეიტანონ შესაბამისი დამატება.

**პრეამბულა**

ავტორთა ერთი ნაწილის აზრით, საფუძვლების პრეამბულა ზედმეტია. მას დეკლარაციული მასიათი აქვს და ფაქტობრივად არაფერს მატებს საფუძველს.

ავტორთა მეორე ნაწილი მხარს უჭერს საფუძვლების პრეამბულას, მაგრამ მიზანშეწონილად თვლის შეტანილ იქნეს ზოგიერთი ცვლილება და დაზუსტება. კერძოდ, სიტყვები „სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება...“ შეიცვალოს სიტყვებით „სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირება...“, რამდენადაც საუბრაულოა, რომ საფუძველები დიდი ხნის მანძილზე იქნება მოქმედებაში.

სიტყვების „სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება და განვითარება“ შემდეგ ჩაემატოს „...მისი ერისა და ეროვნებათა პარმონიულ განვითარება...“, იგი ნაკარნახევია ერისა და ეროვნებათა განვი-

თარებით, საბჭოთა საზოგადოების თანდათანობითი წინსვლით, ერთაშორის ურთიერთობათა სრულყოფით, ყოველი ერისა და ეროვნების დაახლოებისა და აყვავების ხელშემშლელი ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრის მნიშვნელობით, რის გარეშეც ძნელად მიიღწევა საზოგადოების მაღალი მიზნები.

**მუხლი 2. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ამოცანები**

პრეამბულაში ასახული დებულებების შესაბამისად სისხლის სამართლის კანონმდებლობით დაცულ ობიექტებს შორის საჭიროა პირველ ადგილზე იყოს პიროვნება, მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები. ასეთი თანმიმდევრობა სკკპ პროგრამის შესაბამისი იქნება, რომელშიც სოციალიზმი განსაზღვრულია როგორც საზოგადოება, რომლის დროშას აწერია: „ყველაფერი ადამიანისათვის“, „ყველაფერი ადამიანის საკეთილდღეოდ“.

აქვე უნდა გამოიყოს „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვა“.

მიზანშეწონილად მიგაჩნია აგრეთვე საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ერთ-ერთ ამოცანად გამოცხადდეს „ერისა და ეროვნებათა ღირსებისა და სხვა ინტერესების“ დაცვა, რომელიც უნდა დამატოს სიტყვების „...მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები“ შემდეგ. ასეთი დამატების აუცილებლობა შემდეგი მოსაზრებით არის ნაკარნახევი:

გარდაქმნის შედეგად დღის წესრიგში განსაკუთრებული სიმწვავეთ დადგა ჯანსაღი ერთაშორისი ურთიერთობების პრობლემა, რომელსაც ეძღვნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმი.

ეროვნულ ურთიერთობათა რეგულირების სამართლებრივი მხარე ეხება ყველა სამართლებრივ საკითხს, მათ შორის, ეროვნულ უფლებათა და თავისუფლებათა სისხლის სამართლებრივ დაცვას, ერის სუვერენიტეტიდან. მისი ღირსებიდან დაწყებული, თითოეული საბჭოთა მოქალაქის ეროვნული ღირსებით დამთავრებული.

საფუძველებში ერისა და ეროვნებათა ღირსებისა და სხვა ინტერესების დაცვის ამოცანები არ არის ასახული. მას შეიძლება მოიცავდეს, გულისხმობდეს მე-2 მუხლში მოცემული სისხლისსამართლებრივი დაცვის საერთო ობიექტების ჩამოთვლა, მაგრამ ამის მხოლოდ მიხვედრაა შესაძლებელი და მის გასარკვევად საჭიროა კანონის გარკვეული განმარტება. ამ მხრივ ცვლილებები არც ახალი საფუძველების პროექტში არის.

მიგაჩნია, რომ ერისა და ეროვნებათა ღირ-



სებისა და სხვა ინტერესების სახელმწიფოს მხრივ დაცვის საერთო ობიექტის სახით გამოყოფა, სათანადოდ უსვამს ხაზს მის კეწმარტ ღირებულებას, სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრისას იგი ამოსავალი დებულება გახდება ერისა და ეროვნებათა უფლებების დაცვის საქმეში.

**მუხლი 3. სისხლის სამართლის კანონმდებლობის პრინციპები**

ზედმეტად მიგვაჩნია აღნიშნული მუხლის საფუძვლებში შეტანა. ჩამოთვლილი პრინციპების ნაწილი დეკლარაციულ ხასიათს ატარებს და სისხლისსამართლის კანონმდებლობისათვის უშუალოდ მნიშვნელობა არ გააჩნია. დასახელებული პრინციპებიდან დანარჩენი მოცემულია აღნიშნული პროექტის სხვა ნორმებში. მაშასადამე, ადგილი აქვს განშეორებას, რაც მნიშვნელოვნად ტვირთავს საფუძვლების ტექსტს. მაგალითად, კანონიერებისა და ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპები მოცემულია მე-8 და სხვა მუხლებში.

ავტორთა ნაწილი, რომელიც მხარს უჭერს ამ მუხლის საფუძვლებში შეტანას, გვთვავაზობს ამ პრინციპებიდან თითოეულს მიეცეს ცალკე და თანმიმდევრული განმარტება. პროექტი ითვალისწინებს მსგავს განმარტებას მხოლოდ კანონიერების პრინციპის და ნაწილობრივ, პასუხისმგებლობის გარდაუვალობის პრინციპის მიმართ.

**მუხლი 4. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი**

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლის განსაზღვრა, ავტორთა ერთი ნაწილის აზრით, ბუნდოვანია. გარდა ამისა, იგი ტავტოლოგიურია, რამდენადაც პროექტის მე-8 მუხლში მოცემული დანაშაულის ცნება წარმოადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს. ამიტომ სასურველია საფუძვლების პროექტიდან ამოღებულ იქნეს მე-4 მუხლი.

ავტორთა მეორე ნაწილი სხვა შეხედულებებს ემხრობა — მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი შემდგენაირად ჩამოყალიბდეს: „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს დანაშაულის ჩადენა“. პროექტში მოცემულ დანაშაულის ნიშნებზე მითითება ზედმეტად გვეჩვენება, რამდენადაც დანაშაულის ცნება მოცემულია პროექტის მე-8 მუხლში.

**მუხლი 5. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონების მოქმედება სსრ კავშირის ტერიტორიაზე**

2. „საბჭოთა სამართალი“, № 2

**ჩადენილ ქმედობათა მიმართ**

მე-5 მუხლის პირველ ნაწილში გადმოცემულია ტერიტორიული პრინციპი. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება სივრცეში. სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ მყოფი საბჭოთა საპაერო და საზღვაო ზომალდი ყველა შემთხვევაში არ მიიჩნევა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე; სხვა სახელმწიფოს სანაპირო წყლებში ან საპაერო სივრცეში საბჭოთა სამხედრო ზომალდი ჩაითვლება როგორც ჩვენი ტერიტორია, დანარჩენები კი, როგორც იმ სახელმწიფოს ტერიტორია, რომლის სანაპირო წყლებში ან საპაერო სივრცეშიც იმყოფებიან ისინი. აღნიშნულ მიზეზთა გამო სიტყვები „სსრ კავშირის ფარგლებს“ გარეთ დაზუსტებას მოითხოვს.

პროექტის მე-5 მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია დანაშაულის ჩადენის ადგილზე, მაგრამ მოცემული არ არის მისი განსაზღვრება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია დანაშაულის ჩადენის ადგილის ცნებას შემდგენაირი ფორმულირება მიეცეს: „დანაშაულის ჩადენის ადგილს წარმოადგენს იმ სახელმწიფოს (რესპუბლიკის) ტერიტორია, სადაც ჩადენილ იქნა დანაშაულებრივი ქმედობა ან დადგა შედეგი ანდა მოქმედებდა თანამონაწილე ან შემსრულებელი“. ამგვარად, დანაშაულის ჩადენის ადგილს წარმოადგენს სახელმწიფოს (რესპუბლიკის) ტერიტორია, სადაც ჩადენილია დანაშაულის თუნდაც ერთი, სულ მცირე ნაწილი ანდა მოქმედებდა თუნდაც ერთი თანამონაწილე.

აუცილებლად მიგვაჩნია პროექტის მე-5 მუხლის მეორე ნაწილისა და მე-7 მუხლის პირველი ნაწილის ამ დებულებასთან შესაბამისობაში მოყვანა. მე-5 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად „თუ დანაშაული ჩადენილია ორი ან მეტი მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, გამოიყენება იმ მოკავშირე რესპუბლიკის კანონი, სადაც დანაშაული დამთავრდა ან აღკვეთილ იქნა“. მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „ქმედობის ჩადენის დროდ ითვლება საზოგადოებრივად საშიში მოქმედების (უმოქმედობის) განხორციელების დრო, მიუხედავად შედეგის დადგომის დროისა“. წინააღმდეგობა აშკარაა. განვიხილოთ ეს კონკრეტული მაგალითი. თუ დანაშავემ ვინმე მოწამლა კიევიში, გარდაიცვალა კი თბილისში, მაშინ მე-5 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად დანაშავე პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, მე-7 მუხლის პირველი ნაწილით კი პასუხისმგებლობა დგება უკრაინის სსრ კანონმდებლობით. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მე-5





მუხლის მეორე ნაწილი პროექტის მე-7 მუხლის პირველ ნაწილთან შესაბამისობაში იყოს მოყვანილი.

აუცილებელია აქვე აღინიშნოს, რომ თუ დენადი ან განგრძობადი დანაშაული ჩადენილია ორი ან მეტი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, პასუხისმგებლობა უნდა დადგეს იმ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც შესრულდა უკანასკნელი მოქმედება ან შეწყდა დანაშაული.

ავტორთა ნაწილი ამ საკითხზე სხვა მოსაზრებისაა. კერძოდ, მიზანშეწონილად არის მიჩნეული ასეთ დროს გამოყენებული იყოს იმ მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს.

**მუხლი 7. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში**

პროექტის მე-7 მუხლს უნდა დაემატოს ნორმა შუალედური კანონის შესახებ: „თუ შუალედური კანონი დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენის, აგრეთვე განაჩენის გამოტანის დროს მოქმედ კანონზე ლმობიერია, მაშინ მოქმედებს უფრო ლმობიერი შუალედური კანონი“. ამასთან, აუცილებელია კანონმდებლურად განისაზღვროს უფრო ლმობიერი კანონის ცნება.

**კარი II**

**დანაშაულის შესახებ**

**მუხლი 8. დანაშაულის ცნება**

პროექტის მე-2 მუხლის შენიშვნის ანალოგიურად მიზანშეწონილად მიგვაჩნია მე-8 მუხლის პირველ ნაწილში, იმ ობიექტების ჩამოთვლისას, რომლებსაც იცავს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, პირველ ადგილზე იყოს პიროვნება, მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები, შემდეგ კი — როგორც პროექტშია. გარდა ამისა, საკუთრების ფორმების ჩამონათვალი დაემატოს მოქალაქეთა პირადი საკუთრებას.

ავტორთა ერთ ნაწილს ზედმეტად მიაჩნია პროექტის მე-8 მუხლის პირველ ნაწილში სისხლის სამართლის კანონმდებლობით დაცული ობიექტების ჩამოთვლა, რამდენადაც მათი ჩამონათვალი მოცემულია ზემოთ — ამავე პროექტის მე-2 მუხლში.

ამასთან, საჭიროა დაიხვეწოს თვით დანაშაულის ცნება. იგი შემდეგნაირად უნდა იყოს ფორმულირებული: „დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ბრალეული და დასჯადი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს...“.

**მუხლი 9. დანაშაულის კლასიფიკაცია**

შემოთავაზებულ უნდა იყოს გარკვეული დეკრიმინალიზაცია უკვე სისხლის სამართლის კანონმდებლობის ზოგადი ნაწილის ინსტიტუტების დონეზე. ამ მხრივ ზედმეტად მიგვაჩნია საფუძვლების მე-9 მუხლში იმ დანაშაულთა მითითება, რომლებიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენენ. ეს ქმედობანი აღმინისტრაციული იუსტიციის სფეროში უნდა გადავიდეს. საფუძვლებში კი უნდა დარჩეს დანაშაულის სამწვეროვანი კლასიფიკაცია.

იქიდან გამომდინარე, რომ ზოგიერთი ავტორი გვთავაზობს მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსების განსაკუთრებული ნაწილის სისტემა აიგოს პროექტის მიერ გამოყოფილ დანაშაულთა კატეგორიების შესაბამისად, უნდა დაიხვეწოს აღნიშნული მუხლის მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ნაწილები, ისინი ჩამოყალიბდეს უფრო კატეგორიული ფორმით, სანქციის გამოყოფით — განსაკუთრებულ ნაწილშივე მეთითოს იმაზე, თუ რომელი დანაშაული რომელ კატეგორიას ეკუთვნის, რითაც კოდექსის ეს ნაწილი სანქციისაგან განიტივრთება.

**მუხლი 10. ბრალის ფორმები**

პროექტით მხოლოდ ბრალის ფორმებია განსაზღვრული, ამავე დროს მოცემული არ არის ბრალის გვარობითი ცნება.

**მუხლი 11. დანაშაულის განზრახ ჩადენა**


პროექტის მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ნორმა:

„დაზარალებულის ძალადობით, მიძიმე შეურაცხყოფით ან სხვა არამართლზომიერი მოქმედებით გამოწვეული ძლიერი სულიერი აღლევების დროს დანაშაულის ჩადენა იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში“.

**მუხლი 12. დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენა**

დანაშაულებრივი თვითიმედოვნების განსაზღვრისას სიტყვა „ქარაფშუტულად“ სასურველია შეიცვალოს სიტყვით „უსაფუძვლო“, რადგან დანაშაულებრივი თვითიმედოვნების შემთხვევებში პირს გააჩნია შედეგის დაუდგომლობის სუბიექტური რწმენა, იგი ემყარება გარკვეულ გარემოებებს, თუმცა კი მავნე შედეგების თავიდან ასაცილებლად არასაკმარისს.





პროექტის მე-12 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ნორმა:

„გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენა იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში“.

\* \* \*

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსი შეიცავს სპეციალურ მე-11 მუხლს „პასუხისმგებლობა იმ შედეგისათვის, რომელიც კანონით გათვალისწინებულია, როგორც დანაშაულის დამამძიმებელი გარემოება“. ეს საკითხი ნაწილია უფრო ზოგადი საკითხისა, ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის მიმე შედეგების პასუხისმგებლობაში ჩათვლის პრინციპების შესახებ და ამდენად ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის განვითარებას წარმოადგენს. როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლი ხელს უწყობს ამ პრინციპის ცხოვრებაში განხორციელებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული შეცდომები დამდგარი მიმე შედეგებისათვის ობიექტური შერაცხვის წესით პირის უსაფუძვლო პასუხისმგებლობის გამო. ვფიქრობთ, აღნიშნული დებულება უნდა აისახოს საფუძვლების პროექტში: საორიენტაციოდ იგი უნდა მოთავსდეს მე-12 მუხლის შემდეგ.

\* \* \*

მიზანშეწონილია საფუძვლებში გათვალისწინებული იყოს შეზღუდული შერაცხადობის მუხლი. ცნობილია, რომ შეზღუდული (შემციობული) შერაცხადობის ინსტიტუტი არსებობს ბევრგან, როგორც სოციალისტურ, ისე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

მეცნიერთა გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ფსიქოლოგიური ანომალიები მატულობს. სხვა გარემოებებთან ერთად, როგორც დანაშაულებრივი ქმედობის შეფასებისას, ასევე დანაშაულისათვის სასჯელის დადგენის დროსაც, გათვალისწინებული უნდა იყოს მისი ფსიქიკური გადახრები. სასამართლოს უნდა შეეძლოს შესაბამისი გარემოებების არსებობისას ფსიქიკური ანომალიების მქონე პირის მიმართ გამოიყენოს როგორც უფრო მსუბუქი სასჯელი, ასევე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ზომა.

გთავაზობთ მუხლის შემდეგ ფორმულირებას:

„შეზღუდული შერაცხადობისაა პირი, რომელსაც საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის დროს, ფსიქიკური გადახრების გამო შეეძლო ნაწილობრივ გაეწია ანგარიში თავისი მოქმედებისათვის ან ეხელმძღვანელა მათთვის.

შეზღუდული შერაცხადობის მქონე პირი არ თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ სასამართლოს შეუძლია მის მიმართ სასჯელთან ერთად გამოიყენოს სამედიცინო ხასიათის იძულების ზომა, რომელსაც ითვალისწინებს საფუძვლების 75-ე მუხლი“.

**მუხლი 15. დანაშაულისათვის მზადება და დანაშაულის მცდელობა**


პასუხისმგებლობა დანაშაულისათვის მზადებისა და დანაშაულის მცდელობისათვის მხოლოდ იმ შემთხვევებში დგება, როცა დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი პირის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ამ მომენტზე მითითებულია მხოლოდ პროექტის მე-15 მუხლის მეორე ნაწილში. ანალოგიური მითითება შეტანილ უნდა იქნეს პროექტის მე-15 მუხლის პირველ ნაწილშიც დანაშაულის მზადებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგომის განსაზღვრისას.

აგებოდა ერთი ნაწილი თვლის, რომ აღნიშნული მითითება ამოღებულ უნდა იყოს პროექტის მე-15 მუხლის მეორე ნაწილიდან, ვინაიდან მისი შეტანა ჩვენ შემდგომ წინააღმდეგობამდე მიგვიყვანს. ერთის მხრივ, არც ერთ პოსტკრიმინალურ მოქმედებას არ ძალუძს გააუქმოს უკვე ჩადენილ მოქმედებათა ხასიათი. მეორეს მხრივ, თანამონაწილეობით დანაშაულის ჩადენისას საფუძვლების პროექტით შემოთავაზებული ფორმულირებიდან გამომდინარე დანაშაულის ჩამდენ იმ პირთან ერთად, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან უნდა გათავისუფლდნენ სხვა თანამონაწილეებიც, რომლებმაც ნებაყოფლობით არ აიღეს ხელი მოცემული დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე. ეს გამომდინარეობს დებულებიდან, რომ დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობითი უარის თქმის შედეგად დანაშაულებრივ ხასიათს კარგავს დანაშაულის ჩადენაზე უარის თქმამდე ჩადენილი ქმედობაც. ეს კი ეწინააღმდეგება თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის იმ საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს, რომლის თანახმადაც თანამონაწილე პასუხს აგებს შემსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედობისათვის შემსრულებლის მიერ ამ მოქმედების შეწყვეტის მომენტამდე.

**მუხლი 16. ნებაყოფლობითი ხელის ალება დანაშაულზე**

პროექტის მე-16 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ნებაყოფლობით ხელის





აღებდა მიიჩნევა პირის მიერ დაწყებული დანაშაულებრივი ქმედობის საბოლოოდ შეწყვეტა, რაც იგივეა, საკუთარი ნებით იქნეს აცილებული დანაშაულებრივი შედეგის დადგომა, თუ ამასთან იგი თვლიდა, რომ შეეძლო დანაშაული ბოლომდე მიეყვანა“.

გარდა ამისა, ავტორთა ნაწილი მიზანშეწონილად თვლის, რომ ამგვარ განსაზღვრებას — „რაც იგივეა საკუთარი ნებით იქნეს აცილებული დანაშაულებრივი შედეგის დადგომა“ — დაემატოს სიტყვები: „თუ ამასთან პირს შეგნებული ჰქონდა მისი დადგომის შესაძლებლობა“.

ამასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, პროექტის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის სიტყვები „...შეიცავს სხვა დანაშაულის შემადგენლობას“ შეიცვალოს სიტყვებით „...წარმოადგენს სხვა დანაშაულს“.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსი შეიცავს ნორმას დანაშაულის ჩადენაზე თანამონაწილეთა მიერ ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ. სასურველია, რომ ანალოგიური ნორმა შევიდეს საფუძვლებში შემდეგი რედაქციით: (3) აღნიშნული მუხლის პირველი და მეორე ნაწილები ვრცელდება იმ თანამონაწილეზეც, რომელმაც დანაშაულის აღსაკვეთად ნებაყოფლობით მიიღო ზომები, თუ ამასთან დანაშაული არ იყო ბოლომდე მიყვანილი ან დასრულებული მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო“. ასეთი დამატება, ჩვენი აზრით, გამართლებულია, ვინაიდან თანამონაწილეთა მიერ ნებაყოფლობითი უარის თქმა ზოგიერთი თავისებურებით ხასიათდება. თანამონაწილეთა მიერ ნებაყოფლობით უარის თქმისათვის მხოლოდ პასუხი ქცევა არასაკმარისია, მათ აქტიური ჩარევით უნდა გაანეიტრალონ თავიანთი აღრიდელი ქცევა.

**მუხლი 17. თანამონაწილეთა დანაშაულში**

მე-17 მუხლს დაემატოს ნორმა, რომელიც დააკანონებს დანაშაულის ხელისშემწყობის სასჯელის შემსუბუქებას. „სასჯელი ხელისშემწყობს აუცილებლად შეუმსუბუქდება“. ეს დამატება იმიტომ განპირობებულია, რომ ხელისშემწყობი ყველა თანამონაწილესთან შედარებით ნაკლებად საშიში პირია.

გარდა ამისა, ავტორთა ნაწილი მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის მე-17 მუხლს ასევე დაემატოს შემდეგი შინაარსის ნორმა: „ქმედობა არ შეიძლება ჩაითვალოს პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილად, თუკი თუნდაც ერთი პირი არის სრულწლოვანი და შერაცხადი, დანარჩენებს კი არ ეკისრებათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად“.

თანამონაწილეთა ცალკეულ სახეობათა განსაზღვრისას მხედველობის მიღმა რჩება საკითხი დანაშაულებრივი ორგანიზაციების პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც ვერ თავსდება შემსრულებლის, წამქეზებლებისა და ხელისშემწყობთა პასუხისმგებლობის კანონით დადგენილ ჩარჩოებში. ამიტომ სპეციალურად უნდა დადგინდეს სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის ნორმები (როგორც მაგალითად, „ზანდა“, „დანაშაულებრივი დაჯგუფება“, „ანტისაბჭოთა ორგანიზაცია“, „წინასწარი მოლაპარაკებულ პირთა ჯგუფი“ და სხვა), ხოლო თანამონაწილეობის ფორმები გამოიყოს თანამონაწილეებს შორის სუბიექტური კავშირის ხასიათისა და ხარისხის საფუძველზე. ამგვარად, საფუძვლებში მოცემული უნდა იყოს თანამონაწილეობის შემდეგი ფორმების ცნება: თანამონაწილეობა წინასწარი შეთანხმების გარეშე, თანამონაწილეობა წინასწარი შეთანხმებით, დანაშაულებრივი ორგანიზაცია.


**მუხლი 18. დაფარვა**

**მუხლი 19. განუცხადებლობა**

მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიზღუდოს სისხლის სამართლებრივად დასჯადი განუცხადებლობის სახეები. დადგინდეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულობათა განუცხადებლობისათვის პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში. რაც შეეხება სხვა დანაშაულობათა განუცხადებლობას, საჭიროა ეს ნორმა ამოღებული იყოს საფუძვლებიდან, რამდენადაც იგი ეწინააღმდეგება სოციალისტური მორალის პრინციპებს, უარყოფითად მოქმედებს პიროვნებისა და მთლიანად საზოგადოების ფორმირებაზე. საზოგადოებრივი აზრი დანაშაულის მომზადების ან ჩადენის შესახებ შეტყობინებას „დასმენასთან“ ათანაბრებს. ამას გარდა კანონმდებლის მიერ განსაკუთრებით საშიშად მიჩნეულ მთელ რიგ დანაშაულს შემწყნარებლურად ეკიდება. ამავე დროს, არსებობს სამართალდამცავი ორგანოების მრავალრიცხოვანი არმია, რომლის უმთავრესი ამოცანაა დანაშაულებასთან ბრძოლა, დანაშაულობათა გამოვლინება და თავიდან აცილება. უფრო მეტიც, მხედველობაში მისაღები, რომ საქმეზე მოწმედ მიჩნეული პირი შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისმგებაში დანაშაულის განუცხადებლობისათვის, თუ არ მისცემს ჩვენებას ან მისცემს ცრუ ჩვენებას.

პროექტის მე-18 მუხლის შენიშვნასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის დაფარვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მისაცემ პირთა ჩამონათვალის დადგენა უნდა განეკუთვნოს მოკავშირე რესპუბლიკის კომპეტენციას, რომელიც განსაზღვ-





რავს აღნიშნულ ჩამონათვალს თავისი შეხედულებისამებრ, რესპუბლიკაში არსებული ტრადიციების, ჩვეულებების, საოჯახო, საქორწინო, ნათესაური და მეგობრული და სხვა ურთიერთობების თავისებურებებიდან გამომდინარე.

\* \* \*

საჭიროა ჩამოყალიბდეს ნორმა დანაშაულებრივი მიმნებებლობის შესახებ სამოდელო კოდექსის 42-ე მუხლის ანალოგიურად. „წინასწარი შეპირების გარეშე ხელშეუშლელია დანაშაულის უტყუარად ცნობილ მომზადებასა და ჩადენაზე იმ პირის მიერ, რომელსაც სპეციალურად ევალება წინ აღუდგეს დანაშაულს, იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს შეეხება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს“. აღნიშნულ მუხლს ადგილი უნდა დაეთმოს პროექტში დაფარვის მუხლის შემდეგ.

\* \* \*

ვაკამებთ რა ყოველივე ზემოთქმულს, აუცილებლად მიგვაჩნია შემუშავდეს შემხებლობის ზოგადი ცნება და განმტკიცდეს იგი საფუძვლებში. რამდენადაც შემხებლობის ინსტიტუტი წარმოადგენს ერთ-ერთ პრობლემურ ინსტიტუტთაგანს, როგორც სისხლის სამართლის თეორიაში, ისე პრაქტიკაში. გთავაზობთ შემდეგ რედაქციას: „დანაშაულის, შემხებლობად ჩაითვლება ჩადენილ ან დაუმთავრებელ დანაშაულთან, დაკავშირებული, მაგრამ თანამონაწილეობად მიუჩნეველი სხვა პირთა საზოგადოებრივად საშიში განზრახვი საქმიანობა, რომელიც გამოიხატება დაფარვისა და მიმნებებლობის ფორმაში და იწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში“.

**მუხლი 20. განმეორებითი დანაშაული**

**მუხლი 21. დანაშაულთა ერთობლიობა**

საფუძვლების პროექტში, მკვეთრად არ არის გამოჩნული განმეორებითი დანაშაული და დანაშაულთა ერთობლიობა. ამიტომ ამ ინსტიტუტების ცნებათა განმარტებისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ განმეორებითი დანაშაული გულისხმობს ორი ან მეტი ქმედობის ჩადენას, რომელთაც დანაშაულის ერთი და იგივე შემადგენლობა ითვალისწინებს, დანაშაულთა ერთობლიობა კი — ორი ან მეტი ქმედობისას, რომელთაც სისხლის სამართლის კანონის სხვადასხვა შემადგენლობა ითვალისწინებს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია კანონმდებლობით განმტკიცდეს დენადი და განგრძობადი დანაშაულების ცნება (მოდელური კოდექსის 43-ე მუხლის მესამე ნაწილში ამ დანაშაულობათა განმარტების ანალოგიურად).

**მუხლი 22. დანაშაულის რეციდივი**

მხარს ვუჭერთ მოდელური კოდექსის ანტირეციდივის პოზიციას რეციდივის, საშიში რეციდივისა და განსაკუთრებით საშიში რეციდივის ცნებების განმარტების შესახებ (მოდელური კოდექსის 45-ე, 46-ე და 47-ე მუხლები). გარდა ამისა, საჭიროდ მიგვაჩნია საკანონმდებლო წესით განმტკიცდეს დანაშაულის რეციდივის ყველა სახის სამართლებრივი შედეგები.

**კარი III**

**გარემოებანი, რომლებიც გამოიწვევენ ქმედობის დანაშაულებრიობას**

**მუხლი 23. აუცილებელი მოგერიება**

**მუხლი 24. უკიდურესი აუცილებლობა**

23-ე მუხლის პირველ ნაწილში საჭიროა პირველ ადგილზე იყოს „მოგერიებელი ან სხვა პირის პიროვნება ან უფლებები“, შემდეგ კი — პროექტის ტექსტის მიხედვით. ანალოგიური ცვლილებები უნდა იქნეს შეტანილი პროექტის 24-ე მუხლშიც.

პროექტის 23-ე მუხლს დამატოს შემდეგი შინაარსის ნორმა:

„დანაშაულის ჩადენა აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობების დარღვევისას იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში“.

უკიდურესი აუცილებლობის ინსტიტუტის განსაზღვრისას მიზანშეწონილი იქნება საკანონმდებლო წესით იყოს შეტანილი შემდეგი დებულებები:

— უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა არ გამოირიცხება იმ შემთხვევაშიც, როცა საშიშროება თავიდან იქნა აცილებული იმის ცდით, ვინც თავად შექმნა ეს საშიშროება. ამგვარად, ამ შემთხვევებში რეალიზებულ იქნება მეტი სიკეთის იდეა, რომელიც საფუძვლად უდევს უკიდურესი აუცილებლობის ინსტიტუტს; მით უფრო, რომ როგორც წესი, საშიშროების შექმნელი პირი სხვებზე უკეთ ორიენტირებს ვითარებაში.

— უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა მაშინაც არ გამოირიცხება, როცა პირმა თუმცა კი ვერ შეძლო თავიდან აცილებინა ზიანი, მაგრამ კეთილსინდისიერად იმედოვნებდა მის აცილებას და საამისოდ ყველა ღონე იხმარა.

— გარკვეული შეუსაბამობაა უკიდურესი აუცილებლობის საკითხთან დაკავშირებით სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობებში. სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობაში არის ნორმა, რომლის თანახმადც მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებუ-



ლება უციღურესი აუცილებლობისას, როგორც წესი, ეკისრება პირს, რომელმაც უფრო მნიშვნელოვანი ზიანი აღმოფხვრა ნაკლები ხარჯით. ვფიქრობთ, რომ საკითხის ასეთი გადაწყვეტა არ შეესაბამება თვით უციღურესი აუცილებლობის ინსტიტუტის არსს, რამდენადაც იგი თავისთავად წარმოადგენს საზოგადოებრივად სასარგებლო ინსტიტუტს. გაუმართლებლად მიგვაჩნია სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროთ იმ პირებს, რომლებიც მოქმედებდნენ უციღურესი აუცილებლობის მდგომარეობაში.

ზემოაღნიშნული შეუსაბამობა შეიძლება აღმოფხვრას შემდეგი შინაარსის ნორმის დამატებით: „უციღურესი აუცილებლობის ვითარებაში მოქმედი პირი მიყენებული ზიანისათვის არავითარ პასუხს არ აგებს“ გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როცა სხვა საკუთარი სიყვითის ვადარჩენა“.

წინადადება შემოგვაქვს 24-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ნორმა: „დანაშაულის ჩადენა უციღურესი აუცილებლობის მართლზომიერების პირობების დარღვევისას იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში“.

**მუხლი 25. დამნაშავის შეპყრობა**

ჩვენი წინადადებაა დამნაშავის შეპყრობის ნორმა შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

„მოქმედება არ წარმოადგენს დანაშაულს, თუნდაც შეიცავდეს იმ ქმედობის ნიშნებს, რომელსაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის კანონი, მაგრამ ჩადენილია დამნაშავის დაკავებისას მისი შესაბამისი საზღვარსაღივ ორგანოებისათვის გადაცემის მიზნით, თუ ამასთან აღგილი არა ჰქონია დამნაშავის დაკავებისათვის აუცილებელი ზომების გადამეტებას.“

დამნაშავის დაკავების ზომების გადამეტებად ითვლება დამნაშავისათვის ზიანის მიყენება, რომელიც აშკარად არ არის გამოწვეული დაკავების აუცილებლობით ანდა აშკარად არ შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს ან დამნაშავის საშიშროებას“.

აღნიშნული მუხლის პროექტით შემოთავაზებული ფორმულირებისაგან განსხვავებით ზემოთ მოყვანილი ნორმა შეიცავს დამნაშავის დაკავების ზომების გადამეტების დეფინიციას: დამნაშავისათვის ზიანის მიყენება, რომელიც აშკარად არ არის გამოწვეული დაკავების აუცილებლობით (ამ პირობაზე საფუძვლების პროექტშიც არის მითითებული) ანდა აშკარად არ შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს ან დამნაშავის საშიშროებას.

ჩვენის აზრით, პროექტის 25-ე მუხლს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის ნორმა:

„დანაშაულის ჩადენა დანაშაულის ჩამდენი

პირის დაკავების მართლზომიერების პირობების დარღვევისას იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში“.

**მუხლი 26. პროფესიული და სამეურნეო რისკი**

**მუხლი 27. ბრძანების ან განკარგულების შესრულება**

ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების გამოძირცხავი გარემოებანი, რომლებიც ძირითადად რეგლამენტირებულია სამართლის სხვა დარგებით, არ ამოიწურება პროფესიული და სამეურნეო რისკით, ბრძანების ან განკარგულების შესრულებით. ამასთან დაკავშირებით გაუგებარია პროექტის ავტორები რატომ შემოიფარგლენ საფუძვლებში მხოლოდ იმ მუხლების შეტანით. აღნიშნულ გარემოებებთან ერთად არსებობს ისეთებიც, როგორცაა პროფესიული ფუნქციების განხორციელება, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება, დაზარალებულის თანხმობა, საკუთარი უფლების განხორციელება და სხვა. საფუძვლებში ყველა ამ გარემოების ცალ-ცალკე მითითება მიზანშეუწონელი და შეუძლებელია, რამდენადაც ყველა ამ გარემოების მართლზომიერების პირობების ადგენის არა სისხლის სამართლის, არამედ სამართლის სხვა დარგები, ამიტომ ისინი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიერ არ შეიძლება ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგოდ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია, საფუძვლების პროექტიდან ამოღებულ იქნეს მუხლები პროფესიული და სამეურნეო რისკის შესახებ, ბრძანების ან განკარგულების შესრულების შესახებ და მათ ნაცვლად გათვალისწინებული იყოს ზოგადი შინაარსის ნორმა „ქმედობის მართლზომიერება“.

„დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედობის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია სოციალისტური მართლწესრიგის მიერ მართლზომიერად მიჩნეულ გარემოებებში“.

ავტორთა მეორე ნაწილი თვლის, რომ გათვალისწინებულ უნდა იქნეს უფრო ზოგადი ნორმა „მართლზომიერი რისკი“. შემდეგ კი, ამ მუხლის მეორე ნაწილში — „პროფესიული და სამეურნეო რისკი“ — როგორც პროექტშია. ამასთან ერთად, აუცილებელია ზოგიერთი დაზუსტების გათვალისწინება, სახელდობრ — პროფესიული რისკის მართლზომიერების სხვა პირობებთან ერთად დათქმული იყოს ექსპერიმენტის ქვეშ მყოფი პირის თანხმობაც. სწორედ ამით მოსამართლის სუბი-



ექტივიზმს ამ საკითხის გადაწყვეტისას არ მიეცემა ფართო გასაქანა.

ნორმა, ბრძანების ან განკარგულების შესრულების შესახებ, მიზანშეწონილია ფორმულირებულ იქნეს მოდელური კოდექსის 55-ე მუხლის ანალოგიურად, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ ბრძანების ან განკარგულების შემსრულებელი პირი სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადია, თუ ნათლად აქვს შეგნებულნი ამ ბრძანების (განკარგულების) უკანონობა ან დანაშაულებრიობა.

## კარი IV

### სასჯელის შესახებ

#### მუხლი 28. სახელი და მისი მიზნები

მიზანშეწონილია პროექტის 28-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებული იქნეს სიტყვა „ინტერესების“, რამდენადაც ინტერესის აღკვეთა ან შეზღუდვა შეუძლებლად მიგვაჩნია. საჭიროა 28-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს მოდელური კოდექსის 57-ე მუხლის II და III ნაწილების ანალოგიურად.

#### მუხლი 29. სახელის სახეები

დანაშაულთა დეკრიმინალიზაციის დასახული ტენდენციებიდან გამომდინარე, რომლებიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს, პროექტის 29-ე მუხლიდან უნდა ამოვიღოთ გაიციხვა (შესაბამისად ამოღებულ იქნეს პროექტის 30-ე მუხლი). გაიციხვა, რომ სასჯელის ცალკე სახეობად გამოვყოთ მიზანშეუწონელია, რადგან სისხლის სამართლის სასჯელის ყოველგვარი სახეობა თავისთავად გულისხმობს დანაშაულებრივი ქმედობის გაიციხვას (უარყოფითი შეფასებას), უფრო მეტიც, სასჯელის მოციმული სახეობა პრაქტიკულად არ გამოიყენება.

ჭარბმა ძირითადი სასჯელების სისტემიდან (29-ე მუხლის I ნაწილი) უნდა გადავიდეს დამატებითა სისტემაში (29-ე მუხლის III ნაწ.). ის ქმედობანი, რომელთა ჩადენისათვის ძირითადი სასჯელის სახით გათვალისწინებულთა ჯარიმა, საბოლოოდ გადატანილ უნდა იყოს აღმინისტრაციული იუსტიციის სფეროში. ამასთანავე, ზემოთდასახელებული ცვლილებების შესაბამისობაში უნდა მოვიდეს საფუძვლების პროექტის 29-ე მუხლის მეოთხე ნაწილი და 31-ე მუხლი.

გამასწორებელი სამუშაოების მიმართებით: 29-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად — გამასწორებელი სამუშაოები სამუშაო ადგილის მიხედვით; გამასწორებელი სამუშაოები არასამუშაო

ადგილებში (ნუმერაციის შეცვლით). ნორმა გამასწორებელი სამუშაოების შესახებ (პროექტის 33-ე მუხლი) ფორმულირებული იქნეს მოდელური კოდექსის 63-ე და 64-ე მუხლების ანალოგიურად. ამასთანავე დასახელებულ მუხლებში გათვალისწინებული ნორმა, გამასწორებელი სამუშაოების მოხდისაგან თავის არიდების შესახებ, ამოღებულ იქნეს საფუძვლებიდან, რითაც მოკავშირე რესპუბლიკებს მიეცემა უფლება ამ ქმედობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დააწესოს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში. წინააღმდეგ შემთხვევაში შეილახება მოქალაქეთა პროცესუალური უფლებები.

ავტორთა ერთი ნაწილი ასევე მიზანშეწონილად თვლის, რომ სასჯელთა სისტემიდან ამოიღონ პატიმრობა. პატიმრობა თავის მხრივ თავისუფლების აღკვეთის ნაირსახეობაა, ხოლო ხანმოკლე თავისუფლების აღკვეთამ პრაქტიკაში გამართლება ვერ ჰპოვა, რამდენადაც დროის ამ პერიოდში შეუძლებელია სასჯელის მიზნების მიღწევა (ამით იყო განპირობებული თავისუფლების აღკვეთის მინიმუმის შეცვლა — მისი 6 თვემდე გაზრდა). ამგვარად, „მკაცრი იზოლაციის პირობებში პირის დაკავება“ (პროექტის 35-ე მუხლის I ნაწ.) ვადით ერთიდან სამ თვემდე (ამავე მუხლის II ნაწ.) შეიცავს მხოლოდ დასჯის ელემენტებს. ამ შემთხვევაში რაიმე ხელახლა აღზრდაზე ლაპარაკი კი არ შეიძლება, რადგან მკაცრი იზოლაციის პირობა თავისუფლების აღკვეთასაც კი არ ითვალისწინებს. უმეტესად ეს სასჯელი არასრულწლოვანის მიმართ გამოიყენება (პროექტის 65-ე მუხლის I ნაწილის „გ“ პუნქტი; მუხ. 67).

#### მუხლი 34. თავისუფლების შეზღუდვა

პროექტის 34-ე მუხლის მესამე ნაწილი, რომელშიც მოცემულია იმ პირთა ნუსხა, რომელთა მიმართაც არ გამოიყენება თავისუფლების შეზღუდვა, აუცილებელია შემდეგნაირად იქნეს ფორმულირებული: „...შრომისუნარო პირთა მიმართ, რომელთა მიმართ ჩადენილი დანაშაულისათვის დაწესებულ სასჯელთან ერთად გამოიყენება იძულებითი ღონისძიება ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის ან ტოქსიკომანიის მკურნალობისათვის, იმათ მიმართ, ვინც არ გაიარა ვენერიული სენის მკურნალობის სრული კურსი, აგრეთვე შიდასით არიან დაავადებული...“ იმ დამატების შეტანა, რომელიც ითვალისწინებს ალკოჰოლიკის, ნარკომანის და ტოქსიკომანის შრომისუნარობაზე მითითებას, გამომდინარეობს მსჯავრდებულის ინტერესებიდან, ვინაიდან ასეთი პირისათვის სასჯელის



თავისუფლების შეზღუდვის სახით დანიშნვის შესაძლებლობის მიუხედავად სასამართლოს აიძულებს მის მიმართ გამოიყენოს უფრო მაკარი სასჯელი — თავისუფლების აღკვეთის სახით.

ნორმა პირის მიერ თავისუფლების შეზღუდვის სახით სასჯელის მოხდისაგან თავის არიდების შესახებ, რომელსაც შეიცავს პროექტის 34-ე მუხლის მეოთხე ნაწილი, უნდა ამოვიღოთ საფუძვლებიდან, რათა შემდგომში გათვალისწინებულ იყოს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების განსაკუთრებულ ნაწილში.

#### მუხლი 36. თავისუფლების აღკვეთა

პროექტის მე-9 მუხლის I ნაწილში მოკავშირე რესპუბლიკებს უფლება ეძლევათ კონკრეტული დანაშაულობანი მიაკუთვნონ დანაშაულთა ყველა კატეგორიას, მაშასადამე — განსაკუთრებით მძიმე დანაშაულობათა კატეგორიასაც. ამავე დროს, საფუძვლების პროექტის 36-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია ამომწურავი ნუსხა დანაშაულობებისა, რომელთა ჩადენისათვის შეიძლება დაინიშნოს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით ათ წელზე მეტი ვადით, მაგრამ არა უმეტეს თხუთმეტისა, ე. ი. მოცემულია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულობათა ამომწურავი ნუსხა, რამდენადაც 36-ე მუხლი არ შეიცავს მითითებას იმაზე, რომ მოკავშირე რესპუბლიკას უფლება აქვს განსაზღვროს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით ვადით ათ წელზე ზევით რომელიმე სხვა დანაშაულისათვის, ნათლად იკვეთება აზრთა წინააღმდეგობა. ამ წინააღმდეგობის გადაწყვეტის მიზნით მე-9 მუხლის პირველი ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი შედეგით:

„...კონკრეტული დანაშაულის მიკუთვნება ნაკლებად მძიმე, მძიმე დანაშაულთა კატეგორიისათვის, რომელიც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, ხორციელდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებით ამ მუხლის მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილების შესაბამისად. კონკრეტულ დანაშაულთა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიაზე მიკუთვნება კი — სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებით აღნიშნული მუხლის მეხუთე ნაწილის დებულებების შესაბამისად“.

როგორც ხანგრძლივი, ასევე ხანმოკლე თავისუფლების აღკვეთით ვერ მიიღწევა სასჯელის მიზნები, აქვე აუცილებელია გათვალისწინებული იყოს ის მნიშვნელოვანი მატერიალური და სულიერი დანახარჯები, რომლებიც განუხრებლად არის დაკავშირებული თავისუფ-

ლების ხანგრძლივი აღკვეთის გამოყენებასთან. ეს დანახარჯები ამჟამად დატინებულ ყურადღებას იპყრობს, ისინი უნდა აღმოიფხვრას თავისუფლების აღკვეთის რაციონალური ვადების გამონახვის გზითა და სხვა საშუალებებით. საკითხის ამგვარად დაყენების საუკეთესო საშუალებებია:

1) რიგი ქმედობების დეკრიმინალიზაცია და დეპენალიზაცია, რომელსაც სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს; 2) თავისუფლების აღკვეთის ვადების დადგენა სამიდან რვა წლამდე, საქართველოს სსრ 10 წლის სტატისტიკით დადგენილია, რომ პრაქტიკაში თავისუფლების აღკვეთის დანიშნისას, ძირითადად ეს ვადები გამოიყენება.

პროექტის 36-ე მუხლის მეოთხე ნაწილით „ბ“ და „გ“ პუნქტებში გამოყენებული ტერმინი „არამძიმე“ არ ეთანხმება იმ დანაშაულობათა კლასიფიკაციას, რომელსაც ითვალისწინებს პროექტის მე-9 მუხლი. ეს ტერმინი აუცილებელია მოვიდეს შესაბამისობაში პროექტის მე-9 მუხლთან.

#### მუხლი 40. ქონების კონფისკაცია

მიზანშეწონილად მიგვაჩნია კონფისკაციის გამოყენებული იყოს მხოლოდ ანგარებითი დანაშაულის მიმართ.

ავტორთა ნაწილი მისაღებად თვლის კონფისკაცია დაწესდეს არამართ ანგარებითი, არამედ სხვა დანაშაულის დროსაც, მაგრამ იმ პირობით, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა გადაეცეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციას. წინააღმდეგ შემთხვევაში იზღუდება მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციური უფლება — სასჯელის თავისი შეხედულებისამებრ გამოყენების შესახებ.

#### მუხლი 41. განსაკუთრებული სასჯელი — სიკვდილით დასჯა

სიკვდილით დასჯის მიმართ გამოიკვეთა ორი პოზიცია:

1. უმრავლესობა სიკვდილით დასჯის გაუქმების მომხრეა;

2. დადგინდეს სიკვდილით დასჯა მხოლოდ განზრახ მკვლელობისათვის, რომელიც ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში, იმავე დროს სასამართლოებს მიეცეთ უფლება სიკვდილით დასჯა შეცვალონ თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე.

41-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ქალებისადმი და აგრეთვე მამაკაცების მიმართ, რომელთაც განაჩენის გამოტანის დროისათვის მიიღწეს სამოცი წლის ასაკს“.



კარი V

სახჯელის დანიშვნა

მუხლი 42. სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები

აუცილებლად მიგვაჩნია სასჯელის დანიშვნის (ინდივიდუალიზაციის) კრიტერიუმთა საკანონმდებლო ნუსხაში მითითებული იყოს დანაშაულის სუბიექტური მხარის ისეთ აუცილებელ ელემენტზე, როგორც არის ბრალის ხარისხი. თუ პროექტის 42-ე მუხლში შეტანილია სუბიექტური მხარის ფაქულტატური ელემენტი — მოტივი, მაშინ მით უფრო საჭიროა აღინიშნოს მისი ძირითადი ელემენტი — ბრალი და მისი ხარისხი.

რაც შემთხვევებში დანაშაულის მოტივს, როცა იგი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია (მაგალითად, ტერორისტული აქტი), შეუძლია დაასაბუთოს პასუხისმგებლობა კონკრეტული ქმედობისათვის და როგორც წესი, მოტივი ბრალის ხარისხის განსაზღვრის ერთერთ საშუალებად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ბრალის ხარისხი მხოლოდ მოტივით არ განისაზღვრება და თავისი ბუნებით იგი წარმოდგენს შედარებით დამოუკიდებელ კატეგორიას, სუბიექტური მხარის ცნობილი ელემენტებიდან (მოტივი, დანაშაულის სუბიექტის ემოციური მდგომარეობა) ცალკე მდგომს. ბრალის ხარისხი შეიძლება იცვლებოდეს ისეთ ობიექტურ გარემოებათა შესაბამისად, როგორიცაა, მაგალითად, დაზარალებულის მართლსაწიანობა, მდგომარეობა ან წინდაუხედავი საქციელი, კლიმატური, საგზაო ან სხვა პირობები და ა. შ.

ასეთი დამატება იმისათვისაც არის საჭირო, რომ გამოიკვეთოს სუბიექტური გარემოებების თანაბარი მნიშვნელობა ობიექტურ გარემოებებთან სამართლიან სასჯელის დანიშვნისათვის.

მუხლი 43. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი

პროექტის მე-11, 23-ე, 24-ე, 25-ე, 26-ე და 27-ე მუხლებისადმი გამოთქმული შენიშვნებიდან და დამატებებიდან გამომდინარე, აუცილებელია შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი 43-ე მუხლის „ვ“ და „ი“ პუნქტები. თუ შემოჩამოთვლილი მუხლები შეიცავენ მითითებას იმაზე, რომ ამ მუხლებით გათვალისწინებული ქმედობის ჩადენა იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მხოლოდ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მაშინ ზედმეტი იქნებოდა პა-

სუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების ჩამონათვალში „ვ“ და „ი“ პუნქტებში გათვალისწინებული გარემოებების შეტანა. უფრო მსუბუქი სასჯელის განსაზღვრება გათვალისწინებული უნდა იყოს სისხლის სამართლის კოდექსების განსაკუთრებული ნაწილის კონკრეტული მუხლების სანქციებით.

მუხლი 44. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი

44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: „ა) აღრე რაიმე განსაზღვრული დანაშაულის ჩამდენი პირის მიერ დანაშაულის ჩადენა...“ (შემდეგ როგორც პროექტში).

44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ანდა პირთა ჯგუფის მიერ ორგანიზებული“, რამდენადაც წინასწარი შეთანხმება, რომელზედაც მითითებაა გაკეთებული ამავე პუნქტში, — უფრო ფართო უნებაა, რომელიც ორგანიზებულ ჯგუფსაც შეიცავს და თანამონაწილეობის სხვა ფორმებსაც.

პროექტის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„გ) დანაშაულის ჩადენა ანგარებით, შოვინისტური, ნაციონალისტური ან სხვა ქვენაგრძნობით“. ამგვარი დამატების შეტანა თანამედროვე ეტაპზე სავსებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

პროექტის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ნ) დანაშაულის ჩადენა სხვა პირის მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვა დამოკიდებულების გამოყენებით“. სწორედ დანაშაულებზე დამოკიდებულების გამოყენება შეიძლება იყოს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება. თვით დამოკიდებულების ფაქტი, თუ იგი არ გამოიყენება დანაშაულის ჩასადენად, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით ნეიტრალურია და სასჯელის სიმძიმეზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია. წარმოდგენილი რედაქცია გამორიცხავს დამატებითი განმარტების აუცილებლობას და შემოიფარგლება იმ პირობებით, რომელთა მიხედვით, შეიძლება გაძლიერდეს პასუხისმგებლობა. სწორედ ამ სახით არის ფორმულირებული აღნიშნული პუნქტი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის მოქმედ კოდექსში. ვფიქრობთ, რომ ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემუშავებისას, გარდა საზღვარგარეთის კანონმდებლობის დადებითი გამოცდილების გათვალისწინებისა, უწინარეს ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს ყოველივე იმ პოზიტიურს, რომელიც უკვე არის ეროვნულ კანონმდებლობაში.



რამდენადაც მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსების განსაკუთრებული ნაწილის ბევრი მუხლი შეიცავს მითითებას დანაშაულის ჩადენის შესახებ „განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში“ ან კიდევ „განსაკუთრებით მძიმე შედეგებით“, აუცილებლად მიგვაჩნია ამ ცნებების საკანონმდებლო განმარტება, რათა იგი არ გახდეს სასამართლოების გადასაწყვეტი. მით უფრო, რომ დამამძიმებელ გარემოებათა ამომწურავი ჩამოთვლისას საფუძვლების პროექტის 44-ე მუხლის მესამე ნაწილში კანონმდებელი კატეგორიულად მიუთითებს, რომ სასამართლოს უფლება არა აქვს დამამძიმებლად მიიჩნიოს ისეთი გარემოება, რაც კანონში არ არის მითითებული.

**ქარი VII**

**სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება**

**მუხლი 55. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გახვლის გამო**

საკიროა 55-ე მუხლის მეხუთე ნაწილიდან ამოღებული იყოს წინადადება — „ამასთან ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები გადიდდება ორჯერ, მაგრამ არ შეიძლება აღმატებოდეს თხუთმეტ წელს“.

რამდენადაც დანაშაულის ჩამდენი პირი ჩვეულებრივ ემალება გამოძიებასა და სასამართლოს, ეს არ წარმოადგენს რაიმე გამონაკლისს საერთო წესიდან და მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ პირთა მიმართ ხანდაზმულობის ვადის ორჯერ გაზრდა.

55-ე მუხლს უნდა დაემატოს ცალკეულ ნაწილებად შემდეგი შინაარსის დებულებები:

„პირი არ შეიძლება მიცემულ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, თუ მის მიერ დანაშაულის ჩადენის მომენტიდან გავიდა თხუთმეტი წელი, ხოლო ხანდაზმულობის დენა არ შეწყვეტილა ახალი დანაშაულის ჩადენით;

განგრძობადი და დენადი დანაშაულის ხანდაზმულობის ვადა იანგარიშება პირის მიერ ამ დანაშაულის შემადგენლობის შესრულების დღიდან“.

**მუხლი 56. სასჯელისაგან გათავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის აღხრულების ხანდაზმულობის ვადის გახვლის გამო**

პროექტის 56-ე მუხლის მესამე ნაწილიდან ამოსაღებია წინადადება: „ამასთან ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ხან-

დაზმულობის ვადები გადიდდება ორჯერ, მაგრამ არ შეიძლება აღმატებოდეს თხუთმეტ წელს“.

56-ე მუხლს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი:

„გამამტყუნებელი განაჩენი სისრულეში არ მოიყვანება თუ მისი გამოტანიდან გავიდა თხუთმეტი წელი, ხოლო ხანდაზმულობის დენა არ შეწყვეტილა ახალი დანაშაულის ჩადენით“.

**მუხლი 58. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება პირის საზოგადოებრივი საშიშროების დაკარგვისა ან მავნე შედეგების თავიდან აცილების გამო**

აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ისეთი გარემოება, როგორცაა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება გარემოების შეცვლის გამო. 58-ე მუხლის პირველი ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „დანაშაულის ჩამდენი პირი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან თუკი იქნება მიჩნეული, რომ გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის შეცვლილ გარემოებათა გამო მის მიერ ჩადენილმა ქმედობამ დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი ან ეს პირი უკვე აღარ არის საზოგადოებრივად საშიში“.

58-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვებს: „გამოცხადდა ბრალის აღიარებით და“ დაემატოს სიტყვები „მის მიერ“. ამით ხაზი გაესმება იმას, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან პირის გასათავისუფლებლად კანონი მოითხოვს, რომ მავნე შედეგები თავიდან იქნეს აცილებული სწორედ დანაშაულის ჩამდენი პირის მიერ.

**მუხლი 62. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება ამნისტიის და შეწყალების აქტის საფუძველზე**

სისხლისსამართლებრივი ნორმის ზოგადი ნაწილის წყარო შეიძლება იყოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ფარგლებს გარეთ. ძირითადად ასეთი ნორმები გათვალისწინებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით. მაგალითად, ამნისტია და შეწყალება (სსრ კავშირის კონსტიტუციის 121-ე მუხლის მე-11 პუნქტი). ეს გარემოება დაბრკოლება არ უნდა იყოს მათი გაშლილი საკანონმდებლო განსაზღვრისათვის, მათ თავიანთი ასახვა უნდა ჰპოვონ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, რამდენადაც ეს ცნებები უაღრესად სისხლისსამართლებრივი ცნებებია.





არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თავისებურებანი

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ამ კარის შეტანის შესახებ საკითხის განხილვამ განსაზღვრა ორი პოზიცია:

1. ავტორთა ნაწილს დაუსაბუთებლად მიანია ასეთი კარის გამოყოფა, რამდენადაც არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში ცვლილებების შეტანა გამოინდინარეობს ჰუმანიზაციის საერთო ტენდენციებიდან, რომელსაც მთლიანად ემხრობა საფუძვლების პრინციპი. რაც შეეხება არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის რაიმე განსაკუთრებულ თავისებურებებს, ასეთ რამეს ეს კარი თითქმის არ შეიცავს. ის თავისებურებანი, რომლებიც გათვალისწინებულია სასტრუქო საფუძვლებში, რომლებიც შეესაბამის მუხლებში.

მუხლი 65. სასჯელის სახეები, რომლებიც გამოიყენება არასრულწლოვანის მიმართ

პროექტის 65-ე მუხლის კონტექსტიდან გამომდინარეობს, რომ კანონმდებელი გამორიცხავს ძირითადთან ერთად სასჯელის დამატებითი სახეების გამოყენების შესაძლებლობას არასრულწლოვანისათვის. მაშ რითი აიხსნება პროექტში ასეთი ნორმების არსებობა: „ამასთან ეს პირი შეიძლება გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელისაგანაც“ (პროექტის 71-ე მუხლის 1 ნაწილი); „სასჯელის შეცვლისას უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლებულ იქნეს დამატებითი სასჯელისაგან. მსჯავრდებული გათავისუფლება დამატებითი სასჯელისაგან თუ იგი უფრო მკაცრი ვიდრე ახალი ძირითადი სასჯელი“ (პროექტის 72-ე მუხლის 111 ნაწილი). თუ კანონმდებელი კონკრეტულ მითითებას არ იძლევა იმაზე, რომ ჩამოთვლილი სასჯელის ზომები სასამართლოს მიერ შეიძლება დაინიშნოს სასჯელის დამატებითი სახით (ასეთი მითითება კი აუცილებელია სრულწლოვანთა მიმართ და იგი სავსებით სამართლიანად არის გათვალისწინებული პროექტის 29-ე მუხლის მესამე ნაწილში), მაშინ საერთოდ დამატებითი სასჯელისაგან რა გათავისუფლებაზე შეიძლება ლაპარაკი?!

თუ კანონმდებელი არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხში ჰუმანიზაციის გზით წავიდა, მაშინ აუცილებელია ამოღებული იქნეს 71-ე მუხლის პირველი ნაწილი და 72-ე მუხლის მესამე ნაწილში მოთავსებული დებულებები, რომლებიც პროექტის 65-ე მუხლს ეწინააღმდეგება.

იქიდან გამომდინარე, რომ რეალურად ნასამართლობის გააჩნია ისეთი სამართლებრივი შედეგები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ არა მარტო სასჯელმონდილო პიროვნების მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებებზე, არამედ მისი ოჯახის წევრებზეც, შეიძლება მივიღოთ იმ დასკვნამდე, რომ ნასამართლობა უფრო მძიმე ტვირთად აწევს პიროვნებას, ვიდრე სასჯელის ფიზიკური მოხდა. მდგომარეობა ალბათ კიდევ უფრო გართულებდა თუ საკანონმდებლო წესით განმტკიცდება ნორმა, რომლითაც სამართლებრივი მნიშვნელობა მიეცემა ნასამართლობას არა მხოლოდ ახალი დანაშაულის ჩადენის დროს, არამედ „სხვა შემთხვევებშიც, რაც სსრ კავშირის კანონმდებლობით არის გათვალისწინებული“ (პროექტის 63-ე მუხლის პირველი ნაწილი). აქედან გამომდინარე, აუცილებელია საფუძვლების ტექსტში შევიდეს იმ შედეგების ჩამონათვალი, რომლებიც ნასამართლობიდან გამომდინარეობს, სწორედ ამით შეიქმნება გარანტია ამ მუხლის მეათე ნაწილში განმარტებული დებულების ცხოვრებაში დაუბრკოლებელი გატარებისათვის.


ჩვენი წინადადება ასეთია:

1. ნასამართლობის არმქონედ ჩაითვალოს პირები, რომლებიც სასჯელისაგან გათავისუფლდნენ ნასამართლოს განაჩენით, ან დაისჯნენ გაიციხვით, ჯარიმით, გარკვეული თანამდებობის დაკავებით ან გარკვეული საქმიანობის უფლების აკრძალვით, აგრეთვე სამსახურებრივი შეზღუდვით ან დმსკიპოლინარულ ბატალიონში გაგზავნით მსჯავრდებული პირები;

2. ნასამართლობის მქონედ ჩაითვალოს: გამასწორებელი სამუშაოებზე გათავისუფლების შეზღუდვით, პატიმრობით, თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირები. ამ პირთა მიმართ ნასამართლობა ქარწყლდება საფუძვლებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

პროექტის წინადადება პირობით მსჯავრდებულ და იმ პირთა მიმართ, რომელთა მიმართაც გამოყენებულია განაჩენის აღსრულების გადავადება, მისაღები და მხარდასაქურია: ნასამართლობა გაქარწყლდება, თუ გამოსაცდელი ან გადავადების ვადის განმავლობაში ეს პირები არ ჩაიდენენ ახალ დანაშაულს (პროექტის 63-ე მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები).





**მუხლი 69. სასჯელის დანიშვნა**

დაუშვებლად მიგვაჩნია, რომ საფუძვლები არ ითვალისწინებს არასრულწლოვანებისათვის დაწესებულ ისეთ ჰუმანურ ნორმას, როგორცაა უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობა, ვიდრე ეს კანონითაა გათვალისწინებული, ე. ი. სასჯელის დანიშვნა უმდაბლეს ზღვარს ქვემოთ, რომელსაც კანონი აწესებს ზოგიერთი დანაშაულისათვის, ან სასჯელის მეორე, უფრო მსუბუქ სახეზე გადასვლა. მით უფრო, რომ პროექტი აღნიშნულ ნორმას ითვალისწინებს სრულწლოვანთა მიმართ (45-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ასევე აუცილებელია გათვალისწინებული იყოს არასრულწლოვანთათვის ნორმა სასჯელის აღსრულების გადაადგმის შესახებ (პროექტის 53-ე მუხლის ანალოგიურად).

**მუხლი 78. ნასამართლობა**

პროექტის 22-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად პირის განსაკუთრებით საშუა რეციდივისტად ცნობის დროს მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა იმ დანაშაულისათვის, რომელიც ამ პირმა ჩაიდინა თვრამეტ წლამდე ასაკში. ამ დებულებას შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ და უფრო შორს წავიდეთ. მიზანშეუწონლად მიგვაჩნია, რომ არასრულწლოვანი ნასამართლობის არმქონედ ცნოთ მისთვის დანიშნული სასჯელების მოხდის თანავე, როგორც სახისაც არ უნდა იყოს მისგან ჩადენილი დანაშაული. მით უფრო, რომ საფუძვლების პროექტი, ისევე, როგორც მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა, გარკვეულ ნაბიჯს დგამს ამ მხრივ სრულწლოვანთა მიმართაც (პროექტის 63-ე მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტები).

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ნასამართლობის ისეთ სამართლებრივ შედეგს (პროექტის 63-ე მუხლის პირველი ნაწილი), რომელიც შეიძლება დადგეს სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც პროექტის 63-ე მუხლის შენიშვნებში აღინიშნა, ეს დებულება

მიუღებელია უპირველესად არასრულწლოვანთა მიმართ.

**კარი IX**

**სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი**

**მუხლი 75. ფსიქიკურად დაავადებულ ავადმყოფთა მიმართ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებათა გამოყენება**

შეზღუდული შერაცხადობის ნორმის შეტანის შესახებ გამოთქმული წინადადებების შესაბამისად საჭიროდ მიგვაჩნია საფუძვლების პროექტის 75-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვების „...ანგარიში გაუწიონ თავიანთ მოქმედებას ან უხელმძღვანელონ მას...“ შემდეგ დაემატოს წინადადება: „...აგრეთვე შეზღუდული შერაცხადობის მქონე პირთა მიმართ...“ შემდეგ როგორც პროექტში.

**მუხლი 76. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენება ალკოჰოლიკების, ნარკომანებისა და ტოქსიკომანების მიმართ**

საფუძვლების 76-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 76. სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენება ალკოჰოლიკების, ნარკომანების, ტოქსიკომანებისა და ვენერიული სენით დაავადებულ პირთა მიმართ.

(1) ალკოჰოლიკის, ნარკომანის, ტოქსიკომანის და ვენერიული სენით დაავადებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სასამართლოს საექიმო კომისიის დასკვნით შეუძლია ასეთი პირის მიმართ სასჯელთან ერთად გამოიყენოს იძულებითი მკურნალობა.

(2) თავისუფლების აღკვეთამისჯილი მსჯავრდებულის მიმართ ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტოქსიკომანიის ან ვენერიული სენისაგან მკურნალობა წარმოებს სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით ანდა დახურულ სამკურნალო დაწესებულებაში, ხოლო მსჯავრდებულისა, რომლის სასჯელი თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული, — სპეციალური სამკურნალო რეჟიმის მქონე სამედიცინო დაწესებულებაში“.

**საქართველოს სსრ იუსტიციის ხაზინისტრო**  
**საქართველოს სსრ მცენიარებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრი**  
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრა.**



## რატომ ვერ „შეეწყო“ სკოლას სამართლებრივი კურსი

ი. იაკოვლევი,

სსრ კავშირის პედაგოგიის მეცნიერებათა აკადემიის აღზრდის ზოგადი პრობლემების  
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პედაგოგიის  
მეცნიერებათა კანდიდატი

ა. ნიკიტინი,

სსრ კავშირის პედაგოგიის მეცნიერებათა აკადემიის აღზრდის ზოგადი პრობლემების  
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, პედაგოგიის მეცნიერებათა  
კანდიდატი

როდესაც 70-იანი წლების შუა პერიოდში ზოგადსაგანმანათლებლო სკო-  
ლებში საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები სავალდებულო  
საგნად შემოიღეს, მასზე დიდ იმედს ამყარებდნენ. ვარაუდობდნენ, რომ იგი  
ხელს შეუწყობდა მომავალი თაობის სამართლებრივ აღზრდას, პიროვნების  
მოქალაქედ ჩამოყალიბებას, ახალგაზრდებს შორის სამართალდარღვევათა შემ-  
ცირებას. მაგრამ... წლები გავიდა და სავარაუდო ეფექტი არ იქნა მიღწეული.  
მეტეც, როგორც მასწავლებლებმა, ისე მოსწავლეებმა ეს კურსი არასასურ-  
ველ, ზემოდან თავსმოხვეულად მიიჩნიეს. სასწავლო პროცესის სისტემაში იგი  
გერის მდგომარეობაში აღმოჩნდა.

რატომ ვერ „შეეწყო“ სამართლებრივი კურსი სკოლას? რა არის მოს-  
წავლეთა სამართლებრივ აღზრდაში ჩვენი წარუმატებლობის მიზეზები? და  
როგორ უნდა მოვავგაროთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სამართლებ-  
რივი აღზრდის საკითხი ახლა, როდესაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის თე-  
ბერვლის (1988 წ.) პლენუმმა და პარტიის XIX საკავშირო კონფერენციამ აუ-  
ცილებლობად მიიჩნია ქვეყანაში საყოველთაო იურიდიული სწავლების ორგა-  
ნიზაცია, როგორც ერთიანი, კომპლექსური, საერთოსახელმწიფოებრივი პროგ-  
რამისა.

უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი წლის განმავლობაში სკოლაში სამართ-  
ლებრივი განათლების შესახებ უფრო მეტს წერდნენ, ვიდრე საქმეს აკეთებ-  
დნენ. 34 საათი მე-8 კლასში — აი, სიმწიფის ატესტატით სკოლადამთავრე-  
ბულის მთელი იურიდიული მომზადება. სახელმწიფოსა და სამართლის საფუძ-  
ვლების სასკოლო კურსმა, როგორც უმაღლესი სასწავლებლის პროგრამის  
ელემენტარულმა „ჩამონატეხმა“, თავისი მოვალეობა ნამდვილად ვერ შეას-  
რულა. სხვანაირად არც შეიძლებოდა. რამეთუ მას პრაქტიკულად საფუძვლად  
არ ედო რამდენადმე მაინც მყარი პედაგოგიური კონცეფცია, რომელიც გაითვა-  
ლისწინებდა მოსწავლეთა მიერ იურიდიული მასალის აღქმის თავისებურებებს.

მაგრამ იმ სახითაც კი, როგორც სკოლაში ამ საგნის სწავლება იყო ჩა-  
ფიქრებული, მას უთუოდ შეეძლო სარგებლობის მოტანა, რომ არა მისი რეა-  
ლიზაციის გზაზე წამოკრილი დაბრკოლებები, რომლებმაც მოსწავლეთა სა-  
მართლებრივი აღზრდის საქმე დამარცხებამდე მიიყვანეს.



რა დაბრკოლებებია ეს?

ერთ-ერთი მათგანია მასწავლებელთა არასათანადო სპეციალური მომზადება. ამასთან, „სპეციალური“ აუცილებლად იურიდიულს როდი ნიშნავს. ის ფაქტი, რომ ზოგიერთი პედაგოგიური ინსტიტუტი ისტორიის მასწავლებლებს „საბჭოთა სამართლის“ დამატებით სპეციალობასაც აძლევს, ჯერ კიდევ ვერ ხსნის პრობლემას. სპეციალისტთა გაანგარიშებით, კვალიფიციური კადრებით სკოლების დაკმაყოფილებას არაერთი ათწლეული დასჭირდება, თუ მათი მომზადება ძველი ფორმებით, ექსტენსიური გზით გაგრძელდება. ამ გზამ კი ასეთი ხასიათი სკოლაში „ნახევრადიურისტი“ მასწავლებლების მიერ „მიკროიურისტი“ მოსწავლეების მომზადების მცდარი ორიენტაციის მეშვეობით მიიღო. სწორედ „მიკროიურისტთა“ მომზადების სამართლის მასწავლებელთა ეს ორიენტაცია, რომელიც სკოლის პროგრამასა და სახელმძღვანელოში გამოსჭვივის, უშლის ხელს სამართლის კოლოსალური აღმზრდელითი შესაძლებლობების სრულ გამოვლინებას. ასეთ სიტუაციას ისიც ართულებს, რომ შეუძლებელია მასწავლებლისაგან ყველა კანონის ცოდნა მოვითხოვოთ, რამეთუ თვით სამართალმცოდნე ერთდროულად სამართლის ყველა დარგის სპეციალისტი ვერ იქნება. პედაგოგს ესმის თავისი უძლურება, არაკომპეტენტურობა და იურისტის დახმარებას მიმართავს, ეს კი ცუდი როდია, თუ იურისტს მცირედი პედაგოგიური ალლო მაინც აღმოაჩნდება.

ერთ-ერთ სკოლაში, პროკურატურის თანამშრომელთან შეხვედრის შემდეგ, რომლის ლექციის თემა სამართალდარღვევისათვის არასრულწლოვანის პასუხისმგებლობის საკითხი იყო, ბავშვებს ჰკითხეს თუ ყველაზე მეტად რა დამამახოვრდათ მათ ამ საუბრიდან. ერთმა მოსწავლემ საკმაოდ დაწვრილებითა და საფუძვლიანად დახატა ქალაქში ჩადენილი მძიმე დანაშაულის სურათი, დამნაშავეთა საზრიანობა და მოხერხება. სხვათა მენსიერებაში აღიბეჭდა ცივი იარაღის ნიშნები, მისი ზომები.

შემდეგ გამოირკვა, რომ ლექციის დღეს ბავშვებს მეცადინეობა ჰქონდათ საათის განმავლობაში. ბევრს ფრენბურთელთა გუნდის ვარჯიშზე ავციანდებოდა. საჭირო იყო კიდევ ერთ საათს „გაეძლოთ“. ამან კი „მცირე უკმაყოფილება“ გამოიწვია. კლასის ხელმძღვანელი შეპირდა ბავშვებს, რომ ლექცია „საინტერესო იქნებოდა“ და სთხოვა იურისტს საუბარი „ემოციურ მასალაზე“ აევო. თავის მხრივ, ლექტორმა არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მის მსმენელებს — მერვეკლასელებს ჯერ კიდევ ნახევარი წელიწადი რჩებოდათ სამართლის კურსის მიხედვით სისხლის სამართლებრივი საკითხების შესასწავლად. შედეგად, საუბარმა მოსწავლეებს ზიანი მეტი მოუტანა, ვიდრე სარგებლობა.

ამაში მეტადნდება ამ პროცესის ერთ-ერთი, ყველაზე მკაფიო და აშკარა წინააღმდეგობა, რადგანაც მას საფუძვლად მხოლოდ მშრალი კანონი უდევს. პედაგოგი იურისტი არ არის და ვერც გახდება, თუნდაც მკვეთრად გაიზარდოს სამართლებრივი საკითხების შესწავლა პედაგოგიურ ინსტიტუტებში. არც იურისტი პედაგოგი და ვფიქრობთ, არც აქვს ამის სურვილი. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, ხოლო საქმე რომ წინ წავიდეს, საჭიროა გადაისინჯოს მისი ორგანიზაციისადმი მიდგომა.

ეს კი ნიშნავს, რომ მასწავლებლის სპეციალური იურიდიული მომზადების პრობლემა, პირველ რიგში, უმაღლეს სასწავლებლებში იურიდიული საყოველთაო სწავლების კონცეფციის ჩარჩოებში უნდა გადაიჭრას, რომელიც მი-



მართულია თანამედროვე მასწავლებელი-მოქალაქის მოსამზადებლად. სწავლის სასწავლებლად მისი პროფესიონალური მომზადება კორექტირებული უნდა იყოს საშუალო სკოლაში სამართლებრივი კურსის ახალი შინაარსის შესაბამისად, რაც განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეთა იურიდიული საყოველთაო სწავლების ზოგადი ჩანაფიქრით, ამასთან, მომზადების სიმძიმის ცენტრი მეთოდურ-პედაგოგიურ სფეროზე უნდა გადავიტანოთ.

და აი, აქ უნდა შეეჩერდეთ მეორე დაბრკოლებაზე, რომელმაც არანაკლები როლი შეასრულა იმაში, რომ სკოლაში სამართლებრივმა კურსმა დროის გამოცდას ვერ გაუძლო.

პედაგოგიკას თავისი კანონები აქვს. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებათა გათვალისწინებაა. სწორედ ეს იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ რატომ არ მოგვცა სამართლებრივმა კურსმა სავარაუდო ეფექტი. საქმე იმაშია, რომ მისი პროგრამაცა და დამხმარე სახელმძღვანელოც გ. დავიდოვის რედაქციით (რომელმაც პედაგოგთა უარყოფითი რეცენზიების მიუხედავად, ყველასათვის მოულოდნელად, მაინც მიიღო სახელმძღვანელოს სტატუსი), შემუშავებული იყო იურისტიკათვის დამახასიათებელი, მაგრამ მოსწავლეთა და პედაგოგთათვის მიუღებელი მანერით.

სახელმძღვანელოს სტრუქტურაზე საუბარი საჭირო არ არის, თუმცა მასში სსრ კავშირის კონსტიტუციის შინაარსის სწორედ მექანიკური გადატანის ცდების გამო, სასწავლო წლის შუა პერიოდისათვის სამართალზე წარმოდგენის ისეთი კონგლომერატი აქვთ მოსწავლეებს გონებაში, რომ საგნის შესწავლისადმი, ზშირად კი თვით კანონმდებლობის მიმართ მყარი ნეგატიური დამოკიდებულება უმუშავდებათ. მთავარი მაინც ის არის, თუ როგორ გადასცემენ სამართალს.

გაესაუბრეთ სამართლებრივი კურსის ნებისმიერ მასწავლებელს. თუ ის შემოქმედებითი ბუნების ადამიანია, მოგიყვებათ როგორ ცდილობს რაღაც გამოიგონოს, გამოსავალი იპოვოს, რათა მოსწავლეებს როგორმე გადასცეს გაკვეთილის პროგრამით გათვალისწინებული მასალა. საყურნალე ან საგაზეთო სტატიას ჩაურთავს გაკვეთილის მსვლელობაში, მოყვება შემზარავ ისტორიას სისხლის სამართლის ქრონიკებიდან, სპეცსკოლითა და კოლონიით შეაშინებს ბავშვებს. სხვა კი, უბრალოდ ხელს ჩაიქნევს: რა შეიძლება გააკეთო კვირაში ერთი საათის განმავლობაში, ისიც ამგვარი სახელმძღვანელოთი.

დარღვეულია პედაგოგიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი — მასალის ემოციური დატვირთვის აუცილებლობა, პიროვნებასთან, ცხოვრებასთან მისი „მიახლოება“ არასამართლებრივი ხასიათის მასალით თემის „გამოცოცხლების“ ცდებს ასეთ მაგალითებამდე მივყევართ: აი, მოზარდის სინდისის გაღვიძების მაგალითი. ყურნალისტთან საუბრისას ბიჭუნამ თქვა: „ჩვენ პოკეის ვთამაშობდით ვიღაცის სახლთან. მეზობლის ქალი გამოვიდა და გვთხრა: „ბავშვებო, გთხოვთ ნუ ყვირით, მე თავი მტკიავ“. „სისულელეა!“ — ვთქვი მე და ჩვენ გავაგრძელეთ თამაში. მაგრამ, აი, მეც გავხდი ავად. სიცხე მქონდა. ამ დროს კი ჩვენი სახლის კედელს ბურთს ურტყამდნენ... გამახსენდა მეზობლის თხოვნა და შემრცხვა...“

მეტი პრეტენზია შეიძლება წაუყენოთ კონტრპროპაგანდისათვის გათვალისწინებული მასალის ხარისხს. ამ მიზნით შექმნილი სახელმძღვანელოს კონცეფცია — ვთქვით, რა არის კარგი ჩვენთან, რა არის ცუდი „მათთან“ და — ყველამ დაიჭერა, სოციალიზმის უპირატესობაში დარწმუნდა. თუმცა რახანია



დამტკიცებულია, რომ „პირდაპირ“ კონტრპროპაგანდას წარმატება არ მოაქვს. უმუშევრობა, ნარკომანია, დამნაშავეობა და ბურჟუაზიული საზოგადოების ცხოვრების სხვა პრობლემები კარგადაა ცნობილი საშუალოდ ნაკითხი ნებისმიერი მოსწავლისათვის. აი, აქ უნდა გამოვიყენოთ სამართლებრივი კურსის ქეშმარიტად უზარმაზარი კონტრპროპაგანდისტული შესაძლებლობები! მაგრამ ამ საკითხებს სახელმძღვანელო ოდნავაც ვერ წყვეტს.

მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის საქმეში ჩვენი დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი სამართლის კურსისათვის გამოყოფილი დროის (34 საათი) აშკარა სიმცირეცაა. ამის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა. და იურისტების მიერ განათლების მუშაკთა მიმართ გამოთქმული საყვედურები საფუძვლიანად ჩაითვლებოდა, საათების მომატების მოთხოვნა ტრადიციული რაოდენობრივი მიდგომის ფარგლებს რომ სცილდებოდეს. ყველა ხედავს, რომ სამართლებრივი კურსი, მისი პროგრამა, სახელმძღვანელო და სხვა ატრიბუტები ქმედითი არ არის, მაგრამ ახლად შეთავაზებულ გაფართოებულ კურსსაც არ გამოუწვევია პედაგოგებს შორის დიდი ენთუზიაზმი. და მაინც როგორია მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის პრობლემათა კონსტრუქციული გადაწყვეტის გზები?

მთავარი აშკარაა — საჭიროა სასწავლებლებში სამართლებრივი აღზრდის ახალი თანამედროვე კონცეფცია, რომელიც მოსწავლეთათვის სამართლებრივი ცოდნის მაქსიმალურად სრული მოცულობით გადაცემისაკენ კი არ იქნება მიმართული, არამედ საზოგადოებაში სამართლის რეგულატორული ფუნქციების, მისი ზნობრივი განპირობებულობის, სამართლის სპეციფიკის წარმოსაჩენად. იურიდიული მასალის ცხოვრებასთან მიახლოება არის სასწავლო სახელმძღვანელოებში, მასწავლებელთა საქმიანობაში სამართლის მეთოდური ინტერპრეტაციის საფუძველი.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი კონცეფციის ლოდინი დიდხანს აღარ მოგვიწევს. წარმატება კი მხოლოდ მაშინ მოვა, როცა მოსწავლე სამართალს შეიმეცნებს არა როგორც დოგმას, არამედ მასში ადმიანურ ურთიერთობათა სისტემას დაინახავს; როცა იგი კანონთა ზუსტი ფორმულირებების უაზრო ზუთხვას გადაეჩვევა და მის არსს, აუცილებლობასა და სარგებლიანობას შეიგნებს. უნდა დავეხმაროთ მოსწავლეს კანონის სპეციფიკა სიტყვით კი არა, არსით გაიგოს.

განათლების სისტემის გარდაქმნა კოლოსალურ პერსპექტივას ქმნის ამ მიმართებით. სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსა და სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის განკარგულებაში დღეისათვის მე-8 კლასისათვის განკუთვნილი სამართლის ორი სასინჯი სახელმძღვანელოს ზეღნაწერია. გამომცემლობა „პროსვეშენიემ“ გაითვალისწინა მათი გამოცემა. მეტიც, მიღებული და რეალიზებულია უპრეცედენტო გადაწყვეტილება — ერთ-ერთი ვარიანტი გამოქვეყნდეს დარგობრივ პედაგოგიურ ჟურნალში, რათა მას ყველა მასწავლებელი გაეცნოს. ამ ორ დაინტერესებულ უწყებას საკმარისი ძალა აქვს, რომ გულმოდგინე ექსპერტიზა ჩაატაროს და გადაწყვიტოს, თუ რომელი სახელმძღვანელოა უკეთესი.

სკოლაში სამართლის სწავლების ორგანიზაციაზე ბევრად იქნება დამოკიდებული იურიდიული საყოველთაო სწავლების წარმატება. თუმცა, დამოუკიდებელი, სრულფასოვანი, „მოქმედი“ სამართლებრივი კურსის ორგანიზაცია მხოლოდ პირველი რიგის ღონისძიებაა.



კარგი ინიციატივა გამოავლინა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდის განყოფილებამ. მისი ეგიდით და პედაგოგთა თანამშრომლობით შექმნა (დღეისათვის განხილვის პროცესშია) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის 1-ლი — მე-10 კლასების მოსწავლეთა სამართლებრივი სწავლების პროგრამა, რომლის მიხედვითაც სკოლაში სამართლებრივი სწავლებისა და აღზრდის მიზანია საფუძველი ჩაუყაროს. მოსწავლეთა სამართლებრივ კულტურას, მოქალაქეობრიობას, მოამზადოს ისინი სხვა სასწავლებლებში (პროფტექსასწავლებლებში, ტექნიკუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში, კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტებსა და სხვ.) სამართლებრივი სწავლის გასაგრძელებლად. მოსწავლეებმა სამართლებრივი ცოდნა იმ მოცულობითა და იმ სახით უნდა ათვისონ, რომ თანამიმდევრულად ჩამოუყალიბდეთ სამართლისადმი მყარი ინტერესი, მისი პატივისცემა, სამართლებრივი თვალსაწერიდან გარემომცველი სინამდვილის ანლიზისა და თანამედროვე ცხოვრებაში გარდაქმნის ამოცანათა გადაწყვეტაში სამართლის უზარმაზარი ძალის გაგების უნარი.

პროგრამა მოიცავს კლასების მიხედვით განაწილებული თემებისა და კონკრეტული საკითხების ნუსხას, ამასთან, ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს, ზნეობრივ და სამართლებრივ ნორმებში წვდომის ლოგიკას. მაგალითად, 1-ლი, მე-4 კლასებისათვის შემოთავაზებულია თემა — „საგზაო მოძრაობის წესები“. პირველ კლასში მოსწავლეები ეცნობიან თუ რისგან „შედგება“ ქუჩა (ტროტუარი, სავალი ნაწილი, გზაჯვარედინი და სხვ.) რა არის შუქნიშანი, როგორ გამოიყურებიან საგზაო ნიშნები „გადასასვლელი“ და „ფრთხილად, ბავშვები!“ ეუფლებიან ქუჩაში გადასვლის წესებს, ასწავლიან თუ სად შეიძლება თამაში და სად არა, როგორ უნდა მოვიქცეთ საზოგადოებრივ ტრანსპორტში.

დაბალ კლასებში მიღებულ კონკრეტული ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმების ცოდნას მაღალ კლასებში მოსწავლეები უმატებენ ზოგად წარმოდგენას საბჭოთა სამართლის არსის, მისი ჰუმანური, დემოკრატიული ბუნების შესახებ.

იტყვოდ

სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სამართლებრივი მასალის სწავლების ორგანიზაციის საკითხის გადაწყვეტა მასწავლებლისათვის იოლი როდია. ეფიქრობთ, რომ სამართლებრივი სწავლების ეგრეთწოდებულ „საუბრებამდე“ დაყვანა სკოლაში იურიდიული საყოველთაო სწავლების საფუძველში ჩაკვლას ნიშნავს. სამართლებრივი ცოდნისათვის ადგილი უნდა მოვნახოთ არსებულ და ახალ სასწავლო კურსებში. დროა ვაღიაროთ, რომ თუ სამართალი სასკოლო სწავლებაში სათანადო ადგილს დაიკავებს, შესაძლებელი იქნება დიდი აღმზრდელობითი ეფექტის უზრუნველყოფა.

სასკოლო გეგმებში აღმზრდელობითი მუშაობის 8-12 მიმართულებაა. მათ შორის, გარდა სამართლებრივისა, არის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი, ეკონომიკური, სამხედრო-პატრიოტული, ეკოლოგიური და სხვ. თითოეული მათგანი ითვალისწინებს თავისი სპეციფიკური შინაარსის შესაბამისად მოსწავლეთა ცნობიერების ერთი რომელიმე სფეროს განვითარებას. დღეისათვის სკოლაში აღზრდის პროცესი დანაწევრებულია და ვიდრე იგი ერთ მთლიან სხეულად არ შეიკვრება მოსწავლის გარშემო, წარმატებას ვერ მივაღწევთ.

ალბათ, დადგა დრო მის ახალ სტრუქტურაზე ვიფიქროთ. ამ პროცესის ყველა მიმართულების შინაარსი, რომელიც სიტყვიერ ზემოქმედებაზეა დამ-



ყარებული, ვრთ კურსში უნდა გავაერთიანოთ და პირობითად ვუწოდოთ, ვთქვათ, „მოქალაქეობათმცოდნეობა“.

მაგრამ ეს ტრადიციული კურსი არ უნდა იყოს. თითოეული გაკვეთილი გარემომცველი ცხოვრების აქტუალურ პრობლემათა შემეცნებაში დაინტერესებული, მოსწავლის აქტიური მონაწილეობის პროცესად უნდა იქცეს.

„მოქალაქეობათმცოდნეობის“ კურსის კონცეფცია შეიქმნა სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიაში. მისი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია შინაარსობრივი და მეთოდური კომპონენტების ჰარმონიული შეხამება. უმაღლესი განათლების მქონე და მიმდინარე პერიოდიკის მცოდნე პედაგოგს მის სასწავლებლად დამატებითი სპეციალური ცოდნა არ დასჭირდება. თუმცა, აუცილებელია სათანადო მეთოდური მომზადება. ისეთი საგნები კი, როგორცაა სამართალი, ფილოსოფია, პოლიტეკონომია, ეთიკა, ესთეტიკა, მეცნიერული ათეიზმი, ეკოლოგიის საკითხები და სხვ., რომლებიც აქამდე უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში ზოგადსაგანმანათლებლო მიზნით ისწავლებოდა, გამოყენებით მიმართულებას შეიძენს.

სამართალს (ისევე, როგორც მორალს) ამ კურსში მოწინავე როლი ეკისრება. ეს კონცეფცია ჯერჯერობით ოთხწლიან სწავლებას ითვალისწინებს — მეხუთედან მერვე კლასის ჩათვლით.

ვცადოთ წარმოვიდგინოთ „მოქალაქეობათმცოდნეობის“ ერთ-ერთი გაკვეთილის სტილი და სულისკვეთება რომლის თემაა „მუქთახორა“ და მეხუთე კლასში ტარდება. ეს ტერმინი ბავშვებისათვის 10-11 წლიდანაა ცნობილი. მათ არაერთხელ მოუსმენიათ, თუ როგორ ხმარობენ ამ სიტყვას ნაცნობი თუ უცნობი ადამიანები იმ საეჭვო პირთა მიმართ, ხშირად უსაქმოდ რომ იკრიბებიან სადარბაზოებში, დახეტიალობენ ქუჩებში. რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ამ ცნების ჭეშმარიტი და სრული აზრის ახსნა ბავშვებისათვის, გაკვეთილის მიზანი მაინც სხვაა — ტერმინის ნეგატიურ შინაარსზე ბავშვების ელემენტარული წარმოდგენის გათვალისწინებით, მისცეს მათ შესაძლებლობა მასწავლებლებთან ერთად იფიქრონ, იმსჯელონ პატიოსანი შრომის ზნეობრივ ასპექტზე, ასეთი შრომისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულებაზე და ამ პრინციპებიდან გადახვევაზე, რაც შრომის კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. გაკვეთილის შესაძლებლობები უსაზღვროა. ეს არის — ადამიანის შრომისადმი დამოკიდებულების ეკონომიკური ასპექტები, სოციალური სამართლიანობის პრობლემები, სოციალურ პრობლემათა გადასაწყვეტად პარტიისა და სახელმწიფოს საქმიანობის ჩვენება. მთავარი კი ის არის, რომ ასეთ გაკვეთილზე ბავშვებს უყალბდებათ მყარი ნეგატიური დამოკიდებულება მათ მიმართ, ვინც საზოგადოების შრომითი ურთიერთობების სფეროში ზნეობრივ და სამართლებრივ ნორმებს არღვევს.

ამგვარად, გაკვეთილის მსვლელობისას ბავშვები მათთვის მისაწვდომ დონეზე ეცნობიან საზოგადოების პრობლემათა ერთობლიობას, და იმავდროულად, ამ პრობლემათა გადაწყვეტის გზების დანახვასაც სწავლობენ.

ახლა ავიღოთ მოსწავლეთა გონებისათვის ძნელად აღსაქმელი თემები, რომლებმაც მათ ეროვნებათშორისი ურთიერთობების, პოლიტიკის სფერო უნდა გააცნოს: „ფაშიზმი“, „გენოციდი“, „ნაციონალიზმი“, „ინტერნაციონა-







მამის სახე მხოლოდ სურათებიდან შემორჩა. ოცნებაში წასული ზოგჯერ სიზმარივით აღიდგენდა ხოლმე საყვარელი მამის ლანდს იმ საბედისწერო ღამის შედეგად რომ შემოინახა მესხიერებამ. მაგრამ მონატრება მიიწი ამოიყო, რადგან შემდგომ წლებშიც ფუქად ჩაიარა ოცნებისა და იმედის აღსრულების ყოველგვარმა მოლოდინმა.

ცხოვრებას კი თავისი დაუწერელი კანონები აქვს და ამ კანონის წყალობით სანთელსაკმეველი თავის გზას არ ჰკარგავს. ადრე თუ გვიან ჭკუშპირიტებამ მიიწი იცის ნამდვილი ზეიმი. ცილა უბერისათვის ასეთი ბედნიერება 1957 წელს მოვიდა, როდესაც მამის რეაბილიტაციის ამბავი გაიგო. შეუენობელი და აუხსნელი რამ ხდებოდა იმ დღეს მათ ოჯახში. დედის თვალეში ადრეც ბევრჯერ უნახავს ცრემლი, მაგრამ იმ დღის ცრემლი მიიწი სულ სხვანაირი იყო, სხვანაირი კი არა, როგორღაც საამაყო, ახალი ცხოვრების იმედიანი და კეთილ საქმეთა მაცნე-მეგზური, მოტრჩინელმა ტკივილმა და უდიდესმა სევდამ ერთნაირად გაავსო ცილა უბერიც. მაგრამ მიიწი არ გამობრტყებულა, სულით ისევ წმინდა და სპეტაკ პიროვნებად დარჩა. ისეთ პიროვნებად, რეაბილიტირებულ მამას რომ სურდა ყოფილიყო მისი შვილი.

ამ დროისათვის ცილა უბერი უკვე პრაქტიკოსი იურისტი იყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი წარმატებით მუშაობდა რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოსა და იუსტიციის ორგანოებში, იყო აქტიური, ერუდირებული სპეციალისტი და ერთგულად, პრინციპულად ემსახურებოდა სიყვარულით არჩეულ გზას. წლებმა და გამოცდილებამ კი თავისი მოიტანა, სადაც ჯერ არს იქაც შეამჩნიეს იურისტი ქალის ალღო. მისი უნარი და სახელმწიფო არბიტრად განამწესეს. მალე თბილისის საქარნო რაიონის სახალხო მოსამართლედ ირჩევენ, ხოლო შემდგომში იქიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრად გადაჰყავთ. ადვილია ცილა უბერის მიერ განვლილი გზის ასე მშრალად ჩამოთვლა. ხოლო რა უდიდეს გარჯას, კოდნას, ფიქრსა და შრომისმოყვარეობას იტევს ეს პერიოდი, ყველაზე კარგად იმ ადამიანებმა იციან, ვისთანაც მას მუშაობა მოუხდა, ვინც კი უშუალოდ ცხოვრებამ შეახვედრა. სწორედ ეს დიდი გამოცდილება და პასუხისმგებლობა გახდა იმის საფუძველი, რომ ცილა უბერი საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოში გადმოიყვანეს უფროს კონსულტანტად. ახალი აქაც არაფერი იყო მისთვის და ისიც ჩვეული

მუყაითობით შეუდგა მოვალეობის შესრულებას.

თავისი მუშაობის ხანგრძლივი და საინტერესო პრაქტიკიდან იურისტ ცილა უბერს ბევრი რამ აქვს გასახსენებელი. ვინ მოსთვლის რა ხასიათის, აზროვნების და მისწრაფების ადამიანს არ შეახვედრა იგი ბედმა. დამნაშავეთა კატეგორიები ხომ ამოუწურავია. ზოგი თავიდანვე იბადება ბოროტმოქმედად, ზოგსაც სხვა რამე გააბოროტებს და ააცდენს გზიდან, ისეთებიც მოიძებნებიან დანაშაული რომანტიკა რომ ჰგონიათ... მოსამართლემ ყველაფერი აფთიაქის სასწორზე უნდა აწონოს, ობიექტურად გაერკვეს წვრილმან დეტალებში. შეაფასოს როგორც დამამძიმებელი, ისე შემამსუბუქებელი გარემოებანი, გაითვალისწინოს სამართალში მიცემულის წარსული, ოჯახური მდგომარეობა, დამოკიდებულება მომხდარ შემთხვევასთან და ა. შ., სად ჩამოთვლის კაცი ყველა წვრილმანს... მაგრამ სწორედ ეს წვრილმანი უნდა იქცეს მსხვილმანად შემდგომში, საბოლოო განსჯის, განაჩენის, გადაწყვეტილების თუ განჩინების დასადგენად.

აი ამგვარად უყურებდა ყველა საქმეს მოსამართლე ცილა უბერი და არც როდისმე ჩავარდნილა უხერხულ მდგომარეობაში საკუთარი რწმენის, საკუთარი თავის წინაშე, რამეთუ, მამის ნათელი ხსოვნის აღსანიშნავად მიცემული ანდერძისათვის არასოდეს უღალატია. კანონისადმი ერთგულება და პატივისცემა, სამართლიანობა, ქვეყნისა და მოქალაქის სიყვარული იყო და არის მისი ცხოვრების მიზანი, რამაც მეგობრებისა და კოლეგების დამსახურებული სიყვარული, დაფასება და აღიარება მოუტანა.

ცხოვრობს იგი დღეს დედასთან და ქალიშვილთან, პატარა ნათიასთან ერთად მყუდრო, თბილ ბინაში და ბედნიერად გრძნობს თავს, რადგან სჯერა ზვალინდელი დღის, სწამს შვილის, ქვეყნის მომავალი. სამი თაობის ქალბატონებს განსაკუთრებულად უხარიათ ხოლმე 8 მარტის მოსვლა. გათენდება თუ არა ეს დღე, იებით, ენაქლებით, ღიმილითა და სიყვარულით ივსება მათი ოჯახი. ტუბილუელიც უტბადე ჩნდება სუფრაზე და შუშხუნა შამპანურით ილოცებიან. ისინი ხმამაღლა ამბობენ სიციცხლის სადღეგრძელოს, სიციცხლისა, რომელიც ჰაი, ჰაი, რომ ყველა გრძელდება საბედნიეროდ.

ჩვენც ვუერთდებით ამ სადღეგრძელოს. დაე, მხოლოდ ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს უბერებისათვის ყველა 8 მარტი, საერთოდ ყოველი დღე.



# სახელმწიფო ნოტარიუსი



რაიან ადამიანები. რომელთა ცხოვრებაც გარეგნულად მართალია არაფრით განსხვავდება თანატოლთა ბიოგრაფიისაგან, მაგრამ მისგან არჩეული გზა და საქმე როგორაც მინც გამორჩეული და შინაარსიანია. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ჩხოროწყუს სახელმწიფო ნოტარიუსი რაიანა ჩანქელიანი.

დაიბადა ლენტეხში, აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა; მისი ბავშვობის ოცნება იურისტება იყო და იგი 1973 წელს აუხდა, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. და იყო ამის შემდეგ სტუდენტური ცხოვრება თავისი სიტკბოთი და ნაღველით, განცდებითა და წარმატებებით.

რაიანამ უნივერსიტეტი წარჩინების დიპლომით დაამთავრა. გონებანათელი, შრომისმოყვარე იყო, პროფესორ-მასწავლებლებს სჯეროდათ მისი და ფიქრობდნენ, რომ კარგი მეცნიერი დადგებოდა. მართლაც, უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ რეკომენდაცია მისცა ასპირანტურაში გამოცდების ჩასაბარებლად. მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად რაიანამ უარი თქვა ამ მომხიბლავ, მაცდუნებელ წინადადებაზე. მიზეზი კი ფრიალ საპატიო პქონდა. ოჯახური მოვალეობა არ აძლევდა


თბილისში დარჩენის საშუალებას. მან ხომ ჯერ კიდევ მესამე კურსიდან დაუკავშირა თავისი ბედი თავისივე ფაკულტეტის სტუდენტს, რომელიც მშობლიურ რაიონში მიდიოდა სამუშაოდ. რაიანაც უყოყმანოდ გაპყვა თავის მეუღლეს საცხოვრებლად ჩხოროწყუში. რაიონში ჩავიდა და ერთი წუთითაც არ ყოფილა უქმად, მუშაობა დაიწყო დაბა ჩხოროწყუს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის იურისკონსულტად, აქვე მიიღეს კომუნისტური პარტიის წევრად.

1981 წლიდან რაიანა ჩანქელიანი ჩხოროწყუს რაიონის სახელმწიფო ნოტარიუსია. არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობა დაუხვდა ახალგაზრდა იურისტს ახალ სამუშაო ადგილზე. ჩხოროწყუს სანოტარო კანტორა მუდამ ჩამორჩენილთა შორის მოიხსენიებოდა. მოქალაქეები ხშირად გამოთქვამდნენ სამართლიან საყვედურებს, უყმაყოფილონი იყვნენ შესაბამისი ზემდგომი ინსტანციები. ენერგიულმა ახალგაზრდა ქალმა მიზნად დაისახა მოწინავეთა რიგებში ჩამდგარიყო და სანოტარო კანტორაში მოსული ადამიანები გულდაწყვეტილები არ გაეშვა უკან.

შრომისმოყვარემ, თავისი თავისადმი მომთხოვნმა, სამართლიანმა და კვალიფიციურმა სპეციალისტმა მალე შეაყვარა თავი რაიონის მოსახლეობას. ახალგაზრდა ნოტარიუსი მუშაობის დაწყებისთანავე ჩაება სახელმწიფო სანოტარო კანტორებს შორის გავლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და სულ მალე, 1983 წელს III საპრიზო ადგილი დაიკავა. ერთი წლის შემდეგ უკვე მეორე ადგილზე იყო, რისთვისაც იუსტიციის სამინისტროს და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. მომდევნო წელმა უფრო დიდი სიხარული მოუტანა რაიანას, ჩხოროწყუს სანოტარო კანტორა ახლა უკვე საუკეთესოდ ცნეს რესპუბლიკაში. არც შემდგომში დაუთმოა მოწინავეთა რიგები და გამარჯვებული გამოვიდა აგრეთვე გასული წლის შედეგებითაც.

გარდა თავისი სამსახურებრივი მოვალეობის მაღალკვალიფიციურად შესრულებისა რაიანა ჩანქელიანი აქტიურად იბრძვის მოსახლეობაში სამართლებრივი ცოდნის ამაღლებისათვის. ამ მიზნით რაიონულ გაზეთში სისტემატურად აქვეყნებს წერილებს სამართლის აქტუალურ საკითხებზე. მონაწილეობს ადგილობრივი რადიოს გადაცემებში, ატარებს ლექცია-საუბრებს წარმოება-დაწესებულებებში. ნოტარიუსი დიდ მუშაობას ეწევა სასოფლო საბჭოების მდივნებთან, აწყობს მათთვის თათბირ-სემინა-





რებს, ანზოგადებს შემოწმებული სასოფლო საბჭოების პრაქტიკას. სანოტარო საქმიანობის სრულყოფისათვის ახლად დანიშნული სასოფლო საბჭოების მდივნები 10 დღიან სტაჟირებას გადიან სანოტარო კანტორაში. შემოღებული აქვს ნოტარიუსის დღე, მიდის რომელიმე საწარმოში ან დაწესებულებაში და უშუალოდ იქ ატარებს სანოტარო მოქმედებებს, აძლევს იურიდიულ კონსულტაციებს.

ამასთან სახელმწიფო ნოტარიუსი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. არის სასამართლო-პროკურატურის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი, საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის წევრი, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე, სახალხო მსაჯული.

სანოტარო კანტორაში მუდამ ხალხმრავლობაა. აქ არა მარტო იურიდიული მომსახურებისა და კონსულტაციისათვის მოდიან ადამიანები, არამედ სხვა საკითხების გადაწყვეტაშიც ითხოვენ რჩევას. იციან რომ აქ მათ დახვდებით

ადამიანი, რომელსაც სხვებისადმი სიბოძო, ყურადღება, და თანაგრძნობა მოკარბებულიც კი აქვს, არა მარტო ახალგაზრდები, არამედ ასაკოვნებიც ხშირად ეკითხებიან რჩევა-დარიგებას ამ ქალს და ლოცავენ, მაღლობას ეუბნებიან იმათ, ვინც გაზარდა, ვინც ნღობა გამოუცხადა.

რაიანა ჩანქსელიანი ყველა სიკეთესთან ერთად მზრუნველი დედა და მეუღლეა. მისი მერვე კლასელი ვაჟი და მესამე კლასელი გოგონა ფრიადოსნები არიან. მეუღლე, ბეჟან ჩიქოვანი, ჩხოროწყუს რაიადმასკომის იურისკონსულტია.

ცხოვრობს ჩხოროწყუში ოჯახური და საზოგადოებრივი საქმით დატვირთული ერთი სვანი ქალი და იმედით, სიხარულით უყურებს მომავალს.

ყურნალ „საბჭოთა სამართლის“ მრავალრიცხოვანი მკითხველის სახელით გულწრფელად ვულოცავთ იურისტ ქალს მ მარტს, ქალთა მშვენიერ დღესასწაულს.




## მილიციის მაიორი



თუ საბურთალოს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამომიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელს, მილიციის მაიორს ციციანო ქურაძეს ვაიცნობთ, ალბათ გაგიკვირდებათ, რომ ეს სათნო სახის ახალგაზრდა ქალი ასეთ ვაჟკაცურ საქმეს ემსახურება. თუ მოუსმენთ მის საუბარს, ვაიფებთ მის გულისტკივილს, მიხვდებით, რომ მისი არჩევანი სწორია.

იურისტის პროფესიაზე არცეი უფიქრია. ცხოვრობდა ორჯონიკიძის რაიონის სოფელ მარელისში და ოცნებობდა ექიმობაზე. სწორედ ამიტომ, რვაკლასის დამთავრების შემდეგ, შევიდა ქ. თბილისის III სამედიცინო სასწავლებელში. მეორე კურსზე იყო ციცი, როდესაც თავის გულისწორს შეხვდა და ოჯახი შექმნა. მეუღლე მაშინ შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობდა და სწორედ მან გაუღვიძა ინტერესი იურისტის პროფესიისადმი. ყოჩაღი გოგონა კარგად უთავსებდა ერთმანეთს დიასახლისობას და სწავლას, თან უმადლესი სასწავლებლისათვისაც ემზადებოდა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 3 წელი იმუშავა ქალაქის ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში. ყურადღებიანი, გულთბილი მედდა პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა კოლექტოვში. პატიენტებშიც.





1970 წელს სხვადასხვა ორგანიზაციებიდან კომკავშირული საგზურით დაიწყო საუკეთესო ახალგაზრდების გაგზავნა შინაგან საქმეთა ორგანოებში. ციცი ქურდაძეც ამ ახალგაზრდათა შორის მოხვდა. სამუშაოდ გაგზავნეს ქ. თბილისის ქალთა კოლონიაში უფროს მედდად, უმცროსი ლეიტენანტის ჩინით.

ძნელი იყო ცხოვრებაზე ხელჩაქეულ ქალებთან ურთიერთობა, მაგრამ ციცი უმეტეს შემთხვევაში მაინც პოულობდა გზას მათი გულებისაკენ. ის მკურნალობდა არა მარტო მათ ფიზიკურ ტკივილებს, არამედ სულსაც, რამეთუ უხვად შეეძლო სითბოსა და ყურადღების განაწილება, რაც ასე აკლდათ მსჯავრდებულთ.

მალე თითქმის ყველაფრისადმი გულგრილმა ქალებმა შეიყვარეს ეს კაფანდარა გოგონა და გაჭირვების თუ სიხარულის უამს ხშირად აკითხავდნენ. 14 წელი იმუშავა ქალთა კოლონიაში სხვადასხვა უბანზე და ამ ხნის განმავლობაში ბევრს გაუღვიძა მიძინებული ადამიანური გრძნობები, ბევრს დაეხმარა ცხოვრების სწორ გზაზე დადგომაში.

„ციცი უფროსი“, როგორც მას ეძახდნენ, რამდენადაც შეეძლო, თვალყურს ადევნებდა უკვე გათავისუფლებული ქალების ცხოვრებას, ყვავ მათი მრჩეველი და თავგამოდებულ დამცველი იყო. ქალებმაც დაინახეს სიკეთე, შეიყვარეს, მაგალითად დაისახეს, ამის დასტურია ის სამადლობელი წერილები, რომლებიც უხვადაა მის პირად ფოსტაში.

მუშაობის პარალელურად ც. ქურდაძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და ახლა პროფესიონალ იურისტს გაუჩნდა სურვილი თავისი შესაძლებლობები გამოეცადა ცხოვრების უფრო რთულ უბანზე, მას კი იზიდავდა გამოძიებლის ხიფათით საგსე, მოუსვენარი ცხოვრება. სამსახურშიც ვერ ელეოდნენ კარგ მუშაკს, მაგრამ ბოლოს მათაც ირწმუნეს მისი არჩევანის სისწორე და გზა დაულოცეს. 1985 წლიდან ც. ქურდაძე საბურთალოს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელია.

რთულია გამოძიებლის ცხოვრება, მით უმეტეს ქალის, მაგრამ ციცი ამ საქმეში ვაუკაცებსაც არ უდებს ტოლს, მის სუსტ მხრებს ღირსეული ტვირთი მიაქვთ. მისი დევიზია: არცერთი დამნაშავე არ დარჩეს დაუსჯელი უდანაშაულო კი არავითარ შემთხვევაში არ მოხდეს განსასჯელის სკამზე.

გამომძიებელს დიდად აწუხებს ის, რომ მოქმედ კანონმდებლობაში საკამოდაა მუხლები, რომლებიც მცირემნიშვნელობის დანაშაულისათვის ითვალისწინებენ თავისუფლების აღკვეთას, რომ პირველად არამიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირები ხდებიან შრომა-გასწორების დაწესებულებებში, იქ კი მათი გამოსწორება-აღზრდის ნაცვლად ხშირად საპირისპირო შედეგს ვიღებთ, რომ ბოლო დროს საგრძნობლად იმატა არასრულწლოვანთა დანაშაულობა.

— ალბათ ჩვენ შევიღებთ მოაკლდათ მშობლების გულის სითბო, საერთოდ, ადამიანები თითქოს გაცივდნენ ერთმანეთის მიმართ, გულგრილობა კი სათავეა ყოველგვარი ბოროტებისა — ამბობს ციცი.

კარგად იცის დროის ყადრი. მაქსიმალურად აქვს დატვირთული სამუშაო დღე, ზუსტად განსაზღვრული ყოველი სამუშაო საათი. ამიტომ არის, რომ საქმეს ყოველთვის დროულად აკეთებს. მიუხედავად დამაბული შრომისა, მაინც პოულობს დისერტაციაზე მუშაობის დროს.


ციცი ქურდაძე ჩინებული ოჯახის პატრონი, შესანიშნავი დედა და მეუღლეა. უფროსი ქალიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საღამოს სწავლების IV კურსის სტუდენტი, ამავე დროს წყალსადენის ნაგებობათა დაცვის სერჟანტია. უმცროსმა ქალიშვილმა წელს დაამთავრა სკოლა და ისიც იურისტობაზე ოცნებობს. მეუღლე — ოთარ ნოდია კალინინის რაიონის არასაუწყებო დაცვის ოცმეთაურია.

მოვიდა ქალთა შესანიშნავი დღესასწაული 8 მარტი, ყურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქცია ამ ღამაზე დღესასწაულს ულოცავს ციცი ქურდაძეს.

ზაირა მარტიაშვილი.







# დანაშაულის ჩადენის ადგილის სხვაობის

ოთარ გამყრალიძე

დანაშაულის ჩადენის ადგილის საკითხი დიდი ხანია იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ეგრეთ წოდებული დისტანციური დელიქტების ჩადენის დროს. დისტანციურს უწოდებენ ისეთ დელიქტს, რომლის ჩადენა ერთ რომელიმე ადგილას კი არ წყდება, არამედ განაწილებულია, გრძელდება ორი ან მეტი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ტიპურ დისტანციურ დელიქტს წარმოადგენს შედეგიანი დელიქტი. როცა მოქმედების ჩადენას შედეგი უშუალოდ კი არ მოხდებს, არამედ ტერიტორიულად მისგან დაცილებულია. მაგალითად, დანაშავემ მსხვერპლს საწამლავი მისცა პოლონეთის ტერიტორიაზე, ხოლო შედეგი ვან-ხორციელდა, ესე იგი მსხვერპლი გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და ა. შ. ბუნებრივად წამოიჭრება კითხვა: სად, რომელი სახელმწიფოს ტერიტორიაზეა ჩადენილი ეს მკვლელობა?

თავდაპირველად ამ საკითხზე ორი მიმართულება უპირისპირდებოდა ერთმანეთს. აღრინდელი გერმანული დოქტრინა დანაშაულის ჩადენის ადგილად თვლიდა იმ ადგილს, სადაც დანაშაულებრივი მოქმედება განხორციელდა (ბარი, ლისტი, ბელინგი, ფრანკი). ამ მიმართულების თანახმად დანაშაული ჩადენილია იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც დანაშავემ თავისი დანაშაულებრივი ნება გამოავლინა. სწორედ მოქმედებაში ვლინდება დანაშაულებრივი ნება, ვინაიდან სისხლის სამართალი ადამიანის ბრალის პრინციპზეა აგებული. შედეგის განხორციელების ადგილი, ამ თვალსაზრისის მიხედვით, მნიშვნელობას კარგავს. შედეგი შემთხვევითია, იგი შეიძლება განხორციელდეს, შეიძლება არ განხორციელდეს. შედეგი არ გამოხატავს აუცილებლობას, ის შემთხვევით გარემოებებზეა აგებული.

გარდა ამისა, ეს მიმართულება გამართლებულად მიაჩნდათ აგრეთვე პროცესუალური მონაწილეობითაც, ვინაიდან მოქმედების ჩადენის ადგილას იმყოფება დანაშავე, აქვე რჩება დანაშაულის კვალი, აქ არიან მოწმეები და სხვ.

დანაშაულის ჩადენის ადგილად იმ სახელმწიფოს ტერიტორიის მიჩნევა, სადაც მოქმედება განხორციელდა, თავის დროზე რეკომენდებული იყო საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის მიერ მიუნენში გამართულ სხდომაზე 1888 წ. გერმანელი კრიმინალისტების ბარნი და ბრუნსის მოხსენებათა საფუძველზე. ეს დებულება აღიარებული იქნა აგრეთვე 1932 წ. ჰააგის შედარებითი სამართალმცოდნეობის საერთაშორისო კონგრესზეც (დონედანი და ფაბრესა და კომპის მოხსენებათა ზეგავლენით).

მეორე მიმართულების წარმომადგენლები უპირატესობას იმ ადგილს აძლევდნენ, სადაც შედეგი განხორციელდა. შედეგის თეორიის დამცველები თავიანთ თვალსაზრისს ასე ასახულებდნენ: შედეგის განხორციელების მერე აუკარავდება დანაშაულის შემადგენლობა და იღებს თავის დასრულებულ ფორმას; სწორედ ტერიტორიალური პრინციპი მოითხოვს, რომ დანაშავე დასაჯოს იმ სახელმწიფოს კანონით, რომლის ტერიტორიაზეც წარმოიქმნა შედეგი, ვინაიდან აქ მოხდა სამართლებრივი სიკეთის დაზიანება. ის სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც მხოლოდ მოქმედება იყო ჩადენილი, არ დაზიანებულა, მისი სიკეთის ბელყოფა არ მომხდარა. ძნელი ასატანი იქნებოდა, რომ სახელმწიფოს, რომლის საზღვრებს შიგნით განხორციელდა დანაშაულებრივი შედეგი, ვთქვათ, მსხვერპლის სიკვდილი, თავისი მართლწესრიგის ბელყოფა ურეაქციოდ დაეტოვებინა. შედეგის თეორიის თავგამოდებულ დამცველად ითვლებოდა ფრანგი იურისტი კარაული. ეს თვალსაზრისი არაპირდაპირ გამომდინარეობდა აგრეთვე ესპანეთის კანონმდებლობიდან. აღნიშნული პრინციპი აისახა შუა და სამხრეთამერიკული ქვეყნების კოდექსებშიც (მექსიკა, კოლუმბია, კუბა, ეკვადორი, პონდურასი, ვენესუელა).

როგორც ვხედავთ, ამ ორ მიმართულებას შორის შეურიგებელი წინააღმდეგობაა. თუმცა,

1 იხ. Deutsche Strafrechtliche Landesreferate Fum VII internationalen Kongres für Rechtsverleichung, Pescara, 1970, Berlin, 1971, 35. 55-56.  
2 მითით. ნაშრომი. გვ. 56.



როგორც აქ მოტანილი არგუმენტებიდან აშკარავდება, შეუძლებელია რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭება. მართლაც, ვის შეუძლია იმის დასაბუთება, რომ სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც მოქმედება იყო ჩადენილი, არა აქვს უფლება დასაჯოს დამნაშავე, ისევე, როგორც ამ უფლებას ვერ წაგართმევთ იმ სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზე დანაშაულებრივი შედეგი განხორციელდა. სახელმწიფო სუვერენიტეტის აშკარა შეზღუდვა იქნებოდა ერთ-ერთი ამ თვალსაზრისისათვის უპირატესობის მინიჭება და მეორის უგულვებელყოფა. მოქმედების თეორიის დამცველები როდი არიან მთლად მართლები, როცა ამტკიცებენ, თითქოს შედეგის განხორციელების ადგილი არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის ჩადენის ადგილად, თითქოს შედეგი შემთხვევითია და ა. შ. რა ვუყოთ ისეთ შემთხვევას, როცა დამნაშავე მოქმედებს ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და წინასწარ აქვს გამიზნული, რომ მისი მოქმედების შედეგი მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელდება? ვთქვათ, ვინმე თურქეთის ტერიტორიიდან თოფს ესვრის მოსაკლავად კაცს, რომელიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იმყოფება დაკლავს მას. განა შეგვიძლია იმის მტკიცება, რომ საბჭოთა სახელმწიფოს არა აქვს უფლება დასაჯოს დამნაშავე, რომელიც დააზიანა ჩვენი სახელმწიფო ჩვენსავე ტერიტორიაზე? მერე რა, რომ დამნაშავე სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე იღვას, როცა თოფის ჩაბმას ხელი გამოჰკარა?! ამის გამო მოქმედების თეორიის დამცველები იძულებული გახდნენ შემუშავებინათ ეგრეთ წოდებული „გრძელი ხელის ან გაგრძელებული ხელის, ანდა გაფართოებული მოქმედების ცნება“<sup>3</sup>. მაგრამ ასეთი ფიქციები, რასაკვირველია საქმეს ვერ შევლიდა. ამიტომ იყო, რომ ამ საუკუნის დასაწყისიდან თანდათანობით შემუშავდა მესამე თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ყველა სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც დანაშაულის რაღაც ნაწილი, რომელიც რაღაც მანძილზე მოხვდა, უფლება აქვს დასაჯოს დამნაშავე ტერიტორიალობის პრინციპის საფუძველზე (Ubiquitätstheorie, oder Einheitstheorie, Теория повсеместности, или теория единства, სუყველგანობის ანუ შერიუთი თეორია, ანდა ერთიანობის თეორია)<sup>4</sup>. ამ თვალსაზრისის მიხედვით დამნაშავის დასჯის პრეტენზია, მისი დასჯის უფლება თანაბრად ეძლევა იმ სახელმწიფოსაც, რომლის ტერიტორიაზეც მოქმედება იყო ჩადენილი და იმასაც, სადაც შედეგი განხორციელდა. მ. ბლუმის აღნიშნავდა, რომ ეს ხაკითხი XX ს. დასაწყისისათვის რამდენიმე ქვეყანაში (გერმანია, საფრანგეთი, რუსეთი) ერთდროულად შემუშავდა. გერმანიაში ამ ხაკითხის დამუშავება კ. ბინდინგის სახელს უკავშირდება, ხოლო რუს კრიმინალისტთა შორის ამ თეორიის პირველ წარმომადგენლად ნ. სერგეევსკის ასახელებენ<sup>5</sup>.

სუყველგანობის თეორია ამჟამად უპირატესად გავრცელებულია კონტინენტური ევროპის სახამართლო პრაქტიკაში და იურიდიულ ლიტერატურაში. ბევრ ქვეყანაში ეს პრინციპი უკვე კანონმდებლობაშიც კი აისახა. მაგალითად, დასავლეთ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მეცხრე პარაგრაფის მიხედვით „დანაშაულებრივი ქმედობა იმ ადგილას არის ჩადენილი, სადაც დამნაშავემ იმოქმედა ან, უმოქმედობის შემთხვევაში, ვადლებული იყო ემოქმედა ანდა იქ, სადაც შემადგენლობის შესაბამისი შედეგი განხორციელდა ანდა დამნაშავის წარმოდგენით უნდა განხორციელებულიყო“ (ნაწ. I).

დანაშაულის ჩადენის ადგილის ამ პრინციპის მიხედვით ძალიან ადვილად წყდება დანაშაულში თანამონაწილეთა ტერიტორიული პასუხისმგებლობის ხაკითხიც. დასავლეთ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის იმავე პარაგრაფის მიხედვით „თანამონაწილეობა ჩადენილად ჩაითვლება იმ ადგილასაც, სადაც დანაშაულის ამსრულებელი მოქმედებდა, და იქაც, სადაც თანამონაწილის მოქმედება განხორციელდა, ანდა, უმოქმედობის შემთხვევაში, სადაც უნდა ემოქმედნათ ან სადაც მათი წარმოდგენით ამსრულებითი მოქმედება უნდა ყოფილიყო ჩადენილი. თუ თანამონაწილემ სასჯდარშიგანდან მიიღო მონაწილეობა სასჯდარგარეთ ჩადენილ დანაშაულში, თანამონაწილის მიმართ გამოიყენება გერმანული სისხლის სამართალი მშინაც კი, როცა აღსრულებითი მოქმედება მოქმედების ჩადენის ადგილას არ ისჯება“ (ნაწ. II).


დანაშაულის ჩადენის ადგილის სუყველგანობის პრინციპის სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართალიც იზიარებს. მაგალითად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1968 წ.

<sup>3</sup> М. И. Блум, Действие советского уголовного закона в пространстве, Рига, 1974, стр. 126.

<sup>4</sup> მ. ბლუმის, მით. ნაშრომი, გვ. 129; Ubiquitätstheorie-ს ქართულ შესატყვისად მე ვარჩიე „სუყველგანობის თეორია“, ესე იგი თეორია, რომლის მიხედვით დამნაშავეს პასუხისმგებლობა დაეკისრება სუყველგან, ყველა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც მისი დანაშაული ნაწილობრივ მანძილზე განხორციელდა.

<sup>5</sup> მ. ბლუმის, მით. ნაშრომი, გვ. 129, შენიშვნა 15.





12 იანვრის სისხლის სამართლის კოდექსის მე-80 პარაგრაფის თანახმად „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონები გამოყენება უკელა დანაშაულებრივი ქმედობის მიმართ, რომლებიც მის სახელმწიფოებრივ ტერიტორიაზე იყო ჩადენილი ანდა მათი შედეგები განხორციელდა ან უნდა განხორციელებულიყო ამ ტერიტორიაზე“ (I პ.).

ანალოგიური ნორმა გათვალისწინებულია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 1989 წ. 19 აპრილის სისხლის სამართლის კოდექსშიც. ამ კოდექსის მეორე პარაგრაფის მიხედვით „დანაშაული ჩადენილად ჩაითვლება იმ ადგილას, სადაც კაცმა მოქმედება განხორციელა ან არ ჩაიდინა მოქმედება, რომელიც უნდა ჩაედინა, ანდა იქ, სადაც წარმოიქმნა შედეგი ან სადაც ამ შედეგის დადგომა იყო გათვალისწინებული“.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 1979 წ. 1 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლითაც ასეთივე ნორმაა გათვალისწინებული: „თუ დანაშაულებრივი მოქმედება ან მისი შედეგი განხორციელდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მაშინ დანაშაულიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩადენილად ჩაითვლება“ (ნაწ. 8).

საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა 1958 წ. სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-4 მუხლის თანახმად „უკელა პირი ვინც დანაშაული ჩაიდინა სსრ კავშირის ტერიტორიაზე, პასუხს აგებს დანაშაულის ჩადენის ადგილას მოქმედი სისხლის სამართლის კანონების მიხედვით“. ანალოგიური ნორმა გათვალისწინებულია აგრეთვე ახლახან გამოცემული „საფუძვლების“ პროექტითაც (იხ. მუხ. მე-5). მაგრამ არც მოქმედი „საფუძვლები“ და არც დასახელებული პროექტი არ განსაზღვრავს „დანაშაულის ჩადენის ადგილის“ ცნებას. თუმცა, დანაშაულის ჩადენის ადგილის პრობლემა საკმარისად არის დამუშავებული საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში. ავტორთა უმრავლესობა იზიარებს ეგრეთწოდებულ სუვერენიტეტის პრინციპს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ დანაშაულის ჩადენის ადგილად ჩაითვლება არა მარტო მოქმედების ჩადენის ადგილი, არამედ იმ სახელმწიფოს ტერიტორია, სადაც დანაშაულებრივი შედეგი განხორციელდა. მ. ბლუმბი სწორად აღნიშნავდა, რომ „...დანაშაული სსრ კავშირის ტერიტორიაზე ჩადენილად უნდა ჩაითვალოს უკელა შემთხვევაში, როცა რომელიმე მისი ნაწილი, თუნდაც ერთი მისი რგოლი განხორციელდა (ცალკე მოქმედი ამსრულებლის ან თანამონაწილის მიერ) საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე“. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა სავსებით ეთანხმება სისხლის სამართლის მეცნიერების თანამედროვე მიდევრებს და სრულად შეესაბამება სახელმწიფო სუვერენიტეტის იდეას. ამავე დროს მე ვეთანხმები მ. ბლუმის წინადადებას, რომ „სუვერენიტეტის პრინციპი“ უნდა აისახოს საბჭოური სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც. მით უმეტეს, რომ მოქმედი კანონმდებლობა, როგორც წესით ითქვამს, საერთოდ არ განსაზღვრავს დანაშაულის ჩადენის ადგილის ცნებას.

სისხლის სამართლის კანონის სივრცეში მოქმედებას აქვს აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები, რომელიც საგანგებო განხილვის საგანს შეადგენს. საქმე ის არის, რომ საბჭოთა კავშირი ფედერაციული სახელმწიფოა, რომლის შემადგენლობაში შედის თნუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკა. ყოველ რესპუბლიკას, როგორც ვიცით, საკუთარი კანონმდებლობა აქვს. იზადება კითხვა: როგორი ურთიერთობები წარმოიშობა რესპუბლიკებს შორის კანონის სივრცეში მოქმედებასთან დაკავშირებით? პირველი კითხვა რომელიც ამ ასპექტში იზადება ასეთია: გამოიყენება თუ არა ერთი რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონი მეორე რესპუბლიკის ტერიტორიაზე? ეს ისეთი საკითხია, რომელიც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში საერთოდ არ წამოიჭრება. მაგალითად, ვინმემ დანაშაული ჩაიდინა თურქეთის ტერიტორიაზე, ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში და აქ ისევ ჩაიდინა მეორე დანაშაული. არავის არ მოაფიქრებია, რომ ამ კაცის მიმართ საბჭოთა კავშირში გამოიყენონ თურქეთის სისხლის სამართლის კანონიც და საბჭოთა კავშირის რომელიმე რესპუბლიკის, ვთქვათ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონიც. მაგრამ ძალიან ზნობია შემთხვევები, როცა დამნაშავეს სასამართლებენ ერთი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მეორე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონით. ერთი სახელმწიფოს კანონის მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამოყენება არ შეიძლება იმიტომ, რომ ყოველი სახელმწიფო სუვერენულია და სხვა სახელმწიფოს კანონი მის ტერიტორიაზე არ მოქმედებს. რატომ უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი სხვაგვარად იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონის სივრცეში გამოყენებას, თუკი ისინი თანაბარუფლებიანი სუვერენული რესპუბლიკებია? ამ საკითხის გადაწყვეტისას საბჭოური სისხლის სამართლის მეცნიერება და სასამართლო პრაქტიკა ეყრდნობა საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა 1958 წლის სისხლის სამართლის კანონის



ნონმდებლობის საფუძვლების მე-4 მუხლს, რომლის მიხედვით ყველა, ვინც დანაშაულს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩადენს პასუხს აგებს „დანაშაულის ჩადენის ადგილას მოქმედი სისხლის სამართლის კანონის მიხედვით“. აქედან კეთდება დასკვნა: კაცმა პასუხი უნდა აგოს იმ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონით, რომლის ტერიტორიაზედაც მან დანაშაული ჩადინა. იმ ფაქტს, თუ რომელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმდინარეობს სასამართლო პროცესი, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ეძლევა. ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში ტიპურია ისეთი შემთხვევები, როცა კაცს ჩადენილი აქვს ორი ან რამდენიმე დანაშაული სხვადასხვა რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ასეთ დროს დამნაშავეს მიმართ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე ორი ან რამდენიმე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონით. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს სისხლის სამართალი რესპუბლიკებს შორის ურთიერთობის დროს არ ცნობს პასუხიმგებლობის პერსონალურ პრინციპს. რაც შეეხება ტერიტორიულ პრინციპს, აქაც ვხვდებით გადახვევას სახელმწიფოთაშორისი ტერიტორიალური პრინციპიდან. რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოიყენება ის სისხლის სამართლის კანონი, რომელიც ამ ტერიტორიაზე, სადაც სასამართლო პროცესი მიმდინარეობს, არ მოქმედებს. ერთი რამ ცხადია, სხვადასხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის გამო ამა თუ იმ სახელმწიფოს კანონების გამოყენების პრინციპები არ შეიძლება ტრაფარეტულად გამოვიყენოთ რესპუბლიკებს შორის წარმოშობილი ურთიერთობების მოსაწყისრიგებლად. მაგრამ ძირითადი პრინციპები მათ შორის მაინც არ უნდა იყოს განსხვავებული.

იმას, რომ მოკავშირე რესპუბლიკის სასამართლო იყენებს კანონს, რომელიც ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ მოქმედებს, ზოგჯერ შეიძლება ერთგვარი უზერზულობაც კი შექმნას. მაგალითად, კაცმა ჩადინა საქართველოს ტერიტორიაზე ფალიციაცია (საქართველოს სსრ სსკ-ის 162-ე მუხლი) და იძულება (საქართველოს სსრ სსკ-ის 185-ე მუხლი). ამის შემდეგ წავიდა მოსკოვში და ჩადინა სპეკულაცია (რსფსრ სსკ-ის 154-ე მუხლი). იგი პასუხისგებაში მისცენ და ასამართლებენ მოსკოვის ერთ-ერთ სასამართლოში. მოხდა ისე, რომ სპეკულაციის ნაწილში ეს კაცი გამართლდა და მოგხსნა რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი. დავგრჩა იგი პასუხისგებაში მიცემული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე და 162-ე მუხლებით. მაგრამ ამ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები განსაკუთრებით ჩადენილი აქვს საქართველოს ტერიტორიაზე. კიდევ მეტი; ეს მოქმედებები რსფსრ ტერიტორიაზე საერთოდ არ ითვლება დანაშაულად. გამოდის, რომ მოსკოვის სასამართლოში ასამართლებენ კაცს იმ მოქმედებებისათვის, რომლებიც ჩადენილია სხვა რესპუბლიკის ტერიტორიაზე და თანაც ეს მოქმედებები რსფსრ ტერიტორიაზე საერთოდ არ ითვლება დანაშაულად.

ამ პრობლემატიკაში სხვა საკითხებიც წამოიჭრება, რომლებიც არცთუ იხე იოლი გადასაწყვეტია. ამიტომ ვფიქრობ, მომავალი საკანონმდებლო რეფორმისათვის ალბათ საჭირო იქნება საერთო-საქავშირო ინტერლოკალური კოლიზიური — ნორმების მიღება, რომელთა საშუალებით ეს საკითხები მოგვარდება. მაგალითად, კოლიზიური კანონმდებლობით, ჩემი აზრით, უნდა მოწყობილიყოს ასეთი საკითხი: ვთქვათ, ვინმემ ჩადინა ორი დანაშაული, ერთი საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო მეორე რსფსრ ტერიტორიაზე. ასეთ შემთხვევაში დამნაშავე, შეიძლება მიეცეს პასუხისგებაში საქართველოს ტერიტორიაზეც და რსფსრ ტერიტორიაზეც. კოლიზიური კანონით საჭიროა დადგინდეს, რომ ორივე დანაშაულისათვის უნდა გამოვიყენოთ იმ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონები, რომლის ტერიტორიაზეც დამნაშავეს ასამართლებენ. მაგრამ, თუკი რომელიმე აქ მითითებული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონით დამნაშავეს მიერ ჩადენილი ორი ქმედობიდან მხოლოდ ერთი ისჯება, მაშინ საქმე უნდა ვაინიშნოთ იმ რესპუბლიკის სასამართლომ, რომლის ტერიტორიაზეც არის ჩადენილი ორივე ქმედობა და ორივე მათგანი გამოცხადებულია დანაშაულად ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

დანაშაულის ჩადენის ადგილის განსაზღვრა ადვილია და არავითარ ეჭვს არ იწვევს იმ შემთხვევაში, როცა ქმედობა მთლიანად, მოქმედებაც (უმოქმედობაც) და შედეგიც, ერთი რესპუბლიკის ტერიტორიაზე განხორციელდა. მაგრამ ბევრ სირთულეს ქმნის ისეთი შემთხვევები, როცა დანაშაული იწყება ერთ რესპუბლიკაში და მთავრდება მეორეგან. რომელი რესპუბლიკის ტერიტორიაზეა ჩადენილი ეს დანაშაული? ეს საკითხი ღებვა ყველა სახის დისტანციური დელიქტის ჩადენის დროს. ახლანდელ გამოცემული საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის მიხედვით, თუ დანაშაული ჩადენილია ორი ან მეტი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, გამოიყენება იმ რესპუბლიკის კანონი, სადაც დანაშაული დამთავრდა ან აღიკვეთა. საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურასა და



სასამართლო პრაქტიკაში აღნიშნული პრობლემა სხვადასხვაგვარად წყდება სხვადასხვა დის-  
ტანციური დელიქტის მიმართ. მაგალითად, თუ დანაშაული მომზადდა ერთი რესპუბლიკის  
ტერიტორიაზე და განხორციელდა მეორე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, დანაშაული ჩადენილად  
ჩაითვლება იმ ადგილას, სადაც აღსრულებითი მოქმედება განხორციელდა<sup>7</sup>. ასევე წყდება  
საკითხი ორაქტიანი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც. კერძოდ, როცა სპექულაციის პირ-  
ველი აქტი (ყიდვა) ჩადენილია ერთი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ხოლო მეორე აქტი (გა-  
ყიდვა) — მეორე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, დანაშაულიც ამ მეორე რესპუბლიკის ტერი-  
ტორიაზე ჩადენილად ითვლება. ესე იგი იქ, სადაც მეორე აქტი (გაყიდვა) განხორციელდა<sup>8</sup>.  
პირიქით წყვეტენ საკითხს იმ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს შედეგიან დანაშაულთან. ვთქვათ,  
მოქმედება ჩადენილია ერთ რესპუბლიკაში, ხოლო შედეგი განხორციელდა მეორე რესპუბლი-  
კის ტერიტორიაზე. დანაშაული ჩადენილად ითვლება იმ ადგილას, სადაც მოქმედება განხორ-  
ციელდა<sup>9</sup>. სრულად საწინააღმდეგოდ წყდება საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში დენად და  
განგრძობად დანაშაულთა ჩადენის ადგილის საკითხი. ამ სახის დანაშაულთა ჩადენის ად-  
გილად თვლიან ყველა იმ რესპუბლიკას, რომელთა ტერიტორიაზეც შესაბამისი დანაშაული გან-  
ხორციელდა<sup>10</sup>.

როგორც ვხედავთ, საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში დანაშაულის ჩადენის ადგილის  
ერთიანი ცნება ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული. საბჭოური სისხლის სამართლის თეორია  
ანგარიშს უწევს და იზიარებს სუკველგანობის პრინციპს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის  
დროს, ვინაიდან ამას მოითხოვს სახელმწიფო სუვერენიტეტის იდეა, მაშინ, როცა არსებითად  
უგულვებელყოფილია ეს პრინციპი რესპუბლიკათაშორის ურთიერთობაში. დანაშაულის ჩადე-  
ნის ადგილის განსაზღვრისათვის იმ შემთხვევაში, როცა დისტანციური დელიქტი ნაწილ-ნაწილ  
ხორციელდება ორი ან მეტი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, კვლავ იყენებენ ეგრეთორობებულ  
„მოქმედების თეორიას“, რომელიც დიდი ხანია დაწუნებულია მეცნიერებაში. მართლაც, თუკი  
საბჭოთა კავშირის კანონით პასუხს აგებს ის, ვინც დანაშაულებრივი მოქმედება საზღვარგარეთ  
ჩადენდა, მაგრამ შედეგი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განხორციელდა, მაშინ რატომ არ  
უნდა ჩაითვალოს დანაშაულის ჩადენის ადგილად იმ რესპუბლიკის ტერიტორია, სადაც სხვა  
მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე შესრულებული მოქმედების შედეგი განხორციელდა?  
რესპუბლიკაც ხომ დამოუკიდებელი სახელმწიფოა, ისიც თანაბარუფლებიანი, სუვერენული  
სახელმწიფოებრივი წარმონაქმნია სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა მიმართ?

სხვა საბჭოელ ავტორთაგან განსხვავებით, ეს საკითხი სწორად აქვს გააზრებული და გადაწ-  
ყვტილი მ. ბლუმს. ყოველი „...რესპუბლიკა — წერდა მ. ბლუმი — უნდა ვალიაოთ ნების-  
მიერი დანაშაულის ჩადენის ადგილად, თუკი ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განხორციელდა  
დანაშაულებრივი ქმედობის ერთ-ერთი რგოლი, დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი ელემ-  
ენტი, განგრძობადი ან დენადი დანაშაულის ერთ-ერთი ეტაპი, დაუმთავრებელი დანაშაულის  
ერთ-ერთი სტადია, კანონით ალტერნატიულად გათვალისწინებული მოქმედებებიდან ერთ-ერთი  
მაინც“<sup>11</sup>. მაშასადამე, მ. ბლუმმა აღიარა სუკველგანობის თეორია იმ შემთხვევაშიც, როცა  
დისტანციური დელიქტი ჩადენილია ორი ან მეტი რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მისი აზრით,  
როცა ერთი დელიქტი ნაწილ-ნაწილ განხორციელდა ორი ან მეტი რესპუბლიკის ტერიტორია-  
ზე, მაშინ დანაშაული ჩადენილად ჩაითვლება თითოეული ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე და  
ყოველ მათგანს უფლება აქვს გამოიყენოს თავისი სისხლის სამართლის კანონი და დასაჯოს  
დამნაშავე. ეს აზრიც სახელმწიფო სუვერენიტეტის იდეას ემყარება. როგორც უკვე ვთქვით,  
ყოველი მოკავშირე რესპუბლიკა სუვერენულია, იგი დამოუკიდებელია სხვა მოკავშირე რეს-  
პუბლიკებისაგან, ამიტომ თითოეული მათგანი დაიცავს თავის მიერ დამუარებულ მართლწესრიგს  
იმ სახით, როგორც თვითონ აქვს გათვალისწინებული კანონით.

ზოგჯერ ამ მომენტს არ ითვალისწინებენ კანონის სივრცეში გამოყენების საკითხის გა-  
დაწყვეტის დროს. მაგალითად, ცნობილია, რომ დენადი დანაშაული, რომელიც ორი ან მეტი  
რესპუბლიკის ტერიტორიაზე გრძელდებოდა, თითოეული ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩა-  
დენილად უნდა ჩაითვალოს. ეს აზრი ერთმად არის მიღებული ჩვენს იურიდიულ ლიტე-  
რატურაში. მაგრამ როცა საქმე ეხება იმას, თუ რომელი რესპუბლიკის კანონი უნდა იქნეს გა-

7 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბილისი, 1976, გვ. 19.  
8 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, გვ. 20.  
9 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, გვ. 20-21;  
10 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, გვ. 21.  
11 М. И. Блум. Действие советского уголовного закона в пространстве, стр. 156.




მოყენებული დამნაშავის მიმართ, რატომღაც ავტორთა დიდი ნაწილი მხარს უჭერს იმ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონის გამოყენებას, რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს<sup>12</sup>. სასჯელის სიმკაცრის მიხედვით ამ საკითხის გადაწყვეტა, ვფიქრობთ, არაფრით გამართლებული არ უნდა იყოს, ვინაიდან ეს აზრი ეწინააღმდეგება სახელმწიფო სუვერენიტეტის იდეას. საქმე ის არის, რომ კანონის მიღების დროს ყოველი რესპუბლიკა აწესებს ისეთ სასჯელს ამა თუ იმ დანაშაულისათვის, რომელიც მას ამ დანაშაულთან საბრძოლველად მიზანშეწონილად მიაჩნია. ამ რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს რომ ისეთი მკაცრი სასჯელის გამოყენება სდომებოდა, როგორც შეხაბამისი დანაშაულისათვის სხვა მოკავშირე რესპუბლიკაშია დაწესებული, მაშინ იგი თვითონაც დააწესებდა ანალოგიურ სასჯელს. შე ვფიქრობ, რომ სასამართლოს არა აქვს უფლება არ გამოიყენოს თავისი რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონი, როცა, სხვა რესპუბლიკის კანონთან ერთად, მისი რესპუბლიკის ანალოგიური კანონიც არის დარღვეული. ის ავტორები, რომლებიც ასეთ შემთხვევაში უფრო მკაცრი კანონის გამოყენებას თხოულობენ, არსებითად სასამართლოს იმისკენ უბიძგებენ, რომ არ დაუჭიროს თავისი რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, რითაც მართლმსაჯულებისა და ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს ერთმანეთს უპირისპირებენ. ეს კი არ შეესაბამება რესპუბლიკაში დადგენილი მართლწესრიგის დაცვის ამოცანებს.

და მაინც საერთო-საკავშირო ინტერლოკალური კოლიზიური კანონმდებლობის მიღება მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმის დროს ამ სფეროშიც საჭირო იქნება. მაგალითად, კოლიზია შეიძლება წარმოიშვას თანამონაწილეთა მიერ დანაშაულის სხვადასხვა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩადენის დროს. ვთქვათ, თანამონაწილე მოქმედებდა ერთი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ხოლო ამსრულებელმა დანაშაული აღასრულა მეორე რესპუბლიკის საზღვრებს შიგნით. საქმე აღიძრა და ასამართლებენ ყველას ერთად ამ მეორე რესპუბლიკის სასამართლოში, ან პირიქით, იმ რესპუბლიკის სასამართლოში, სადაც თანამონაწილე მოქმედებდა. რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული მათ მიმართ? ეს კოლიზია უნდა გადაწყვიტოს კანონმა. აქ შეიძლება სხვადასხვა წინადადებები იქნეს წამოყენებული. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ კანონით ცალკე უნდა განისაზღვროს დანაშაულის ჩადენის ადგილი, რომელიც საერთო იქნება ყველა შემთხვევისათვის, მიუხედავად იმისა, საზღვარგარეთ დაიწყო დანაშაული და საბოლოო კავშირის ტერიტორიაზე დასრულდა თუ, პირიქით, ანდა დანაშაული ნაწილ-ნაწილ განხორციელდა ორი ან მეტი რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ამის შემდეგ მოქმედმა კანონმა ცალკე უნდა მოაწესრიგოს ის კოლიზიური შემთხვევები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ორი ან მეტი რესპუბლიკის საზღვრებს შიგნით ჩადენილი დანაშაულისათვის ამა თუ იმ რესპუბლიკის კანონის გამოყენების დროს.

<sup>12</sup> В. Н. Кудрявцев. Общая теория квалификации преступлений, М., 1972, стр. 274; საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, გვ. 21, ამის წინააღმდეგ იხ. მ. ბლუმბი, მით. ნაშრომი, გვ. 157.





# ქალთა შორის ვენერიულ სნეულებათა გავრცელების კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგიათი შედეგი

საჯაროობის, დემოკრატიზაციისა და სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების ძირეული გარდაქმნის პირობებში, სხვა საკიბრბოროტო პრობლემებთან ერთად, თავი იჩინა ვენერიულ სნეულებათა გავრცელებამ, უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, საზოგადოებრივად ძლიერ საშიშმა ამ მოვლენამ უფრო ადრეც შეაშფოთა ადამიანები, დღეს უბრალოდ მისი საქაროდ განხილვის საშუალება მოგვეცა და ამიტომ გამოგვაქვს იგი სამსჯავროზე.

ვენერიულ სნეულებათა გავრცელების პრობლემას სამწუხაროდ ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა საბჭოთა სოციოლოგია, ფსიქოლოგია და კრიმინოლოგია მხრიდან დღემდე იშვიათად გვხვდება ისეთი ნაშრომები, რომლებიც ამ პრობლემის შესწავლას ეძღვნება. ამიტომ საქართველოში ჩვენს მიერ ჩატარებული ქალთა შორის ვენერიულ სნეულებათა გავრცელების კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევა ერთ-ერთი პირველია მთელი ქვეყნის მასშტაბით. იგი დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითმა ლაბორატორიამ საქართველოს სსრ განმრთელობის დაცვის სამინისტროს კანისა და ვენერიულ სნეულებათა ინსტიტუტთან ერთად ჯერ კიდევ იმ დროს ჩატარა, როდესაც ვენერიულ დაავადებათა პრობლემის საქარო განხილვა არ შეიძლებოდა. დღეს ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით აღნიშნული გამოკვლევის შედეგების განხილვას, რადგან მიგვაჩნია, რომ მას თავისი აქტუალობა არ დაუკარგავს.

ეს გამოკვლევა ორ ეტაპად იყო დაგეგმილი, მაგრამ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დღემდე მხოლოდ პირველის განხორციელება შეეძლო. გამოკვლევის ამ ეტაპზე ჩვენ გამოკითხეთ მხოლოდ ის ვენერიული სენით დაავადებული ქალები, რომლებიც მკურნალობდნენ დაბურული ტიპის სტაციონარებში. ასეთი არჩევანი იმიტომ გავაკეთეთ, რომ აღნიშნულ სტაციონარებში ძირითადად ხვდებიან იმ კატეგორიის ქალები, რომლებიც განსაკუთრებულ საფრთხეს ქმნიან ვენერიულ სნეულებათა გავრცელების თვალსაზრისით.

გამოკვლევის პროცესში ვენერიული სენით დაავადებულ 518 ქალთან ჩატარდა ინტერვიუ საამისოდ სპეციალურად შედგენილი ვრცელი კითხვარის მეშვეობით, ინფორმაცია დამუშავდა ელექტრონულ-გამოთვლით მანქანაზე. გარდა მასალის სტატისტიკური გათვლისა, ჩატარდა მისი ორჯაქტოროვანი ანალიზი, რის შედეგადაც მივიღეთ მდიდარი ემპირიული მასალა. ბუნებრივია, რომ მოკლე საუურნალო წერილში ჩვენ ამ მასალის მხოლოდ ერთი, არც თუ ისე დიდი ნაწილის გამოყენება შეეძლო.

გამოკითხული ქალების ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ვენერიული დაავადებები ძირითადად გავრცელებულია სქესობრივად აქტიურ ასაკგაზარდა ქალებს შორის, რაც სრულიად ბუნებრივია. მათ შორის 16 წლამდე ასაკისაა 8,3 პროცენტი, 16-18 წლისა — 18,5 პროცენტი, 19-25 წლისა — 38 პროცენტი, 26-35 წლისა 24,8 პროცენტი, 36-45 წლისა — 12,7 პროცენტი, 46-55 წლისა — 6,8 პროცენტი, 55 წელზე მეტი ასაკისა 1,4 პროცენტი. ამგვარად, გამოკითხულებიდან 16,8 პროცენტი არის არასრულწლოვანი, ხოლო 84,8 პროცენტის ასაკი 25 წელს არ აღემატება.

გამოკითხულებს შორის ძალზე მაღალია მიგრანტების ხვედრითი წილი და 42,8 პროცენტს აღწევს. საინტერესოა, რომ მიგრანტების უმეტესობა მუდმივად ცხოვრობს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. ან სრულიად არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და ეწევა მოხეტიალე ცხოვრებას. რაც შეეხება შიდა რესპუბლიკურ მიგრანტებს, მათი ხვედრითი წილიც საკმაოდ მაღალია, ძირითადად ეს იმ კატეგორიის ქალები არიან, რომლებიც სოფლიდან ან მცირე დასახლებული ადგილებიდან ჩამოვიდნენ უფრო მსხვილ დასახლებულ პუნქტებში, უმეტესწილად ქ. თბილისში, როგორც ქვეყნის სხვა რეგიონებიდან, ისე რესპუბლიკის მცირე დასახლებული პუნქტებიდან ჩამოსულებს შორის ბევრი ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩაუ-



წერავად ცხოვრობს რესპუბლიკის ქალაქებში და გარყვნილ ცხოვრებას ეწევა, რაც განსაკუთრებით საშიშია ვენერიული სენის გავრცელების თვალსაზრისით.

მიგრანტების ასეთი მაღალი ხვედრითი წილი ვენერიული სენით შეპყრობილ ქალთა შორის საშუალებას გვაძლევს დავაკვირვოთ, რომ მიგრაციული პროცესების ინტენსივობა საბოლოოდ ხელს უწყობს ვენერიულ დაავადებათა გავრცელებას. ამიტომ საჭიროა მათი გულდასმით რეგულირება; ვენერიულ სნეულებათა პროფილაქტიკის საქმეში, მიგრანტებზე ყურადღების გამახვილება და სხვა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი რესპუბლიკისათვის, რადგან იგი ბუნებრივ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობებით სხვადასხვა ჯურის მიგრანტს, მათ შორის, მსუბუქი ყოფაქცევისა და იოლი ცხოვრების მოყვარულ ქალებს ადვილად იზიდავს.

ოჯახური მდგომარეობის მიხედვით გამოკითხულებს შორის გაუთხოვარია 48,9 პროცენტი; განქორწინებული 82,2 პროცენტი; ქვრივი 7,5 პროცენტი; მარტოხელა დედა 6,4 პროცენტი; გათხოვილი — 10 პროცენტი. ამგვარად, გამოკითხულთა უდიდეს უმრავლესობას — 82,1 პროცენტს გაუთხოვარი ან განქორწინებულები, აგრეთვე მარტოხელა დედები შეადგენენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ბევრი მათგანი გარყვნილ ცხოვრებას ეწევა და წინემობრძივად ედგურადირებულია. რაც შეეხება გათხოვილებს, ისინი უმეტესწილად ოჯახის ქალები არიან, რომელთაც ვენერიული სენა მეუღლეებმა შეპყარეს.

საინტერესოა მონაცემები ვენერიულად დაავადებული ქალების განათლების შესახებ. მათგან დაწყებითი განათლება აქვს 18,7 პროცენტს; არასრული საშუალო — 27,8 პროცენტს; საშუალო — 38,4 პროცენტს; საშუალო სპეციალური 10,2 პროცენტს; დაუმთავრებელი უმაღლესი — 2,7; უმაღლესი — 1,4 პროცენტს. არა გვაქვს ცნობები 0,8 პროცენტის განათლების შესახებ. ამგვარად, გამოკითხულთა შორის ძალზე მაღალია იმათი ხვედრითი წილი, ვისაც საშუალოზე დაბალი განათლება აქვს (46,5 პროცენტი), ხოლო მეტად მცირეა უმაღლესი და არასრული უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობა (4,1 პროცენტი). ამასთან დაკავშირებით ჩვენ დავინტერესდით იმ საკითხით, თუ როგორ სწავლობდნენ გამოკითხულები წარსულში, აღმოჩნდა, რომ მათგან 72,7 პროცენტი სწავლობდა ცუდად ან დამაკმაყოფილებლად: 20,8 პროცენტი ერთხელ ან მეტჯერ დარჩენილა კლასში აკადემიური ჩამორჩენილობის გამო, 43,3 პროცენტს მიუტოვებია სწავლა, ხოლო 12,4 პროცენტი გარიცხული ყოფილა სასწავლებლიდან. ამგვარად, გამოკითხულთა უმეტესობა ზარმაცობდა, არ სწავლობდა და სწორედ ამის გამო ვერ მიიღო განათლება.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ვენერიული სენით დაავადებულ ქალთა მნიშვნელოვან ნაწილს არა აქვს სათანადო საყოფაცხოვრებო პირობები. კერძოდ, მათგან 71 პროცენტს საერთოდ არა აქვს საცხოვრებელი ბინა ან ცხოვრობენ ძალიან ცუდ პირობებში (სარდაფში, სივინოვებში, კეთილმოწყობილ ბინაში და ა. შ.). გამოკითხულებს შორის ბევრია აგრეთვე ისეთი, ვინც მატერიალურად ცუდად არის უზრუნველყოფილი. კერძოდ, მათგან 23,4 პროცენტს არავითარი შრომითი თუ სხვა ლეგალური შემოსავალი არ გააჩნია, ხოლო 63,5 პროცენტს აქვს საშუალოზე დაბალი შემოსავალი. რაც შეეხება საშუალო ან საშუალოზე მეტი შემოსავლის მქონე პირებს, მათი ხვედრითი წილი გამოკითხულთა შორის 13,1 პროცენტია. ამგვარად, დაავადებულ ქალთა შორის მეტად დაბალია ისეთ პირთა ხვედრითი წილი, ვისაც აქვს კარგი საბინაო პირობები და მაღალი შემოსავალი.

გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ისეთ ოჯახებში იზრდებოდა, სადაც არ იყო სათანადო პირობები მოზარდისა და ახალგაზრდის ნორმალური ფორმირებისათვის. კერძოდ, თუმცა გამოკითხულთა უმრავლესობას ახალგაზრდები შეადგენენ, მათგან 29 პროცენტს გარდაეცვალა დედა, ხოლო 40,8 პროცენტს მამა, 12,7 პროცენტის მშობლები განქორწინებულები არიან, რაც აგრეთვე უარყოფითად მოქმედებს მოზარდისა და ახალგაზრდის წინემობრძივ ფორმირებაზე. საყურადღებოა ის გარემოება, რომ გამოკითხულთა 18,7 პროცენტს ზრდიდა მარტო დედა, 3,7 პროცენტს მარტო მამა, 6,8 პროცენტი იზრდებოდა საბავშვო სახლში და ა. შ. გამოკითხულთა მხოლოდ 65,6 პროცენტი მიიჩნევს, რომ ბავშვობასა და ყრმობაში მშობლები მათ პირმართ იჩენდნენ სათანადო სიბოძსა და ყურადღებას, დანარჩენებს კი აკლდათ მშობლიური ზრუნვა და სიყვარული.

ჩვენ შევისწავლეთ აგრეთვე ის საკითხი, თუ რა დამოკიდებულებას იჩენდნენ გამოკითხულები შრომისადმი და რა საქმიანობას ეწეოდნენ სტაციონარში მოთავსებამდე.

აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 46,8 პროცენტი ანუ თითქმის ნახევარი უკვე დიდი ხანია არ ეწევა არავითარ საზოგადოებრივად ხასიათებლს საქმიანობას, არის მუქთანორა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუქთანორების უმრავლესობა — 73,6 პროცენტი სრულიად ჭანმრთელი და



ზრომისუნარიანია, მაშინ როდესაც ინვალიდების ხვედრითი წილი 4,2 პროცენტს არ აღემატება. საინტერესოა, რომ უმუშევართაგან 80,8 პროცენტი ცხოვრობდა იმ სახსრებით, რომელსაც მოიპოვებდა მამაკაცებთან სქესობრივი კავშირისათვის, ხოლო 6,8 პროცენტს ინახავდნენ სხვაგვარად. ამგვარად, იმ ვენერიულად დაავადებულ ქალთა შორის, რომლებიც არ მუშაობდნენ სტაციონარში მოთავსებამდე, უმეტესობას მეძავი ქალები შეადგენენ. ეს ბუნებრივია, რადგან დადგენილია, რომ ხშირად სწორედ მეძავი ქალები ავადდებიან ვენერიული სენით. და მისი გავრცელების თვალსაზრისით სწორედ ისინი ქმნიან საფრთხეს. დანარჩენები უმეტესად ე. წ. მსუბუქი ყოფაქცევის ქალები არიან, რომლებიც, მართალია, სქესობრივი კავშირისათვის გასამრჩელოს არ იღებენ, მაგრამ იოლად შედიან სქესობრივ კონტაქტში და გარყვნილ ცხოვრებას ეწევიან.

გამოკითხვის პროცესში მომუშავე დაავადებულ ქალთა შორის 46,6 პროცენტი მუშაა; 6,8 პროცენტი მომსახურების სფეროს მუშაა; 4,6 პროცენტი ვაჭრობის მუშაა; 4,8 პროცენტი მეღვინეობის, სანატარი; 2,5 პროცენტი კოლმეურნე და ა. შ. მათგან 19,6 პროცენტი დასაქმებული იყო მსუბუქ და კვების მრეწველობაში; 14,2 პროცენტი მძიმე მრეწველობაში; 8,5 პროცენტი საბინაო-კომუნალურ და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში და ა. შ. ამგვარად, გამოკითხულთა გარკვეული ნაწილი ისეთ საქმიანობას ეწეოდა, რაც დაკავშირებული იყო ადამიანებთან კონტაქტში. ამიტომ არსებული წესების თანახმად ექვემდებარებოდა გაძლიერებულ სამედიცინო კონტროლს. მიუხედავად ამისა, ისინი საკმაოდ დროის მანძილზე იყვნენ დაავადებულნი ვენერიული სენით ისე, რომ ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

ჩვენ შევისწავლეთ საკითხთა საკმაოდ ფართო წრე, რომელიც ასეთი ქალების სქესობრივ ცხოვრებას შეეხება. აღმოჩნდა, რომ სქესობრივი კავშირი მამაკაცთან პირველად დაამყარეს 18-16 წლის ასაკში გამოკითხულთა 84,7 პროცენტმა, ხოლო 17-18 წლის ასაკში — 88 პროცენტმა. ამგვარად, გამოკითხულთა დაახლოებით ორმა მესამედმა სქესობრივი ცხოვრება არასრულწლოვანების ასაკში დაიწყო, რასაც არ შეეძლო უარყოფითი ზემოქმედება არ მოეხდინა, ამასთან ერთად, გამოკითხულთაგან მხოლოდ 82,7 პროცენტმა დაიწყო სქესობრივი ცხოვრება კანონიერი ქორწინების შემდეგ თავის მეუღლესთან. დანარჩენების პირველ სქესობრივ კონტაქტს მამაკაცთან ასე თუ ისე შემთხვევითი ან ნებაყოფლობითი ხასიათი ჰქონდა. თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვინც გააუბატიურეს ამა თუ იმ ვითარებაში.

ამგვარად, გამოკითხულთა უმრავლესობამ პირველი სქესობრივი კავშირი დაამყარა ქორწინებამდე, თანაც არასრულწლოვანების ასაკში და საკმაოდ იოლად. ამან უარყოფითად იმოქმედა მათზე და ხელი შეუწყო წინობრივ დაკნინებას, გარყვნილობას. ამას ისიც ადასტურებს, რომ მათი უმეტესობა შემდეგაც ხშირად და იოლად ამყარებდა შემთხვევით სქესობრივ კავშირს მამაკაცებთან. კერძოდ, მათი 68,9 პროცენტი ამას აკეთებდა სისტემატურად, ხოლო 19,4 პროცენტი პერიოდულად. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ გამოკითხულთა უმრავლესობის დაავადება ვენერიული სენით მათი გარყვნილი ცხოვრების ლოგიკური შედეგია. ეს იქნადაც ჩანს, რომ მათი 12,4 პროცენტი აღრე უკვე იყო დაავადებული გონორეით, ხოლო 16 პროცენტი ანთაზანგით. ამის მიუხედავად ისინი მაინც აგრძელებდნენ გარყვნილ ცხოვრებას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა უმეტესობა, 89,4 პროცენტი, ვენერიული სენით დაავადდა ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ეს კი აქარწყლებს იმ აზრს თითქოს საქართველოში ვენერიულ სენს მხოლოდ მსუბუქი ყოფაქცევის ის მეძავი ქალები ავრცელებდნენ, რომლებიც რესპუბლიკის გარეგან უკვე დაავადებულები შემოდიან. გამოკითხულთაგან მხოლოდ 5,6 პროცენტმა იცის, თუ ვისგან შეეყარა ვენერიული სენი. დანარჩენები დაავადდნენ ისე, რომ არც იციან, თუ ვისთან ჰქონდათ სქესობრივი კონტაქტი, უჭირთ იმის თქმა, თუ სახელდობრ, რომელმა მამაკაცმა შეეყარა მათ ვენერიული დაავადება. იმ ქალებმა, რომელნიც დაავადდნენ შემთხვევითი სქესობრივი კავშირის შედეგად, თავიანთი „პარტნიორი“ გაიცნეს ქუჩაში, ტრანსპორტში, კურორტზე, სტუმრად ყოფნისას, საწვავლებელში და სხვა.

ზემოთქმულიდან უნდა დავასკვნათ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ვენერიული სენის გავრცელების საფრთხეს ქმნიან მეძავი ქალები, რომლებიც მამაკაცებთან ცხოვრებისათვის განსაზღვრულ გასამრჩელოს იღებენ და „მსუბუქი ყოფაქცევის“ ქალები, რომლებიც გარყვნილ ცხოვრებას ეწევიან, იოლად ამყარებენ შემთხვევით სქესობრივ კავშირს მამაკაცებთან, თუმცა ამას უნაფაროდ, ყოველ ამყარებენ შემთხვევაში, ფულადი საფასურის გარეშე აკეთებენ.

ჩვენის აზრით, ვენერიულ სენულებათა გავრცელების უშუალო მიზეზია სექსუალური მორალობის და ქცევის წესების შეცვლა, რაც შემთხვევითი სქესობრივი კონტაქტების ზრდამ, ქორ-



წინამდებელი და ქორწინების გარეშე სქესობრივი ცხოვრების გაფართოებამ გამოიწვია. ეს საფრთხე კიდევ უფრო იზრდება დღეს, როდესაც რეალური გახდა შიღისის გავრცელების საშიშროება, რომელიც სულ ადვილად შეიძლება შეეყაროს ადამიანის ამ ვირუსის მატარებელთან სქესობრივი კავშირის დამყარებისას.

ეს კი ვენერიული სენის და მასთან ერთად შიღისის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის მკვეთრი გაძლიერების აუცილებლობასაკენ მიგვიანიშნებს. ამას როდესაც ვამბობთ, სრულიადაც არ ვცდილობთ ჩრდილი მივაყენოთ იმათ, ვინც ვენერულ სნეულებათა მკურნალობასა და პროფილაქტიკას ეწევიან, მაგრამ მაინც გვინდა აღვნიშნოთ, რომ დღეისათვის ეს საქმიანობა საკმარისი არაა, საჭიროა მისი შემდგომი დახვეწა და აქტივიზაცია. ამას თვალნათლივ ადასტურებს ვენერიულ სნეულებათა გავრცელების დღევანდელი მასშტაბები.

აღბათ საჭიროა იშვებოდეს ვიშოქმედოთ, რომ ვენერიულ სნეულებათა გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა მართლ ჯანმრთელობის დაცვის მუშაუბებს არ დავაკისროთ. ამ ბრძოლაში აქტიურად უნდა ჩაებან ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამართალდაცავი ორგანოები, მთელი საზოგადოებრიობა. ისინი მართლაც აქტიურნი და შეურიგებელნი უნდა იყვნენ, როგორც ვენერიული სენით დაავადებულთა გამოვლინების დროს, ისე მათ მიმართ იძულებითი ღონისძიებების გატარებისას, თუ ეს უკანასკნელნი თავს არიდებენ მკურნალობას.

დიახ, ამოცანა მდგომარეობს ვენერიული სენით შეპყრობილთა დროულ გამოვლენასა და მათ დაუყოვნებლივ მკურნალობაში. ეს კი პირველ რიგში ეხებათ იმათ, რომლებიც განსაკუთრებულ საფრთხეს ქმნიან ამ დაავადებათა გავრცელებისათვის, უპირველესად მეძავეებსა და მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს. გარყვნილ ცხოვრებას რომ ეწევიან.

ანჴორ გაბანი,  
ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
ნაილი ცნმკრმგამე,  
ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი,  
ქეთევან როგაძე.

აკ წერილის პონორარი, ავტორთა თხოვნით ჩაირიცხება რესპუბლიკის დემოგრაფიული ფონდის ანგარიშზე.

**პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში**

**წვრილმანი ხულიგნობის გამიჯვნა  
დანაშაულებრივი ხულიგნობისაგან**

ქეთიწო ლუაწვილი,  
გარდაბნის რაიონის სახალწო მოსამართლე

წვრილმანი ხულიგნობის დანაშაულებრივი ხულიგნობისაგან გამიჯვნის მიზნით ჩვეულებრივ მიმართავენ მათი საზოგადოებრივი საშიშროების ნიშანს, რაც თავისთავად დაკავშირებულია კიდევ უფრო გლობალურ საკითხთან — თუ რით განსხვავდება დანაშაული გადაცდომისაგან. ამ პრობლემის განხილვა ჩვენ შორს წაგვიყვანს, ამიტომ წვრილმანი და დანაშაულებრივი ხულიგნობის გამიჯვნის განხილვისას ჩვენ მხოლოდ იმას აღვიშნავთ, რომ ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების სხვადასხვა ხარისხთან: წვრილმანი ხულიგნობა ნაკლებად საშიშია, ვიდრე დანაშაულებ-



რივი ხულიგნობა, მაგრამ წვრილმანი ხულიგნობა საზოგადოებრივად საშიში მოქმედებაა, იგი ხელყოფს საზოგადოებრივ წესრიგს, მოქალაქეთა სიმშვიდეს, მათი ნორმალური ცხოვრებისა და საქმიანობის პირობებს. წვრილმანი ხულიგნობა მეტწილად დანაშაულებრივი ხულიგნობის წინამორბედია, იგი ხშირად გადაიზრდება ხოლმე დანაშაულებრივ ხულიგნობაში. ამ დროს იზრდება მისი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხიც.

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი წვრილმან ხულიგნობას განმარტავს როგორც „მოქმედებას, რაც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და მოქალაქეთა სიმშვიდეს“, ხოლო მართივ დანაშაულებრივ ხულიგნობას საქართველოს სსრ სსკ 228-ე მუხლი მიიჩნევს როგორც „გაზრახ მოქმედებას, რაც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს აშკარა უბატიცემულობას საზოგადოებისადმი“. აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი განსხვავება მათ შორის ისაა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა დამოკიდებულია თვით მოქმედების ინტენსიურობაზე, სიძლიერეზე და საზოგადოების შესაბამის რეაგირებაზე. თუ მოქმედება არ არის უხეში, ხოლო საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა საზოგადოების გულისწყრომას არ გამოხატავს, არ იწვევს მის აღშფოთებას, მაშინ ადგილი ექნება საზოგადოებრივი წესრიგის უბრალო დარღვევას და მოქმედება წვრილმან ხულიგნობად დაკვალიფიცირდება. ხოლო როცა პიროვნება ისე უხეშად მოქმედებს, რომ საზოგადოების აღშფოთებას იწვევს, სახეზეა მართივ დანაშაულებრივი ხულიგნობა. ამასთან, შესაძლებელია, რომ მოქმედება არ იყოს უხეში, მაგრამ საზოგადოებრივი აღშფოთება მეტისმეტად ძლიერი აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედება არ არის უხეში, ადგილი ექნება დანაშაულებრივ ხულიგნობას, ვინაიდან ამ მოქმედებამ გამოიწვია საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა. მაგალითად, სიმფონიური კონცერტის დროს, როდესაც მუსიკოსი სოლო პარტიას იწყებს, დარბაზში გაისმის სტენა. ცხადია, ეს ფაქტი დამსწრე საზოგადოების უდიდეს აღშფოთებას ე. ი. საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევას გამოიწვევს, თუმცა, საზოგადოებრივ ადგილებში სტენა თავისთავად უხეში საქციელი კი არა წვრილმანი ხულიგნობაა.

აქედან გამომდინარე, არ ვეთანხმები პ. დაგელს, რომელიც წერს: საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, რომელიც უხეში არ არის, მუდამ წვრილმან ხულიგნობას წარმოადგენს-ო.

საზოგადოებრივი წესრიგი გულისხმობს არა მარტო საზოგადოებაში არსებულ თანაცხოვრების წესებს, არამედ საზოგადოების გარკვეულ ჯგუფში, ამა თუ იმ ადგილას დადგენილ წესებსაც. ამიტომ ერთი და იგივე მოქმედება, რომელიც ერთგან უხეშად არ ჩაითვლება, შეიძლება მეორეგან ჩაითვალოს ასეთად. ვ. კირიჩენკო სწორად თვლის, როცა წერს, რომ შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს, როდის აქვს ადგილი საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევას, რამდენადაც მხოლოდ ერთად აღებულმა ფაქტიურმა გარემოებებმა შეიძლება ვასცენ პასუხი ამ კითხვას-ო. ი. სამოშჩენკო სამართლიანად თვლის, რომ უმნიშვნელო ხასიათისაა მოქმედება ან დანაშაულებრივია თუ არა იგი — ეს ფაქტის საკითხია. მისი გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ თვით ქმედობის ყველა თვისების, დამრღვევის პიროვნების აგრეთვე ქმედობის ჩადენის საერთო სოციალურ პირობათა და გარემოებათა თავისებურების გათვალისწინების საფუძველზე.



წვრილმანი ხულიგნობის დანაშაულებრივი ხულიგნობისაგან გამიჯვნის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამართალდარღვევის ჩადენის ადგილს. ხულიგნობის ჩადენის ადგილის გარკვევას იმიტომ აქვს არსებითი მნიშვნელობა, რომ იგი განიხილება საზოგადოებრივი შეკრების ადგილის თვალსაზრისით, თუმცა იგი არ გულისხმობს ამ მომენტისათვის უნივერსალური ხასიათის მინიჭებას. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ადგილის განსაზღვრა ჩვენ გვეხმარება დარღვევის ხასიათის გარკვევაში, მაგრამ ამასთან ერთად სხვა გარემოებებიც უნდა დადგინდეს. ხულიგნობის ჩადენის ადგილი იქნეს გარკვეულ მნიშვნელობას სწორედ იმის გამო, რომ საზოგადოების ამა თუ იმ ნაწილში დამკვიდრებული წეს-ჩვეულება იწვევს მოსახლეობის გარკვეულ რეაქციას.

მოვიყვანოთ მაგალითს: გარდაბნის რაიონის თელეთის ექსპერიმენტული მეურნეობა-ტექნიკუმის ეზოში სამუშაო და სასწავლო პერიოდში ყველას გასაგონად, მაგრამ არა კონკრეტული მისამართით, იგინებოდა მთვრალი გ. დ.; ამის გამო ჩაიშალა ვაკვეთილები და შეიყარა ხალხი. ტექნიკუმის მასწავლებლების მოთხოვნას, რომ დაეტოვებინა ტექნიკუმის ეზო გ. დ. არ დაემორჩილა, პირიქით, შეიჭრა ტექნიკუმის სასწავლო კორპუსში და ახლა იქ იგინებოდა. მისი მოქმედება გაგრძელდა 5-10 წუთს და ამით დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი, რითაც აშკარად გამოკვეთა საზოგადოებისადმი უბატვიცემლობა!

ასეთ შემთხვევაში, მიუხედავად დროის სიმცირისა, სხვა გარემოებებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ადგილს. მართლაც, ვინაიდან გ. დ.-ს ხულიგნობამ ტექნიკუმში ჩაშალა მიმდინარე ვაკვეთილები და დაარღვია იქ არსებული საზოგადოებრივი წესრიგი, მისი მოქმედება დაკვალიფიცირდა ბოროტ ხულიგნობად. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა ადგილის ნიშანს, რადგან ვაკვეთილების ჩაშლა და ლანძღვა-გინება მიჩნეულ იქნა ცინიზმად.

მართალია ხულიგნობის ჩადენის ადგილს სხვა გარემოებებთან ერთად დამატებითი და არაგადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული, მაგრამ მისი საერთოდ უარყოფა სწორი არ იქნებოდა.

საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების პრაქტიკაში ხულიგნობის კვალიფიკაციის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხულიგნობის ხანგრძლივობას. იმიტომ ზუსტად უნდა გაირკვეს თუ რამდენ ხანს გრძელდებოდა იგი. ჩვეულებრივ, წვრილმანი ხულიგნობის დროს, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა ხდება უფრო მოკლე პერიოდით, ერთ მომენტში. მართალია, სასამართლო პრაქტიკა ზუსტად არ ადგენს, თუ რა დროის განმავლობაში ჩადენილი ხულიგნობა უნდა ჩაითვალოს დანაშაულებრივ ხულიგნობად, მაგრამ თუ იგი გაგრძელდა დაახლოებით ნახევარ საათზე მეტ ხანს, მაშინ თვლიან, რომ სახეზეა დანაშაულებრივი ხულიგნობა, რამდენადაც მისი ასე დიდხანს გაგრძელება აუცილებლად გამოიწვევს საზოგადოების აშკარა აღშფოთებას.

ასეთ დროს მართალია დროის ფაქტორი ყოველთვის არ ასრულებს გადამწყვეტ როლს, მაგრამ მისი გარკვევა საქმის ყველა ვითარებასა და გარემოებაში მაინც აუცილებელია, რადგან ადვილი შესაძლებელია წვრილმანი ხულიგნობა ხანგრძლივი იყოს, დანაშაულებრივ ხულიგნობაში კი მაინც არ გა-



დაიზარდოს. ეს ხდება მაშინ, როდესაც ხულიგანი საზოგადოებრივად შეურაცხყოფელ მოქმედებას დიდხანს აგრძელებს მოქალაქის მიმართ და არ წყვეტს მას. ასეთ დროს დანაშაული კვალიფიცირდება, როგორც შეურაცხყოფა, სხეულის დაზიანება ან სხვა დანაშაული თუ რა თქმა უნდა, აქვს სათანადო ნიშნები, რადგან ამგვარი მოქმედება არ ქმნის წვრილმანი ან დანაშაულებრივი ხულიგნობის შემადგენლობას.

დანაშაულებრივი ხულიგნობის წვრილმანი ხულიგნობისაგან გამიჯვნის დროს მნიშვნელობა ენიჭება ხულიგნობის ინტენსივობას, მის მასშტაბებს, თავხედობის ხარისხს. ხულიგნობის დროს საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა სწორედ მის ინტენსიურ ხასიათშია, როცა თავხედობა აკარბებს ყოველგვარ საზღვარს.

სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა ხულიგნობის ჩადენის ადგილს, დროსა და ინტენსივობას, საზოგადოების რეაქციას ანგარიში არ ეწევა და შეურაცხყოფელი სიტყვები მეზობლური კამათის დროს დანაშაულებრივ ხულიგნობად კვალიფიცირდება. აი ამის მაგალითიც: გარდაბანში, ოქტომბრის ქ. № 45-ში მხცოვრებმა ზ. კ.-მ დაახლოებით 14 საათზე, უცნაურ სიტყვებით მიმართა მეზობელ ს. ქ.-ს. გინება 5 წუთამდე გაგრძელდა. გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლომ ეს მოქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სსკ 228-ე მუხლის I ნაწილით, რაც შეცდომაა, რადგან ზ. კ.-ს მოქმედება წვრილმანი ხულიგნობაა. დადგინდა, რომ გინებას მხოლოდ 3 კაცი დაესწრო და ამ მოქმედებას ინტენსიური ხასიათი არ ჰქონია, დიდხანს არ გაგრძელებულა, საზოგადოების მწვავე რეაქცია არ გამოუწვევია<sup>2</sup>.

ხულიგნობის ინტენსივობაზე გავლენას ახდენს რამდენიმე პირის მიერ ერთდროულად ჩადენილი მოქმედება (ჯგუფური ხულიგნობა). ჩვენი კანონმდებლობა, სამწუხაროდ, არ იძლევა ჯგუფური ხულიგნობის ცნებას. არც აღმინისტრაციულ, არც სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ჯგუფური ხულიგნობა არ ითვლება მაკვალიფიცირებელ გარემოებად. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ხულიგნობა არ ხდება პირთა ჯგუფის მიერ. ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ ერთ მაგალითს: გარდაბნის რაიონის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის № 1 საერთო საცხოვრებელში ნ. გ.-ს ოჯახში სხვებთან ერთად იყვნენ მიწვეულნი მ. ბ. და ზ. წ.; ქეიფის დროს ერთ-ერთმა უმიზეზო კამათი დაუწყო სუფრასთან მჯდომ ვ. გ.-ს, ხოლო მეორემ სტუმართა თანდასწრებით შეაგინა და ვ. გ. იძულებული გახდა ოთახიდან გასულიყო. ხულიგნები უკან გამოედევნენ გარეთ გასულს და ახლა დერეფანში გააგრძელეს გინება. ხმაურზე ხალხი შეიყარა, მაგრამ მოჩხუბრები ვერავინ დააწყნარა, ისინი კვლავ განაგრძობდნენ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას ვ. გ.-სადმი, ვიდრე დაზარალებული თავის ოთახში არ შევიდა და არ ჩაიკეტა. აღნიშნული მოქმედება გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლომ სრულიად სამართლიანად დააკვალიფიცირა დანაშაულებრივ ხულიგნობად, თუმცა განსასჯელთა ცალ-ცალკე მოქმედება წვრილმან ხულიგნობად ჩაითვლებოდა. ამაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა იმას, რომ ორი პიროვნების ხელყოფამ გამოიწვია საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა, დებოში და მოქალაქეთა აღშფოთება<sup>3</sup>. პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი ხულიგნობა ფაქტიურად იქცა მაკვალიფიცირე-

<sup>2</sup> გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი, საქმე № 1/73, 1988 წ.

<sup>3</sup> გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი, საქმე № 1/87, 1987 წ.



ბელ გარემოებად, რადგან ასეთმა მოქმედებამ მეტი ინტენსიური ხასიათი მიიღო, უხეშად დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ მოქმედების ინტენსივობის განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულებრივი ხულიგნობის წვრილმანი ხულიგნობისაგან გამიჯვნის დროს.

იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ თუ ხულიგნობას თან ახლავს სხეულის დაზიანება ან მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი, იგი არ უნდა დაკვალიფიცირდეს წვრილმან და დანაშაულებრივ ხულიგნობად. პ. დაგელი წერს, რომ ხულიგნური მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია მოქალაქეთა სხეულის დაზიანებასთან, ცემასთან ან მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალთან არ შეიძლება მივიჩნიოთ წვრილმან ხულიგნობად. საკითხის ასეთნაირად დაყენება ვფიქრობთ არ იქნებოდა სწორი, ვინაიდან ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია ქმედობის შედეგზე, ხოლო მხედველობის გარეთ რჩება ხულიგნობის დამახასიათებელი ნიშნები. ხულიგნობის დროს სხეულის დაზიანებას ან მატერიალურ ზარალს მაშინ ენიჭება მნიშვნელობა, თუ ეს შედეგი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას მოჰყვება, ან უშუალო კავშირშია მასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში სხეულის დაზიანებაც და მატერიალური ზარალიც დამოუკიდებელი სამართალდარღვევებია. ცემა, სხეულის დაზიანება და რაიმე მატერიალური ზარალი უმრავლეს შემთხვევაში თან ახლავს ხულიგნობას, მაგრამ ამის გამო ყველა მათგანის დანაშაულებრივ ხულიგნობად გამოცხადება არ შეიძლება. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ა. შუშანაშვილი „არ იქნებოდა სწორი, მაგალითად, ხულიგნური განზრახვით ჩადენილი ყოველგვარი შეურაცხყოფა სისხლის სამართლის წესით დასჯად ხულიგნობად გვეცნო მარტოოდენ იმის გამო, რომ თავისთავად შეურაცხყოფა დამოუკიდებელი დანაშაულია“<sup>4</sup>. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს: ივლისის ერთ დღეს, დაახლოებით 20 საათზე გარდაბნის რაიონის სოფ. მარტყოფში თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოში მ. ლ-მ საკუთარ მულს, რომელთანაც ცუდ დამოკიდებულებაში იყო, სცემა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე და მიაყენა სხეულის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება. ნაცემის ყვირილზე შეგროვილი მეზობლების (10-5 კაცი) თანდასწრებით მ. ლ. კვლავ აგინებდა მულს და იმუქრებოდა. აღნიშნული ხულიგნობა გაგრძელდა დაახლოებით 15 წუთს, რითაც უხეშად დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი<sup>5</sup>.

გარდაბნის რაიონის საგამოძიებო ორგანოებმა და სახალხო სასამართლომ მ. ლ-ს მოქმედება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 228-ე მუხლის მეორე ნაწილით დააკვალიფიცირეს, რადგან ჯერ მოხდა სხეულის დაზიანება და შემდეგ გადაიზარდა ეს მოქმედება ხულიგნობაში.

საქართველოს სსრ სსკ 228-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის დროს სრულებით არ არის საჭირო აუცილებლად დადგეს რაიმე შედეგი სხეულის დასაზიანებლად სპეციალურად მომარჯვებული იარაღის ან სხვა საგნის გამოყენების ან გამოყენების მცდელობის დროს. კანონმდებელი მიუთითებს ხულიგნობის ისეთ საშიშ შემთხვევებზე, როდესაც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა ხდება ცეცხლმსროლელი, ცივი ან სპე-

<sup>4</sup> ა. შუშანაშვილი, ხულიგნობა და მასთან ბრძოლა, „საბჭოთა საქართველო“, 1968, გვ. 72.

<sup>5</sup> გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი, საქმე № 1/107, 1987 წ.



ციალურად მომარჯვებული იარაღის გამოყენებით და გაცილებით გაზრდილია საზოგადოებრივი საშიშროება. აქედან კი გამომდინარეობს, რომ ხულიგნობის კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შინაარსს, რომელიც შეიძლება დასრულდეს სხეულის დაზიანებით, ცემით, მატერიალური ზარალით, ან ყოველივე ამის გარეშე.

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამიჯვნისას გათვალისწინებული უნდა იყოს სამართალდარღვევის ჩადენის გარემოება, დამრღვევის პიროვნება და ყოველივე ამის გათვალისწინებით გადაწყდეს საკითხი თუ სამართალდარღვევის რომელ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ კონკრეტული ქმედობა.

როდესაც ვლაპარაკობთ დამრღვევის პიროვნებაზე, ჩვენ მხედველობაში გვაქვს მისი დამოკიდებულება მომხდარ დანაშაულთან, საერთოდ, მისი სოციალური წარმოშობა, მანკიერებანი, რაც მისი ცხოვრებისთვისაა დამახასიათებელი, ოჯახური გარემო, ხასიათი, მიდრეკილება დამნაშავეთა სამყაროსადმი და სხვა კონკრეტული თავისებურებანი. ამიტომ, არა გვგონია მართლნი იყვნენ ტ. კაფაროვი და ჩ. მუსაევი, როდესაც უარყოფენ პიროვნებისათვის დამახასიათებელი თვისებების გათვალისწინების აუცილებლობას იმ აზრის მოშველიებით, რომ — ყველა მოქალაქე კანონის წინაშე თანაბარია-ო.

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა იმ პირის მიერ, ვისაც ადრე დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. მაგრამ ამავე კოდექსის 166-ე მუხლში წვრილმანი ხულიგნობის კვალიფიციური შემთხვევა არ არის გათვალისწინებული, რაც ალბათ ხარვეზად უნდა ჩაითვალოს, მიზანშეწონილად მიმაჩნია 166-ე მუხლს დაემატოს მეორე ნაწილი შემოაღნიშნული მაკვალიფიცირებელი ნიშნით.

როგორც ჩანს, ხულიგნობის განმეორებით ჩადენა იმის საშუალებას არ გვაძლევს, რომ გაემიჯნოთ წვრილმანი ხულიგნობა დანაშაულებრივი ხულიგნობისაგან. ასეთი განმეორება ჩაითვლება მხოლოდ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად (საქართველოს სსრ სსკ 228-ე მუხლის II ნაწილი).

პიროვნების თავისებურების გარკვევა მხოლოდ მისი ნასამართლობის დადგენით არ ამოიწურება. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დამრღვევის ასაკსაც, რადგან ხშირ შემთხვევაში წვრილმან ხულიგნობას არასრულწლოვანები ჩადიან. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წ. 26 ივლისის ბრძანებულებამ საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმას, თუ რა ასაკიდან უნდა დადგეს პასუხისმგებლობა ხულიგნობისათვის. მხოლოდ ბოროტი და განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის არის განსაზღვრული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 14 წლის ასაკიდან (საქართველოს სსრ სსკ მე-12 მუხლი).

ხულიგნობის დამახასიათებელი ნიშნების გარკვევის დროს, როგორც წესი, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გარდა, ყურადღება ექცევა საზოგადოების შეურაცხყოფის ხარისხს. წვრილმანი ხულიგნობა საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით არღვევს მოქალაქეთა სიმშვიდეს, ხოლო მარტივი დანაშაულებრივი ხულიგნობა სა-



ქართველოს სსრ სსკ 228-ე მუხლის I ნაწილით — საზოგადოებისადმი უპატივცემულობას გამოხატავს.

ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ წვრილმანი ხულიგნობაც დანაშაულებრივი ხულიგნობის მსგავსად საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობის გამომხატველია, რომ მათ შორის ამ მხრივ სხვაობა არ არსებობს. „სისხლის სამართლის წესით დასჯად ხულიგნობის მსგავსად წვრილმანი ხულიგნობისათვისაც აუცილებელია, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევის მოქმედება ატარებდეს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობის ხასიათს“<sup>6</sup> — წერს ა. შუშანაშვილი. იგივე მოსაზრებას იზიარებენ ტ. კაფაროვი და ჩ. მუსაევი: „როგორც წვრილმანი, ისე დანაშაულებრივი ხულიგნობაც თავისი ბუნებით საზოგადოებრივად საშიში ქმედობაა... ხშირად მეტად მსგავსია მათი გამოვლინების გარეგნული ფორმები, რომლებშიც გამოიხატება საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა“<sup>7</sup>.

ჩვენის აზრით, ასეთი შეხედულება არ შეესაბამება მოქმედ ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლებრივ კანონმდებლობას, რომლებიც სხვადასხვაგვარად ახასიათებენ ხულიგნის დამოკიდებულებას საზოგადოებისადმი: ერთ შემთხვევაში მიუთითებენ მოქალაქეთა სიმშვიდის დარღვევაზე (წვრილმანი ხულიგნობა), ხოლო მეორე შემთხვევაში საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობაზე (მარტივი დანაშაულებრივი ხულიგნობა). საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა სხვადასხვა გზით შეიძლება და ამ შემთხვევაში შესაძლოა საერთოდ გამორიცხული იყოს ხულიგნობა. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მეტ-ნაკლები ხარისხი მხოლოდ ხულიგნობასთან დაკავშირებით არ წამოიჭრება. უხეშად ირღვევა საზოგადოებრივი წესრიგი აგრეთვე ისეთი დანაშაულებრივი ქმედობის დროსაც, როგორცაა აზარტული თამაში, მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევა, ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა საზოგადოებრივ ადგილებში და სხვა. ვიცით შემთხვევები, როდესაც მართალია, ირღვევა საზოგადოებრივი წესრიგი, მაგრამ ხულიგნობის მოტივი არ არსებობს. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა მხოლოდ მაშინ განეკუთვნება ხულიგნობის დამახასიათებელ ნიშანს, როდესაც იგი დაკავშირებულია წესრიგის დამრღვევის საზოგადოებისადმი გარკვეულ დამოკიდებულებასთან.

საზოგადოებისადმი დამოკიდებულება ობიექტურად სხვადასხვაგვარი უნდა იყოს წვრილმანი ხულიგნობისა და დანაშაულებრივი ხულიგნობის დროს. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ ხულიგნობის ორივე შემთხვევაში საზოგადოებისადმი დამოკიდებულება მუდამ აშკარა უპატივცემულობით ვლინდება, მაშინ ჩვენ ვერ გავარჩევთ წვრილმან ხულიგნობას დანაშაულებრივისაგან, ვინაიდან დარჩება მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მეტ-ნაკლები ხარისხი, რაც საკმარისი არ აღმოჩნდება სამართალდარღვევათა გასამიჯნად. ამიტომ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მეტნაკლებ ხარისხთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყოს საზოგადოებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მეტ-ნაკლები ხარისხიც, თუ გვინდა ნამდვილად განვასხვაოთ წვრილმანი ხულიგნობა დანაშაულებრივისაგან.

როცა კანონმდებელი მიუთითებს ხულიგნობის დროს საზოგადოებრივი

<sup>6</sup> ა. შუშანაშვილი, ხულიგნობა და მასთან ბრძოლა, „საბჭოთა საქართველო“, 1968, გვ. 64.

<sup>7</sup> Т. М. Кафаров, Ч. Т. Мусаев, Борьба с посягательством на общественный порядок, г. Баку, 1983, с. 52.



წესრიგის დარღვევის ხარისხზე, იგი ჩამოთვლის ამ დარღვევის ნიშნებს, მაგრამ არ მიანიშნებს თუ რა შემთხვევაშია მოქმედება საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობის გამომხატველი ან მოქალაქეთა სიმშვიდის დამრღვევი.

მოქალაქეთა სიმშვიდის დარღვევა განსხვავდება საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობისაგან იმით, რომ პირველ შემთხვევაში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამს საზოგადოების მხოლოდ გარკვეული ნაწილი. თუმცა, სიმშვიდის დარღვევა შეეხება ყველას, ყველაზე ახდენს იგი ცუდ ზეგავლენას, მაგრამ ზოგისათვის მოსათმენია, ამიტომ, წვრილმანი ხულიგნობის დროს მოქალაქეთა სიმშვიდის დარღვევა გამოიხატება საზოგადოების მხოლოდ ერთი ნაწილის რეაქციით. რაც შეეხება საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულო დამოკიდებულებას, იგი ჩვენის აზრით, მდგომარეობს საზოგადოების საყოველთაო აღშფოთებაში, საზოგადოების უმრავლესობის მიერ ხულიგნობისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულების აშკარა გამოხატულებაში.

მაგალითად, დღესასწაულის დღეს ეკლესიაში წირვა-ლოცვის დროს ხულიგნის მიერ მლოცველთა შეგინება საზოგადოების აღშფოთებას გამოიწვევს, თუმცა, ქმედობა თავისი შინაარსით წვრილმანი ხულიგნობის გამომხატველია. საზოგადოებრივი რეაქციის საკითხის გადაწყვეტისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ საზოგადოების რომელ ნაწილთან გვაქვს საქმე. მაგალითად, სამკითხველო დარბაზში მუსიკალური ინსტრუმენტის ჩაბერვა მწვავე რეაქციას გამოიწვევს, ვიდრე ამავე ინსტრუმენტის ჩაბერვა სტადიონზე. საზოგადოების შეურაცხყოფის ხარისხის გასარკვევად საჭიროა გავითვალისწინოთ იმ საზოგადოების მორალური მოთხოვნილებაც, რომლებიც მათთვის დამახასიათებელ საზოგადოებრივ წესრიგს ქმნიან. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ საზოგადოების განსაზღვრულ ჯგუფში საზოგადოებრივი წესრიგის ყოველგვარი დარღვევა უსათუოდ დანაშაულებრივი ხულიგნობაა. მაგალითად, თუ კონცერტის დროს მოქალაქე სხვის ადგილზე დაჯდა და ჭიუტად არ უთმობს პატრონს ადგილს, ეს ისეთივე წვრილმანი ხულიგნობაა, როგორც სამკითხველო დარბაზში მკითხველთა განუწყვეტელი ჩურჩული და მომაბეზრებელი საქციელი.

საზოგადოების შეურაცხყოფის ხარისხის გასარკვევად აუცილებელია გაირკვეს, თუ როგორ რეაქციას იწვევს ეს მოქმედება საზოგადოებაში: ერთეულთა უკმაყოფილებას, თუ მთელი საზოგადოების აღშფოთებას. საჭიროა, აგრეთვე, გავარკვიოთ, თუ რა საზოგადოებასთან გვაქვს საქმე და რა რეაქცია შეიძლება მოჰყვეს ამ არამართლზომიერ მოქმედებას.

ამრიგად, წვრილმანი ხულიგნობის დანაშაულებრივი ხულიგნობისაგან გამიჯვნის დროს საჭიროა უპირველესი ყურადღება მიექცეს ხულიგნობის ჩადენის ადგილს, დროის ხანგრძლივობას, მოქმედების ინტენსიურობას და საზოგადოების რეაქციას.





# სახელმწიფო და საგარეო, სოციალური წყობილება და კულტურა დავით აღმაშენებლის ეპოქის საქართველოში

გიორგი ნადარეიშვილი,  
ეურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ეპოქა

ეპოქა, როდესაც დავით IV აღმაშენებელი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა (1078—1125 წლები), ფეოდალურად იწოდება. ისტორიის ფეოდალური პერიოდი კი მოწოდებული იყო იმისათვის, რომ თავის წიაღში შეექმნა ახალი, ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური წყობილების ჩასახვა-განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები. ამის განსახორციელებლად უფრო შეტიქმდებოდაუნარიანობა აღმოაჩნდა დასავლურ ფეოდალიზმს, ფეოდალურ წარმოებით ურთიერთობათა ევროპულ ვარიანტს.


მეთექვსმეტე საუკუნეების ქართული ფეოდალიზმი დიდ მსგავსებას აკლენდა ევროპულთან და სათანადო საგარეო პოლიტიკური გარემოს არსებობის პირობებში ალბათ მას ნამდვილად შეეძლო თავისი წიაღიდან იმანენტურად, შინაგანი განვითარების მეშვეობით წარმოეშვა ახალი და ფეოდალურთან შედარებით უფრო პროგრესული სოციალური სტრუქტურა. მაგრამ კავკასიის თავისებურმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და ისტორიულმა ბედმა საქართველოს ხელი შეუშალა შეერსულენინა ეს დიდი მსოფლიო-ისტორიული მისია. საქმე იმაშია, რომ აზია-ევროპის საზღვარზე მდებარე საქართველოში, რომელიც კულტურული ხალხით იყო დასახლებული, საუკუნეების განმავლობაში არ წყდებოდა განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მყოფი მომთაბარე მომხდურების შემოსევა. ისინი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარებით მკვეთრად ჩამორჩებოდნენ კოლხებსა და იბერებს, მაგრამ კარგად საზღვდრო ორგანიზაცია გააჩნდათ და სხვა ხალხების ძარცვა-გლეჯით ცხოვრობდნენ. რა თქმა უნდა, ისიც შეიძლება, რომ დამპყრობლები დაპყრობილებზე უფრო განვითარებულნი იყვნენ ეკონომიკურად, პოლიტიკურად და კულტურულად. მაგრამ დაპყრობა, თავისთავად, მაინც უარყოფით გავლენას ახდენს დაპყრობილი ხალხის ისტორიაზე. საქართველოს კი უშეტესად ჩამორჩენილი კულტურის მქონე ურდოებთან უხდებოდა ბრძოლა და ასეთ ვითარებაში ქართველები, სომხები და ბერძენები ბარბაროსებისაგან იცავდნენ არა მარტო დამოუკიდებლობას, არამედ თავიანთი მეურნეობისა და კულტურის უფრო მაღალ ფორმას.

XI საუკუნეში კიდევ უფრო მძიმე განსაცდელის უამი დაუდგათ საქართველოს, სომხეთსა და ბიზანტიას. ამ დროისათვის გამოჩნდა თურქული წარმოშობის მომთაბარე ოღუზთა ტომების დიდი გაერთიანება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ძლიერი ბელადი სელჩუკი. ლიდერის სახელწოდება, როგორც ეს მაშინ სდებოდა, ხალხის სახელწოდებად იქცა. შუა აზიიდან დაძარცვულმა სელჩუკებმა შედარებით ადვილად დაიპყრეს ვრცელი ირანის სახელმწიფო, ბიზანტიასაც მოახრევინეს ქედი და დიდი ვნება მიაყენეს კავკასიის მოსახლეობასაც.

მძიმე და მეტისმეტად საშიში ნაწი იდგა საქართველოში სელჩუკთა სახელმწიფოს აღზევების გამო, როდესაც 1078 წელს ქართველთა მეფე გიორგი მეორის ოქაზში დაიბადა ვაჟი-შვილი, რომელსაც დავითი შეარქვეს, დავითის ისტორიკოსი, იზიარებდა რა შეხედულებას, რომ უფლისწული შთამომავალია დავით ებრაელთა მეფისა, აღნიშნავდა, რომ ის 78-ე მოდგმა დიდი წინაპრისაო.

ისტორიკოსის თხზულება შეკუმშულად, ლაიდარულ სტილშია დაწერილი სახარების მსგავსად და დეტალურად, გამოწველივით არ მოგვითხრობს დავითის ბავშვობას, მაგრამ ის ფაქტი, რომ შესაძლებლად ჩათვალეს 16 წლის დავითის მეფედ კურთხევა, იმის მოწმობად უნდა ჩითვადოს, რომ მან ალბათ არაერთხელ გამოიჩინა თავი სიბრძნითა და სიმაჟაცით. სახელმწიფოებრივი კუთხით





1089 წელს მეფე გიორგი მეორემ უარი თქვა მეფობაზე და სახელმწიფოს მართვა ჩააბარა თავის 16 წლის ვაჟიშვილს — დავითს. ამით მან აღიარა იდეა, რომ სახელმწიფო მეფის კერძო საკუთრება არ არის; ხელმწიფობა ქვეყნის სამსახურია და თუ საჭიროა, მეფემ ხალხის ინტერესებისათვის მეფობა უფრო უნარიან მემკვიდრეს უნდა დაუთმოს. ამგვარი საქციელი მეფე გიორგის სამშობლოს წინაშე დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს.

თუმცა, ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ დიდმა აზნაურებმა პოლიტიკური გადატრიალება მოახდინესო სამეფო კარზე. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა კი არაფერი თქვა ამაზე, დუმილი არჩია და მოკლედ გვაცნობა: 1089 წელს დავითს „მამამან დაადგა გვირგვინი მეფობისა“-ო.

მართალია, სამეფოს მმართველი ზედა ფენის მხარდაჭერის გარეშე ეს საქმე ვერ მოხდებოდა, მაგრამ აქ პოლიტიკურ გადატრიალებასთან არ უნდა გვკონდეს საქმე, რადგან დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, რომელსაც გიორგი მეორის მიმართ ტენდენციურობაში დებენ ბრალს მკვლევარები, ასეთ ფაქტს არ დამალავდა და მეფეს დადებით თვისებებს ვერ მიაწერდა, თუ სინამდვილეში მას იგი არ გააჩნდა.

როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა „დავით აღმაშენებელმა მემკვიდრეობით მძიმე ტვირთი მიიღო: სამეფოს საქმეები აწეწილ-დაწეწილი იყო. ქვეყანა თურქების თარეშისაგან მოქანცული“. ქართლი ისე იყო აოხრებული, რომ მემკვიდრის სიტყვებით „თვინიერ ციხეთა სადმე არა იყო კაცი სოფელისა შინა, არცა რა შენებულობა“. თურქები ბატონობდნენ ქალაქ თბილისში, რუსთავში, სამშვილდეში, აგარანში, ხოლო თრიალეთი, კლდე-კარნი და „მიმდგომი ქვეყანა მათი“ თავნება და ორგული ფეოდალის ლიპარიტის ხელში იყო. ქართლის ვაკე, წინათ აუვავებული სამიწათმოქმედო ქვეყანა, ნადირთ ბუნგადა ქცეულიყო. თურქი მომთაბარეების სადგომად იყო გადაქცეული აჭკალა, დღღოში, ივრის სანაპიროები, ბარბაროსი ნომადების ხელთ იყო აგრეთვე მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო.

თურქ-სელჩუკ მომთაბარეებს შემოდგონა-ზამთრის პერიოდში მტკვრის სანაპიროებზე უყვარდათ ცხოვრება და თარეში. თბილისიდან შირვანამდე და ივრის ნაპირებზე ნომადები მათი ნაბღის კარვებით, ურიცხვი წვრილფეხა და მხვილფეხა საქონლით აოხრებდნენ ქვეყანას, ხოლო გაზაფხულის მეორე ნახევარსა და ზაფხულში მთებისაკენ მიიწევდნენ და იქ სივრცეში ნებვირობდნენ. მძიმე დრო დაუდგა აღმოსავლეთ საქართველოს. ქვეყანა „გაოხრდა და მოიჭამა თურქთაგან“. ერთ უბედურებას მეორეც დაერთო. 1098 წელს ადგილი ჰქონდა საშინელ მიწისძვრას. ისტორიკოსის სიტყვით, მიწისძვრა ისეთი სასტიკი იყო, რომ მთები და კლდეები მტვრად იქცნენ, დაინგრა ქალაქები და სოფლები, ეკლესიები. დაიქცა თმოგვის ციხე და „განგრძელდა ესევითარი ძრვა ქვეყნისა, საშინელი ვიდრე წელიწადამდის, რომელსა შინა მოსწყდა სიმრავლე ურიცხვი“, ე. ი. დიდი იყო ადამიანთა მსხვერპლიც.

შედარებით უკეთესი ვითარება იყო დასავლეთ საქართველოში, სადაც მომთაბარეები ისე ხშირად ვერ დაპარპაშებდნენ და მათ მიერ მიუყენებელი ზიანი აქ უფრო ნაკლები მასშტაბისა იყო.

ჭაბუკი მეფე უნდა დაყრდნობოდა დასავლეთ საქართველოსა და იქ შემორჩენილ მატერიალურ რესურსებს; მეფემ კარგად შეისწავლა აღმოსავლეთ საქართველოში არსებული ვითარება, ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა და გეგმაზომიერად დაიწყო სახელმწიფოს განმტკიცება.

ახალგაზრდა მონარქმა პირველყოფლისა ქვეყნის ეკონომიკის აღდგენას, საქართველოს მოშენებას მოჰქიდა ხელი, მაგრამ ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო იყო სახელმწიფო წესრიგის აღდგენა, ორგული ფეოდალების დასჯა და შემდეგ საგარეო მტრების ალაგმვა. ჭაბუკმა მეფემ ადვილად შეამჩნია, რომ მამის საშინაო და საგარეო პოლიტიკა სამომავლოდ არ გამოდგებოდა. გიორგი მეფემ ვერ შეხსლო თავისი ურჩი ქვეყრდღობების ალაგმვა. მისი სისუსტის შედეგი იყო ისიც, რომ მან „ყოველივე ერთგული და ორგული დაფარა წყალობითა“. სახელმწიფო ხმდენად სუსტი იყო, რომ დაშნაშვე ფეოდალების დასჯა უჭირდა. დიდგვაროვანი აზნაურები ამით სარგებლობდნენ და მეფეს ყოველ ნაბიჯზე დალტობდნენ. ივანე ლიპარიტის ძე გიორგი მეორეს ზედღუნდ სამჯერ განუდგა.

დავით მეფეს პირველყოფლისა უნდა ეზრუნა სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერებისათვის.

სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერებისათვის საჭირო იყო, სახელმწიფოს ხელში. მეფის უშუალო განკარგულებაში მოქცეულიყო მნიშვნელოვანი ტერიტორია, დიდი ადგილ-მამული სამეფო დომენის სახით და რაც მთავარია, გადასახადისაგან არ ყოფილიყვნენ განთავისუფლებულნი დომენს გარეთ მდებარე გადახდისუნარიანი მფლობელები. სწორედ სამეფოს პოლიტიკურ





და ეკონომიკურ სიძლიერესთანაა დაკავშირებული იმის შესაძლებლობა, რომ სახელმწიფოში იყოლიოს მუდმივი არმია, თავდაცვისათვის აუცილებელი შეიარაღებული ძალები.

ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარების გზებზე გვიჩვენებს, რომ სწორედ დომენის სიმცირე და თარხნობა-შეუვალობის ფართოდ გავრცელება უშლიდათ ხელს ქართველ მეფეებს, რათა მათ მტკიცე, ცენტრალიზებული სახელმწიფო შექმნათ.

წინამორბედ მეფეთაგან დავითისათვის გარკვეულწილად ანგარიშგახაწევი პირობა უნდა ყოფილიყო ძლიერი მონარქი ბაგრატ მეხამე, რომელმაც მკაცრად დასაჯა ურჩი ფეოდალები, წაართვა მათ ადგილ-მამულები, თანამედებობები და „ადგილთა მათთა გაადინა ერთგულნი და მოსწრაფედ შორჩინი“.

მეფობის პირველ ხანებში, 1089-98 წლებში, დავითმა შესძლო ქვეყნის დაშლამდინება, მთებში გახიზნული მოხანტეობის კვლავ ბარად, ძველ სამოსახლო ადგილებში ჩამოყვანა, აღორძინება იწყო სოფლის მეურნეობამ და ხელოსნობამ.

1098 წელს დავით მეფემ ურჩი ლიპარიტ ამირა დააპატიმრა „პყრობილ იყო იგი ეახსარადენსამე“. ლიპარიტმა ფორმალურად შიინანო თავისი დანაშაული და მეფეშაც მტკიცე ფიცის ჩამორთმევის შემდეგ განუტევა ის და თანამედებობაც შეუნარჩუნა. მაგრამ ლიპარიტმა ორგულლობას თავი არ დაანება. 1098 წელს მეფემ ის კვლავ დააპატიმრებინა. როგორც ჩანს, საქართველოს მეფეებსა და ბიზანტიის იმპერატორებს შორის არსებობდა რაღაც შეთანხმება, რომლის მიხედვითაც საქართველოს სახელმწიფოდან გამკეებულ და დასჯილ პირებს ბიზანტიაში გარკვეულ ადგილას ასახლებდნენ და სათანადო მეთვალყურეობასაც უწყებდნენ.

1108 წელს, როდესაც ლიპარიტ კლდეკარის ერისთავის ძე რატი გარდაიცვალა, დავით აღმაშენებელმა საერთოდ გააუქმა კლდეკარის საერისთაო და ერისთავის ადგილ-მამული თავისად დაიჭირა. ამით სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერებაც გაიზარდა, რადგან თრიალეთს დიდი საშენდრო სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა და ეკონომიკურიც. დავითმა შესძლო და ურჩ ფეოდალს ძაგან აბულეთის ძესაც ჩამოართვა ზედაზენის ციხე და მუხრანის მართალია, კახეთის დიდგვაროვანი ფეოდალი აბულეთის ძე დავით მეფისთვისაც ძლიერი მოწინააღმდეგე იყო, მაგრამ მეფემ ფეოდალი შიინც დაამარცხა. ბრძოლაში ძლეულმა ძაგანმა შიომღვიმის მონასტრს შეაფარა თავი, მაგრამ მონასტრის ბერებმა ის არ მიიღეს და მეფეს გადასცეს.

მხსვილი ფეოდალური არისტოკრატის მნიშვნელოვანი ნაწილი დავით მეფის ცენტრალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდა. სამეფო ხელისუფლებისათვის ადვილი არ იყო მათ წინააღმდეგ ბრძოლა. დავითმა შიინც მონახა მოკავშირეები საშუალო და წვრილი აზნაურობის ინტენსიური მეურნეობის წარმოებით დაინტერესებული ქალაქისა და სოფლის უშუალო მწარმოებელთა სახით და განწრაფვის აღსრულებას შეუდგა. ეს იყო საქართველოს გაერთიანება და ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა.

დავით აღმაშენებლის გენიალობა მისი უდიდესი პატრიოტიზმი და ჰუმანიზმი იმაში მდგომარეობდა, რომ მან მართებულად ამოიკნო ისტორიის განვითარების ტენდენციები, სწორად შეამჩნია საზოგადოების ის ფენები, ვისაც იგი უნდა დაეყრდნობოდა და რაც ყველაზე მთავარაა, არახადეს მიუღია სახელმძღვანელოდ პრინციპი, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას.

დავითი იყო დიდი დიპლომატი, პოლიტიკოსი და მაღალი წნეობის რაინდი მეფე, რომელსაც არ შეეძლო საკუთარ სიცოცხლეზე მძლავრ დაუქენებინა ერის ღირსება. საქართველოს არცერთ მეფეს ისე ოპტიმალურად არ გამოუყენებია ხელსაყრელი საგარეო პირობები თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის, როგორც ეს დავით აღმაშენებელმა გააკეთა. მხედველობაში გვაქვს ჯვაროსანთა ლაშქრობები, რომელიც 1098 წელს დაიწყო. ჯვაროსნების მიერ ანტიოქიის და იერუსალიმის აღებას საქართველოში სიხარულით შეხვდნენ. თამარის ისტორიკოსის ცნობით, დავით აღმაშენებლის მხედრობა ჯვაროსნებს ეხმარებოდა იერუსალიმის აღებაში. თავის მხრივ 1221 წელს დიდგორის ბრძოლაში ჯვაროსნების რაზმიც იბრძოდა ქართველთა მხარეზე. მსოფლიო ისტორიამ მრავალი მეფე და სახელმწიფოს მეთაური იცის, რომლებიც სწორედ იმ პრინციპით ხელმძღვანელობდნენ, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას. ვიცით გენიალური მოხარქებაც, რომლებიც თავიანთ პიროვნებაში აერთიანებდნენ გენიოსსა და ქალაქს, მაგრამ ძალიან ცოტა ვიცით ისეთი მეფე, რომელსაც დავით აღმაშენებელივით დიდი ისტორიული მისია შეეხრულებინოს და შიინც ბოლომდე დარჩენილიყოს შორალურად სეტკაი. წმინდა.





### ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა

დამიწმ აღმაშენებლის მეფედ კურთხევა 1089 წელს მოხდა. და ამ დროისათვის ქრისტიანული ეკლესია საქართველოში უკვე დიდი ხნის ჩამოყალიბებული იყო. ამიტომ ბუნებრივია, რომ მას თავისი მოღვაწეობის მრავალსაუკუნოვან გამოცდილებასთან ერთად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ძალაც გააჩნდა. როგორც ერთი ქართველი მკვლევარი აღნიშნავს, „შუა საუკუნეების საქართველოში ეკლესია მსხვილ ფეოდალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. განსაკუთრებით გაიზარდა და გაძლიერდა იგი მეთერთმეტე საუკუნეში, როცა მის ხელში დიდძალი მამულებმა მოიყარა თავი. უფრო მეტიც, ეკლესიამ შეუვალლობა მოიპოვა და სახელმწიფოში ერთგვარ სახელმწიფოდ იქცა.“

როგორც ყოველ ფეოდალურ სახელმწიფოში, საქართველოშიც, ეკლესია თავისი მრავალრიცხოვანი მონასტრებით (შესაბამისად სამონასტრო მამულებით), მნიშვნელოვან საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ფაქტორს წარმოადგენდა.<sup>1</sup>

საყოველთაოდ ცნობილია ის გარემოება, რომ XI—XII საუკუნეების საქართველოში ეკლესია დიდ იდეოლოგიურ ძალას წარმოადგენდა, რადგან ქრისტიანული რელიგია ხალხის კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი იყო. ასეთ პირობებში კი სამღვდელთა ერთობა უფრო განათლებულ ფენად ითვლებოდა.

დავით აღმაშენებელი უპირველესად დიდი სახელმწიფო მოღვაწე იყო და მის უმთავრეს მიზანს ძლიერი, ცენტრალიზებული, გაერთიანებული ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა წარმოადგენდა, ცხადია, თუ ქართულ ეკლესიაში იმ ფეოდალურ საგვარეულოთა წარმომადგენლები მოკალათდებოდნენ, რომლებიც ხელს შეუშლიდნენ საქართველოს გაერთიანებასა და ძლიერი სამეფო ხელისუფლების შექმნას, ახალგაზრდა მეფის უპირველესი ამოცანა ვერ განხორციელდებოდა.

დავითმა კარგად იცოდა საქართველოს ისტორია და იმასაც გრძნობდა, რომ შესაძლებელი იყო ზოგიერთ გათავსებულ ეკლესიის შესწავლას, ქვეყნის წინაშე დიდად ნამსახური შეფასებისაც კი მიეყენებინა მძიმე ფიზიკური შეურაცხყოფა. უფრო რეალური ჩანდა დაუმორჩილებლობის სხვა ფორმები. მაგალითად, რადგან დიდგვაროვანი კახელი ფეოდალი ძაგან აბულეთის ძე დავითს აქტიურ წინააღმდეგობას უწევდა, გამორიცხული არ იყო ის გარემოებაც, რომ ძაგანის ძმა მოდისტოსი, სასულიერო პირი, მეფის მოწინააღმდეგეთა მხარეზე აღმოჩენილიყო.

მტკიცე, გაერთიანებული ფეოდალური მონარქიის მტერი ეკლესია იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ იგი ძლიერი, ცენტრალიზებული მონარქიის მოწინააღმდეგე ფეოდალების ხელში აღმოჩნდებოდა. საერთოდ, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა რთული პრობლემაა, მაგრამ განსაკუთრებულად გართულდა იგი ფეოდალურ ქვეყნებში. საქმე ისაა, რომ ფეოდალური დაქუცმაცებულობის ხანაში გაჩნდა მცირე სამართავი ერთეულის „მამული სახელმწიფოს“ იდეა. ცხადია, მოშავლის თვალსაზრისით ასეთი სახელმწიფო ვერ იქნებოდა პერსპექტიული. ისეთმა კარგად ორგანიზებულმა და ცენტრალიზებულმა ეკლესიამაც კი როგორც იყო კათოლიკური ეკლესია, დასავლეთ ევროპაში თავისი იდეოლოგიური და მატერიალური სიძლიერის წინაშე ქედი მოახრეინა მრავალ მეფეს თუ იმპერატორს. ეკლესია და სახელმწიფო დავას იწყებენ იმის შესახებ, თუ რომელი ხელისუფლება უნდა სარგებლობდეს უპირატესობით საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში სასულიერო თუ საერო? საუკუნეების განმავლობაში ამ ბრძოლამ ხელი შეუწყო უნიკალური და მთელი მსოფლიოს მასშტაბით ფასეული პოლიტიკური მოძღვრებების წარმოშობასა და განვითარებას დასავლეთ ევროპაში. საბოლოოდ კი გაირკვევა, რომ სახელმწიფოსაც ისევე სჭირდება ეკლესია, როგორც ეკლესიას სახელმწიფო.

ქართველი ხალხის მოწინავე წარმომადგენლები გრძნობდნენ, რომ ძლიერი სახელმწიფოს გარეშე შეუძლებელი იყო სოციალური და კულტურული პროგრესი, მტკიცე ქართული სახელმწიფო იმ დროს შეიძლება ჩამოყალიბებული ყოფილიყო მხოლოდ მონარქიის, სამეფოს სახით. როგორც ფიქრობენ, სწორედ ასეთ სახელმწიფოზე მოთხოვნილებამ დაბადა შეცხრე-შეათე საუკუნის იდეოლოგიური მითი, ისტორიული საბუთებით დაუდასტურებელი მოძღვრება, ბაგრატიონთა საგვარეულოს ღვთიური ჩამომავლობის შესახებ. ხალხს სურდა, რომ მათი მეფე ყოფილიყო ღვთაებრივი არა მარტო თავისი თვისებებით, არამედ წარმომავლობითაც. გრიგოლ ხანძთელი ასე მიმართავს აშოტ ბაგრატიონს: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფო, მეფობა და სათნოებანიცა მისნი დაგიმკვიდრნეს ქრისტემან“-ო. შეორე მხრივ იმავე





გიორგი მერჩულეს თხზულებაში საბა იშხნელი ასე მიმართავს ბაგრატ კურაპალატს: „დიდ-ბულო მეფეო, შენ ქუეყანისა ხელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ჴეცისა და ქუეყნისა და ქუესკნელთა, შენ ნათესავთა ამას მეფე ხარ, ხოლო ქრისტე ყოველთა დაბადებულთა, შენ წარმავლთა ამით უამითა მეფე ხარ, ხოლო ქრისტე საფუძუნო მეუფე და სრული ჰგიეს უცვალებელი, უუამო, დაუსაბამო, დაუსრულებელი მეუფე ანგელოზთა და კაცთა“...

რა თქმა უნდა, სასულიერო ხელისუფლების საერო ხელისუფლებაზე უპირატესობის იდეა საქართველოში არ დაბადებულა, იგი არსებობდა გიორგი მერჩულემდეც და მის შემდეგაც. მაგრამ IX—X საუკუნეებში და უფრო გვიანაც ქართულ ეკლესიაში საკმაოდ იყვნენ სალად მოაზროვნენი, რომელთაც ესმოდათ, რომ ეკლესიას სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელება არა თუ გაუქირდებოდა, არამედ საერთოდ არ შეეძლო მათი შესრულება. ამიტომ, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთთანამშრომლობა სახელმწიფოს გარკვეული უწინაესობის პირობებში ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენდა.

დავითის გამეფებამდე მთავარი საეკლესიო თანამდებობები დაკავებული ჰქონდათ დიდგვაროვან ფეოდალთა წარმომადგენლებს, საეპისკოპოსოთა უმრავლესობაში ისინი იყვნენ გაბატონებულნი. „უღირსთა და უწესთა მამულებით უფროს ვიდრე ღირსებით დაეპყრნენ უფროსი საეპისკოპოსონი“—ო ამბობს მემბრანე. ირდევოდა საეკლესიო წეს-ჩვეულებები, ჴნობრივი ნორმები. შეიძლება გადაჭარბებულიც იყოს დავითის ისტორიკოსის სიტყვები, რომ „მღვდელთაგან გამოვლიდა ყოველი უსჭულება და ცოდვა“—ო, — მაგრამ ის ერთ რამეში მართალია: ეკლესია იმ დროისათვის უთუოდ პროგრესული მოვლენის — მტკიცე და გაერთიანებული, ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს მოწინააღმდეგეთა ხელში იყო. არაერთი შემთხვევა ვიცით საეკლესიო თანამდებობების ყიდვა-გაყიდვისა. ჴოგიერთი მეფე, მაგალითად ბაგრატ IV (1027—1072) თითონვე უწყობდა ხელს თურმე სასულიერო საპატრიო თანამდებობებზე უღირსი პირების დანიშვნას. ეს კი პროგრესულ საეკლესიო მოღვაწეთა უკმაყოფილებას იწვევდა.

დადგა დრო, როდესაც ეკლესიასა და სახელმწიფოს ერთად, ხელი-ხელ ჩაიდებულებს უნდა ებრძოლათ ანტისახელმწიფოებრივი და ანტიოციალური ძალების წინააღმდეგ ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური აღორძინებისათვის. დავით აღმაშენებელს, ამოუწურავი ნებისყოფის და სახელმწიფოებრივი ტალანტით დაჭიდდებულ მეფეს ქვეყნისა და ხალხის სამსახურში უნდა ჩაეყენებინა ეკლესია.

სწორედ ამან განაპირობა მოწვეული ყოფილიყო საეკლესიო კრება, „სანახებთა ქართლისათა მახლობლად ორთა საეპისკოპოსოთა რუისისა და ურბნისისა“.

კრება გამართა დავით აღმაშენებლის ინიციატივით და მისივე მოწინააღმდეგეობით. „დროსა და ადგილსა ჯეროვანსა“. ეს მოხდა დაახლოებით 1104 თუ 1105 წელს. კრებაზე მოწვეული იყვნენ კათალიკოსი, მღვდელთ-მთავარნი, მეუღბანოენი, მოძღვარნი და მეციხერნი. აღნიშნული საეკლესიო კრება საგანგებო და განსაკუთრებული იყო და იგი მსოფლიო კრების დონეზე ჩატარდა (ივ. ჯავახიშვილი, ე. გაბიძაშვილი). კრებას თავმჯდომარეობდა იოანე კათალიკოსი „ყოვლისა საქართველოდსა დიდი მამათმთავარი“, დავითის თანამოსაგრე და თანამოაზრე, რამაც უზრუნველყო დავით აღმაშენებლის საეკლესიო პოლიტიკის გამარჯვება. როგორც ისტორიკოსი ამბობს „დიდთა წყულებათა კურნებად შემოკრბა ერი მრავალი“. მეფის საეკლესიო პოლიტიკის მომხრეებიდან კრების მუშაობაში აქტიურ მონაწილეობასღებულობდნენ გიორგი მწიგნობართუხუცესი, არსენ იყალთოელი და სხვები.

კრებას ესწრებოდნენ გიორგი მეორე, მეფე დავითის მამა და გიორგი მეორის და, ბიზანტიის დედაფალი მარიაში.

კათალიკოსთან ერთად გიორგი მწიგნობართუხუცესი იყო ერთ-ერთი მთავარი პირი, ვინც დავით აღმაშენებლის პოლიტიკის გამარჯვებისთვის იბრძოდა საეკლესიო კრებაზე. „ძეგლისწერაში“ იგი (გიორგი) „კრების თვალად“ არის მოხსენიებული.

კრებამ მიიღო დადგენილება უღირსი ეპისკოპოსების გადაყენების შესახებ, რომელთა ნაცვლად სხვები, სულიერი მოძღვრის, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებისათვის შესაფერისი მოღვაწეები დაინიშნენ.

საეკლესიო კრების მოწვევამდე, როგორც ჩანს, ირდევოდა სასულიერო პირთა ანაკობრივი ცენზიცი. ამიერიდან ეპისკოპოსად მხოლოდ მწიგნობარნი ახსია მიღწეულნი, ხოლო მღვდელად ოცდაათი წლის კაცი შეიძლებაოდა ხელთდასხმულიყო. დიაკვნად პირის ხელთდასხმის უმცირესს ახსიად განისაზღვრა ოცდასხუთი წელი. აიკრძალა მანამდე არსებული პრაქტიკა, როდესაც პირის ერთი დღის განმავლობაში თანამედვერობით ჯერ „წიგნის-მითხველად“ შემდეგ კერძო-დიაკვნად, დიაკვნად და მღვდელადაც კი აკურთხებდნენ ხოლმე. თუ ასეთი რამ მომავალშიაც





განმეორდებოდა, როგორც ხელთღამსხმელი, ასევე ხელთღასხმულნი „ერთბაშად“ განიკვეთებოდნენ „მღვდელმობისაგან“.

კრებამ დაგმო ქრთამისა და საფასის გაღება საეკლესიო თანამდებობის მოპოვების მიზნით, „რომელთა შიილებენ ხელთღასხმულნი ხელთღასხმულთაგან“. სასტიკად იქნა დაგმობილი სიმონია, მისთვის „შეჩვენების“ სახჯელის დაწესებით.

საეკლესიო კრებამ დიდი უსურადლება დაუთმო საქორწინო-საოჯახო ურთიერთობათა მოწესრიგების საქმეს. როგორც სახელმწიფოს, ასევე ეკლესიას, ხელს აძლევდა, ანტიერესება ჩანსადი, მტიციე ოჯახის შექმნა. ოჯახი სახელმწიფოსა და საზოგადოების მყარი საყრდენია, ის პირველადი კოლექტივია, სადაც ხდება ადამიანის, ინდივიდის აღზრდა. მტიციე, ორგანულად შეკრული ოჯახის გარეშე ფეოდალური საზოგადოება და სახელმწიფო ფეხს ვერ აუბამენ სოციალურ პროგრესს.

მას შემდეგ რაც საქართველოში ქორწინების ქრისტიანული წესი დამკვიდრდა, თანდათან იზღუდებოდა და ქრებოდა ძველი წარმართული ჩვეულებები, მაგრამ ეს უცებ არ მომხდარა. საუკუნეთა განმავლობაში ქრისტიანული და წარმართული წეს-ჩვეულებები ერთად არსებობდნენ, ბოლოს, როდესაც გამარჯვება ქრისტიანობას დარჩა, დაუშტა და დადგინდა, რომ:

1. დასაქორწინებელი ქალიც და ვაჟიც ქრისტიანი უნდა ყოფილიყო. ქრისტიანის ქორწინება არაქრისტიანთან, როგორც წესი, აკრძალა.

2. მართლმადიდებლური კანონიკური სამართლის თანახმად ერთ-ერთი მექორწინე მაინც უნდა ყოფილიყო მართლმადიდებელი ქრისტიანი. ასეთი ქორწინების შედეგად გაჩენილი ბავშვები მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე უნდა აღზრდილიყვნენ.

3. მექორწინეთა შორის სჯულის კანონით დადგენილი ზორციელი და სულიერი ნათესაობის გამომრიცხავი გარემოებანი დაცული უნდა ყოფილიყო. თვით ნათესაობის გამოთვლის რომაული მეთოდი, რომის სამართლის ერთ-ერთი გენიალური ქმნილება, თანდათან შეითვისა საეკლესიო სამართალმა.

4. ქრისტიანული ეკლესია, თეორიულად მაინც, ყოველთვის აღიარებდა, რომ ანგარიში გასწეოდა დასაქორწინებელთა ნებას.

ქრისტიანულმა ეკლესიამ ქორწინებას რელიგიური საიდუმლოების სიდიადე და მნიშვნელობა მიანიჭა. ქართული საეკლესიო სამართლის მიხედვით ორივე დასაქორწინებელი პირი ქრისტიანი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ქრისტეს რწმენის გარეშე არ შეიძლებოდა ადამიანზე ღვთის კურთხევის გარდმოვლენა, რომელიც საიდუმლოდ ხდება. სასურველად ითვლებოდა, რომ ორივე დასაქორწინებელი პირი მონათლული ყოფილიყო ქრისტიანული წესით. თუ დასაქორწინებელთაგან ერთ-ერთი მათგანი მაინც იქნებოდა მართლმადიდებელი, მაშინ ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით ასეთ საქორწინო კავშირს ღვთის კურთხევა მაინც გადმოეკლენებოდა იმ პირობით, თუ არამართლმადიდებელი ქრისტიანი მეუღლე მართლმადიდებლის რწმენას არ შეეხებოდა. შეიღები კი მართლმადიდებლური რწმენით აღიზრდებოდნენ.

საეკლესიო კრების „მეგლის წერის“ მიხედვით ეკლესიის გარეშე იკრძალებოდა გვირგვინის კურთხევა. ქორწინების ცერემონიალი რელიგიურ რეგლამენტაციას დაექვემდებარა.

როგორც ჩანს, საქართველოში XII საუკუნის დასაწყისამდე უნდა ჰქონოდა ადგილი არასრულწლოვან ქალ-ვაჟთა დაქორწინებას. საეკლესიო კრება არ ეწინააღმდეგებოდა „ჩვილ ქალ-ყრმთა“ დაწინდვის ძველ ქართულ ჩვეულებას, მაგრამ კანონით განსაზღვრულ ასაკამდე მათ დაქორწინებას კი კრძალავს. ქალის საქორწინო ასაკად 12 წელი ითვლებოდა. ეს ტრადიცია მომდინარეობდა ძველი რომაული სამართლიდან, რაც მოგვიანებით კანონიკურ სამართალშიც პოულეობს გამოხატულებას. იმ მასალების მიხედვით, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, ფეოდალურ საქართველოში ასეთ დაბალ ასაკში ქალის დაქორწინება იშვიათი უნდა ყოფილიყო. ვაჟის საქორწინო ასაკად 16 წელი ითვლებოდა. ყოფილა შემთხვევა ვაჟის 15 წლის ასაკში დაქორწინებისაც. დღესათვის ქორწინება ამ ასაკში მიზანშეწონილად არ ითვლება.

საეკლესიო კრებამ გაილაშქრა ე. წ. „კიდის-კიდე გვირგვინთა კურთხევის“ წინააღმდეგ. სხვადასხვა გარემოებათა გამო არაიშვიათად იქმნებოდა ისეთი ვითარება, როცა გვირგვინის კურთხევის დროს ერთ-ერთი დასაქორწინებელთაგანი ადგილზე არ იყო. სხვა მხრივ კი ქორწინების დამატკობლებელი არავითარი მიზეზი არ არსებობდა. დაქორწინებას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ გვირგვინის კურთხევის მომენტში, ვთქვათ, საცოლედ არ იყო ადგილზე.

„კიდის-კიდე გვირგვინთა კურთხევა“ საშუალებას იძლეოდა საქმრო და საცოლედ ერთმანეთისაგან დაშორებით დაქორწინებულნიყვნენ.



„კიდის-კიდე“ გვირგვინთა კურთხევის დროს, იქ, სადაც ქორწინების ცერემონიალი სრულდებოდა, საცოლის ნაცვლად გვირგვინის ქვეშ პატარძლის წარმომადგენლად ქალი კი არ მდგარა, არამედ მამაკაცი. ჩანს, ძველ საქართველოში ქალისათვის ამგვარი წარმომადგენლის როლის შესრულება სათაკილო იყო.

საეკლესიო კრებამ სასტიკად აკრძალა ხსენებული ფორმით ქორწინება. ოჯახის განმტკიცების ინტერესები მოითხოვდნენ, რომ ქორწინებაში უპირატესად რელიგიური საიდუმლოებისათვის გაესვათ ხაზი. ამ შემთხვევაში სახელმწიფომ ეკლესიას კი არ დაუთმო პოზიციები, არამედ სახელმწიფო და ეკლესია ერთად იღვწოდნენ ოჯახის და ქორწინების ქრისტიანული საწყისების განხორციელება-განმტკიცებისათვის. დიახ, მტიციე მონოგამიური ოჯახისა და ქარაფშუტულ განქორწინებათა აკრძალვისათვის დიდხანს იბრძოდა ფეოდალური ხანის ქართული ეკლესია.

დამახასიათებელია ის გარემოებაც, რომ საეკლესიო კრების „ძეგლის წერა“ არაფერს ამბობს სხვადასხვა წოდების ქალ-ვაჟის შეუღლების აკრძალვაზე. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ ეს თავისთავად იგულისხმებოდაო, მაგრამ შეიძლება იმასაც გულისხმობდა კანონმდებელი, რომ ახალი ხელოვნური წლადე არ აღეშარათა სხვადასხვა წოდების პირთა შორის მოხალღნელი საქორწინო კავშირისათვის.

ქორწინება ხომ არა მარტო სხვადასხვა სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური კავშირის დამყარება-განმტკიცების საშუალება იყო, არამედ საზოგადოების სხვადასხვა სოციალური იერარქიულ კიბეზე ახლომდგომთა შორის სამოყვრო-სამეგობრო აქციაიც.

კრებამ სათანადო სასულიერო თანამდებობის პირებს დაავალა, რომ ქორეპისკოპოსებად „სჭულისა და საღთოთა წიგნთა მეციანიერ“ აერჩიათ, ისინი რომელნიც იქნებოდნენ წნეობრივად მღალნი, უბიწონი და საეკლესიო ქონების უანგარო დამცველნი.

კრებამ დაგმო ზოგაერთ მონასტერში მრავალმოდვრიანობის პრაქტიკა. ყოფილა შემთხვევა, რომ დიდ მონასტერს ოცდაათი მოძღვარიც კი ჰყოლია, რაც იწვევდა შფოთსა და დავიდარაბას ბერებს შორის. კრების დადგენილებების მიხედვით მონასტერს, ჩვეულებრივ, ერთი მოძღვარი უნდა ჰყოლოდა. გამონაკლისის სახით დიდ მონასტრებს მიეცათ ორი მოძღვრის ყოლის უფლება.

აიკრძალა „მონასტერთა შინა“ ბაზრობის გამართვა და სხვა მხგავსი სამოქალაქო, საერთო საქმიანობა.

კრებამ საგანგებო მუხლით აკრძალა ე. წ. „სოდომური ცოდვა“, რომელიც მამათმავლობას უნდა გულისხმობდეს.

სოდომური ცოდვისთვის ბიზანტიაში სიკვდილით დასჯაც კი იყო დაწესებული. ქართული კანონმდებლობა, ისევე როგორც ბიზანტიური, მას უშიძიებს დანაშაულად თვლიდა.

როგორც ვხედავთ, საეკლესიო კრება მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო. მიღებული იქნა ხალხისა და სახელმწიფოსათვის მეთად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომელთა განხორციელებაშაც ხელი შეუწყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროგრესს. იწყებოდა მთელი საზოგადოების გარდაქმნა ისტორიული აუცილებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ეს იყო „დიდი თურქობით“ გაწამებული, გატანჯული ქვეყნის დიდი წარმატება. მისი ამოსვლა საქართველოს ისტორიის ჰორიზონტზე.

დავითის პოლიტიკას, პირადი ღირსებების მიხედვით დაენიშნა საეკლესიო თანამდებობებზე სასულიერო პირები, უდიდები მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის. სახელმწიფო და საზოგადოება საერთოდ და ფეოდალურ ქვეყანაში კი სახელმწიფო და ეკლესია, თუ ღირსებით აღწევებულთა ხელში იქნებოდა, მეფის შესაძლებლობა კიდევ უფრო გაიზარდებოდა საერთო საქმეთა გასაქეთებლად. დავით აღმაშენებელი კი ხალხსა და სახელმწიფოს დიდ-მნიშვნელოვანი საქმეებისათვის ამზადებდა. იგი პირველყოვლისა განათლებული და მოაზრდუნე მეფე იყო, რომელიც კარგად ანხნავებდა ანსტრატულ შესაძლებლობასა და რეალურ სინამდვილეს. მას კარგად ესმოდა ისტორია და ისიც, რომ ქუშმართმა პოლიტიკოსმა სოციალური იდეალი მკვეთრად უნდა განასხვავოს სინამდვილისაგან, რათა რეალური შესაძლებლობის ფარგლებში იბრძოლოს ქვეყანაში სიკეთის დასამკვიდრებლად და დასახულ მიზანთა განხორციელებისათვის.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



## მხოლოდ სიფრავი

საკავშირო და რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულმა ინფორმაციამ დამნაშავეობის მდგომარეობის შესახებ მოსახლეობის ფართო მასების ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ამ როგორი იყო ნასამართლობის მდგომარეობა გასულ წელს საქართველოში.

დამნაშავეობისაგან განსხვავებით, ნასამართლობა შემცირდა 16,7 პროცენტით. მთელი წლის მანძილზე ნასამართლოებში მსჯავრი დაედო 9 396 პირს. გამამართლებელი განაჩენი დადგინდა 45 პირის მიმართ, 341 სამართალში მიცემულის საქმეები წარმოებით შეწყდა, 106 შეურაცხადის მიმართ გამოყენებულია იძულებითი ხასიათის სამედიცინო ღონისძიებები, 713 პირის მასალე-ბი დაუბრუნდა დამატებით გამოძიებას.

მსჯავრდებულთა კლებამ შესაბამისად გამოიწვია ნასამართლობის კოეფიციენტის შემცირება. ყოველ 100 000 მოსახლეზე მსჯავრდებულია 179, ხოლო 14 წლის ასაკს ზევით — შესაბამისად 238 პირი. ნასამართლობა ყველაზე მაღალია აფხაზეთის ასსრ-ში და შეადგენს 379.

1988 წელს იმატა იმ მსჯავრდებულთა რიცხვმა, რომლებიც დასჯილნი არიან გაუფრთხილებელი მკვლელობისა და აუცილებელი მოგერიების ფარგლებში გადამეტებით ჩადენილი მკვლელობებისათვის (3-3 პირით), სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის (35 პირით), 11 პირით მეტს დაედო სისხლის სამართლებრივი სასჯელი ვენერიული სენის შეყრის ან ვენერიული სენის მკურნალობისაგან თავის არიდებისათვის, 4 პირით მეტს — სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცებისათვის. სისხლის სამართლის სხვა სახის დანაშაულისათვის მსჯავრდებულთა შორის შეიმჩნეოდა კლება.

ნასამართლობაში დიდია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის მსჯავრდებულთა ხვედრითი წილი და შეადგენს 1 165 პირს (12,4 პროცენტი), მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის მსჯავრდებულია 1 190 პირი (12,6 პროცენტი), ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევისათვის — 713 (7,6 პროცენტი).

9 396 მსჯავრდებულიდან 1 384 ანუ 14,7 პროცენტი ქალია; მათი რიცხვი 1987 წელთან შედარებით 179 ერთეულით ანუ 21,5 პროცენტით შემცირდა.

განსაკუთრებით მაღალია ქალთა ხვედრითი წილი სპეკულაციისათვის მსჯავრდებულთა შორის (ყოველი მეორე); მყიდველთა და დამკვეთთა მოტყუებისათვის (ყოველი მეორე-მესამე); შინნახადი მაგარი სპირტიანი სასმელების დამზადების, შენახვისა და გასაღებისათვის (65,2 პროცენტი), ვენერიული სენით დაავადებისა და მკურნალობისაგან თავის არიდებისათვის (76,5 პროცენტი); 326 მსჯავრდებული სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატია, 942 ალკჰ წევრი, ყოველი მეორე მსჯავრდებული მუშაა, 17,8 პროცენტი მოსამსახურე, 4,8 პროცენტი კოლმეურნე.

დანაშაულის ჩადენის დროს 1 797 პირი ანუ თითქმის ყოველი მეხუთე, არ ეწეოდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, მათგან 767 (42,7 პროცენტი) ადრე ნასამართლავი იყო.

უმუშევართა ხვედრითი წილი განსაკუთრებით მაღალია მოქალაქეთა პი-



რადი ქონების ქურდობისათვის მსჯავრდებულთა შორის (34,5 პროცენტი), ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (32,4 პროცენტი), განზრახ მკვლელობისათვის (24,4 პროცენტი) სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის (26,8 პროცენტი).

მსჯავრდებულთაგან ყოველი მეშვიდე მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ნასამართლობითაა, ხოლო 815 პირს აქვს ნასამართლობა მოხსნილი.

9 396 მსჯავრდებულიდან 2 151 ანუ 22,8 პროცენტმა, დანაშაული ჩაიდინა სიმთვრალეში. სიმთვრალეშია ჩადენილი განზრახ მკვლელობათა 58,1 პროცენტი, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების — 57,7 პროცენტი, გაუპატიურების — 65,8 პროცენტი, ხულიგნობის — 66,6 პროცენტი, მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევის — 27,6 პროცენტი და ა. შ.

448 პირი გაიგზავნა სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში ალკოჰოლიზმისაგან იძულებით სამკურნალოდ, მათგან 89 (19,8 პროცენტი) ადრევე იყო მკურნალობაგავლილი, ხოლო 63 ნასამართლვეი.

1987 წელთან შედარებით 7 პროცენტით შემცირდა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რიცხვი. 70 არასრულწლოვანი დანაშაულის ჩადენამდე ადრეცხვაზე იმყოფებოდა შინაგან საქმეთა ორგანოებში, ხოლო 120 ანუ ყოველი მესამე იზრდებოდა საეჭვო ოჯახში. სასჯელის დამატებითი ღონისძიება — ქონების კონფისკაცია, გამოყენებულია 736 მსჯავრდებულის მიმართ, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლება ჩამოერთვა 1 695 პირს.

**საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლოების, სასამართლო სტატისტიკის და საექსპერტო დაწესებულებათა სამმართველო.**

□ □ □

1988 წელს რესპუბლიკაში რეგისტრირებულ დანაშაულობათა რაოდენობამ იკლო 3,5, ხოლო მძიმე კატეგორიის — 3,8 პროცენტით. შემცირდა მკვლელობის მცდელობა — 20, გაუპატიურება და მისი მცდელობა — 19, ხულიგნობა — 15, სახელმწიფო ქონების ქურდობა — 4, არასრულწლოვანთა დანაშაული 11 პროცენტით.

დანაშაულობათა საერთო რიცხვი საგრძნობლად შემცირდა რესპუბლიკის 40-ზე მეტ ქალაქსა და რაიონში, ხოლო 30-მდე ქალაქსა და რაიონში ოპერატიული ვითარება საკმაოდ გართულდა მძიმე კატეგორიის დანაშაულობათა ზრდის შედეგად. მათ შორის, საგარეჯოს, კასპის, ბოლნისის, წყალტუბოს, გურჯაანის, ქ. ქუთაისის ლენინის რაიონებში, ქალაქებში ჭიათურასა და გორში.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ისეთი მძიმე დანაშაული, როგორცაა განზრახ მკვლელობა — ზუგდიდის, წულუკიძის, თიანეთის, ლაგოდეხის, გურჯაანის, ხაშურის, ხობის, ზესტაფონის, ქ. თბილისის 1 მაისის რაიონებში, ქუთაისსა და რუსთავში; სახელმწიფო და პირადი ქონების ძარცვა — გეგეჭკორის, ზესტაფონის, წულუკიძის, ქ. თბილისის ლენინისა და კალინინის რაიონებში; ავტოსაგზაო დანაშაულის რაოდენობა, რომელსაც მოჰყვა ადამიანის



მსხვერპლი, გაიზარდა ახალქალაქის, გურჯაანის, დუშეთის, საგარეჯოს, თეთრიწყაროს, საჩხერეს, გეგეჭკორის, თერჯოლის, წალენჯიხის რაიონებში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში.

თანამდებობრივ ბოროტმოქმედებებთან, კერძოდ, დატაცებების წინააღმდეგ ბრძოლა შესუსტდა ასპინძის, ჩოხატაურის, ახალქალაქის, საჩხერეს, თეთრიწყაროს რაიონებში, ქ. ტყიბულში; მექრთამეობის არც ერთი ფაქტი არ გამოუვლინებიათ ზესტაფონის, ბოგდანოვკის, ყაზბეგის, ლაგოდეხის, თიანეთის, წითელწყაროს, ამბროლაურის რაიონების ადმინისტრაციულ ორგანოებს. ამ რაიონებში აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლაში ასეთივე უმოქმედობას იჩენდნენ 1987 წელს.

სიღნაღის, ასპინძის, ყვარლის, გარდაბნის რაიონებში და ქ. ზუგდიდში სპეკულაციის მხოლოდ თითო-ორთა ფაქტია რეგისტრირებული.

**საქართველოს სსრ პროკურატურის საბატისტიკის განყოფილება.**

## დაინიშნა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 22 ოქტომბრის დადგენილებით აშ. ალექსანდრე გიორგის ძე ტალიაშვილი დაინიშნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილედ.

ალექსანდრე გიორგის ძე ტალიაშვილი დაიბადა 1947 წელს, სკკპ წევრია 1975 წლიდან, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება — 1970 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ა. გ. ტალიაშვილი მუშაობას იწყებს „თბილგაზის“ იურისკონსულტად. 1975 წლიდან იგი საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კონსულტანტი, სოლო შემდეგ უფროსი კონსულტანტია. 1977 წელს მას ირჩევენ

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრად, 1978 წელს კი თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარედ. 1980 წელს ა. გ. ტალიაშვილი გადაწყავთ ამავე რაიონის პროკურორად. 1983-1986 წლებში იგი კვლავ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში მუშაობს, არის სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსი და კოლეგიის წევრი.

1986 წლიდან საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილედ დანიშნულა ა. გ. ტალიაშვილი მუშაობდა საქართველოს კვ. ცენტრალურ კომიტეტში ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორად.



საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის 1989 წლის 18 იანვრის ბრძანებით ამავე სამინისტროს სოციალისტური ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა სამართლებრივი მომხმარებლების განყოფილების უფროსი აშ. ზურაბ ოთარის ძე წურწუშია დაინიშნა კადრების სამმართველოს უფროსად.

ზურაბ ოთარის ძე წურწუშია დაიბადა 1950 წელს, სკკპ წევრია 1981 წლიდან, 1974 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსი-

ტეტის იურიდიული ფაკულტეტი. შრომითი საქმიანობა მან 1967 წლიდან დაიწყო, იყო მუშა, გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს



სხდომის მდივანი, ამავე რაიონის არასაუწყებო დაცვის განყოფილების კადრების უფროსი ინსპექტორი, ქ. თბილისის საქარხნო რაიონის კომკავშირის კომიტეტის ინსპექტორი, ამავე რაიონის აღმასკომის იურისკონსულტი, საორგანიზაციო განყოფილების გამგე, პარტიის საქარხნო რაიკომის ინსტრუქტორი. 1984 წელს ზ. ო. წურჭუბია მუშაობას იწყებს საქართველოს

სსრ იუსტიციის სამინისტროში ჯერ უფროს კონსულტანტად, ხოლო შემდეგ სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

1987 წლიდან 1989 წლის 18 იანვრამდე ზ. ო. წურჭუბია მუშაობდა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სოციალისტური ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა სამართლებრივი მომსახურების განყოფილების უფროსად.



**საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის 1989 წლის 30 იანვრის ბრძანებით აშხ. მამუკა ვახტანგის ძე რაზმაძე დაინიშნა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სოციალისტური ორგანიზაციების და მოქალაქეთა სამართლებრივი მომსახურების განყოფილების უფროსად.**

მამუკა ვახტანგის ძე რაზმაძე დაიბადა 1958 წელს, სკკპ წევრია 1980 წლიდან, იურისტი. 1982 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მ. ვ. რაზმაძე გაიგაზვნა ქ. თბილისის ორჯონიკის რაიონის სახალხო სასამართლოს სტაჟიორად, ხოლო 1983 წლიდან მუშაობას იწყებს თბილისის კალინინის რაიონის სტაჟიორ-გამომძიებლად. ერთი წლის შემდეგ იგი ინიშნება ჯერ

გამომძიებლად, შემდეგ კი უფროს გამომძიებლად ქ. თბილისის პროკურატურაში. 1985 წელს მ. ვ. რაზმაძე პარტიის გლდანის რაიკომის ინსტრუქტორია, ხოლო 1986-1987 წლებში საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსის მოადგილე. 1987 წელს მას ირჩევენ ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის სახალხო მოსამართლედ, ხოლო ერთი წლის შემდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრად. სადაც დაჰყო 1989 წლის 30 იანვრამდე.

**ჩვენნი ენა, ქართული!**

**ერთი ტერმინის მოკლე განმარტება**

ქართული სამართლებრივი ენა ქართული სალიტერატურო ენის ნაწილია. თუმცა მას განსაზღვრული სემანტიკური, სტილისტური, ტერმინოლოგიური და სხვა თავისებურებანი გააჩნია, რომელთა გათვალისწინებაც ოფიციალური აქტების შემუშავებისას აუცილებელია. ეს მოთხოვნები საკმაოდ ხშირად და უხეშად ირღვევა ქართული იურიდიული ტექსტების შემუშავების დროს. იგი განსაკუთრებით საგრძნობია უკანასკნელი პერიოდის ნორმატულ აქტებში. ამჟამად შეგვნებით მხოლოდ ერთს — რუსული ენიდან ტერმინ *подряд*-ის ქართულად გადმოთარგმნის საკითხს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების), ასევე სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ კანონებსა და სხვა ნორმატულ აქტებში *подряд* გადმოთარგმნილია როგორც იჯარა. იმის დასამტკიცებლად, რომ ამგვარი გადმოქართულება რუსული ტერმინისა არ შეესაბამება მასში ჩადებული შინაარსს, სპეციალური იურიდიული განათლება არცაა საჭირო.



ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულში იჯარა განმარტებულია, როგორც „უძრავი ქონების (შენობის, მიწის) დროებით დაქირავება სათანადო ხელშეკრულების დადებით“. Подряд-ში კი არსებითად განსხვავებული შინაარსია გადმოცემული: ერთი პირი (მოქალაქე, ორგანიზაცია) კისრულობს შეასრულოს განსაზღვრული სამუშაო მეორე პირის (შემკვეთის) დავლებით მისი ან თავისი მასალით, ხოლო შემკვეთი კისრულობს მიიღოს შესრულებული სამუშაო და გადაიხადოს მისი ღირებულება (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, მუხლი 343).

აშკარაა, რომ აქ ლაპარაკია არა რაიმე ქონების „დროებით დაქირავებაზე“, არამედ განსაზღვრული სამუშაოს შესრულებაზე.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: გვაქვს თუ არა ქართულ ენაში подряд-ის შესაბამისი ტერმინი?

1985 წელს გამოცემულ რუსულ-ქართულ ლექსიკონში подряд თარგმნილია როგორც ნარდი, ნარდად მუშაობა. ამგვარადვეა ეს ტერმინი თარგმნილი „იურიდიულ ტერმინოლოგიაში“ (1963 წ.), დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონისთვისაც არაა უცხო ტერმინი ნარდი, ნარდობა: „ფასის გარდაკვეთით აღება სამუშაოსი; ...ნარდად მუშაობა, работать на подряд“ (1984 წ.). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულის მიხედვით ნარდი არის აღებული სამუშაო, რომლის ანაზღაურება ხდება შესრულებული სამუშაოს რაოდენობის მიხედვით, ნარდად — ნარდი სამუშაოს წესით, ნარდად მომუშავე. სწორედ ეს აზრია ჩადებული რუსულ ტერმინში подряд და მისი გაიგივება ქონების ქირავნობასთან და შესაბამისად, იჯარასთან — უსაფუძვლოა.

ამ ორი სრულიად სხვადასხვა შინაარსის ტერმინის ერთმანეთთან გაიგივებამ სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონის ქართულ ტექსტში (1987 წ.) სერიოზული აზრობრივი დამახინჯება გამოიწვია. „იჯარა“ გამოყენებულია ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ კონტექსტში: კანონის მეოთხე მუხლის მე-4 პუნქტში, სადაც ლაპარაკია საწარმოს უფლებაზე გადასცეს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს ქონება ქირავნობის ხელშეკრულებით, სრულიად სამართლიანად მითითებულია იჯარაზე; ხოლო მეხუთე მუხლის მე-4 პუნქტში, როდესაც საკითხი შეეხება подряд-ის წესით მომუშავე ქვედანაყოფების საქმიანობას, კვლავ გამოყენებულია იჯარა, ამგვარად სრულიად სხვა შინაარსის მატარებლად.

ასეთივე ორაზროვნებაა კანონში კოოპერაციის შესახებ. ერთსა და იმავე მუხლში რუსული аренда-ის ქართულ შესატყვისად მოხმობილია იჯარაც და არენდაც. ამავე მუხლში аренда-ც და подряд-იც გადმოქართულებულია როგორც იჯარა (მეხუთე მუხლი, 1-ლი და მე-4 პუნქტები).

ქართულ სამართლებრივ ენას „დიდი სირთულეები“ შეუქმნა რუსულენოვან ნორმატულ აქტებში იჯარისა და ნარდობის ერთიანმა კონსტრუქციამ — арендный подряд. ბუნებრივია, მთარგმნელები მას საიჯარო იჯარად ვერ თარგმნიდნენ. ამიტომ მივიღეთ ყოვლად გაუმართლებელი ტავტოლოგია — საარენდო იჯარა. ეს მაშინ, როდესაც ნებისმიერ რუსულ-ქართულ ლექსიკონში аренда თარგმნილია როგორც იჯარა. დავით ჩუბინაშვილიც იჯარის შესატყვისად რუსულ ენაში მიიჩნევს аренда-ს.

ჩვენი აზრით, საიჯარო ნარდობა სრულიად შეესაბამება მასში ჩადებულ შინაარსს: მიწის (ან სხვა ქონების) გადაცემა ქირავნობის ხელშეკრულების





საფუძველზე (იჯარა) და მისი გამოყენებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულება (ნარდობა).

ექვევარეუბა, რომ აღნიშნულ ხარვეზებს ქართული ენას სიღარიბით ვერ ავხსნით. სრულიად საკმარისი იყო მთარგმნელებს ტექსტზე მუშაობისას მეტი სერიოზულობა გამოეჩინათ, ჩაეხედათ დასახელებულ ლექსიკონებში და ამგვარ შეუსაბამობებს (მათი მსგავსი სხვაც მრავალია ნორმატულ აქტებში) ადვილად ავიცილებდით თავიდან. იჯარა და ნარდობა დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ცნებებია. მათ საკუთარი ადგილი და დანიშნულება გააჩნიათ. ამიტომ მათი ერთმანეთში არევა და გაიგივება ყოვლად გაუმართლებელია. ამასთან, საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ კანონის პროექტების განხილვის დროს რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში არაერთგზის აღინიშნა ქართულ ტექსტზე ფილოლოგების, ეკონომისტების, იურისტების ერთობლივი მუშაობის აუცილებლობა. სამწუხაროდ ეს მოთხოვნა ყურადღების გარეშე დარჩა. ამის შედეგია, რომ ქართულ ნორმატულ აქტებში ბევრია არათუ ტერმინოლოგიური უზუსტობა, არამედ აზრობრივი შეუსაბამობაც რუსულ ტექსტებთან.

ლადო ვანატურია,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის ასისტენტი

## ზნეობა

### პატივი გცეთ ტრადიციებს

წინაპრების გადმოცემით ვიცით, და ასაკოვან ადამიანებსაც კარგად ახსოვთ ქართველთა სუფრასთან მოლხენის მშვენიერი წეს-ჩვეულებანი; ეს იყო მაღალი ზნეობისა და კულტურის ჭეშმარიტად დიდი ზეიმი. რაც უნდა ხალხმრავალი ყოფილიყო წვეულება, დიდი თუ პატარა დიდი ყურადღებითა და მოწიწებით უსმენდა ერთმანეთს, ლოცვასავით წარმოთქმული სადღეგრძელოები კი მაღალი მჭევრმეტყველების დემონსტრაციას წარმოადგენდა. იყო სიყვარული და პატივისცემა, სიმღერა და ლექსი, ცეკვა და თამაში. თამადა კი მთელი ამ მოლხენის ღმერთკაცად იყო წარმოსახული. მიუხედავად ქართული სუფრის უაღრესად დემოკრატიულობისა, თამადის სიტყვა კანონი იყო, რადგან შემთხვევით პიროვნებას თამადად არასოდეს არ აირჩევდნენ. თამადა ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი ზნეობით, კულტურით, ენაშეობითა და სანიმუშო ინტელექტით. იგი შეუძლარი ალღოთი და ინტუიციით გრძნობდა თანამეინახეთა სულისკვეთებას და ამის მიხედვით წარმართავდა კიდევ ლხენას. მთავარი კი ის იყო, რომ ყველა იცავდა ზომიერებასა და წონასწორობას. სწორედ ამიტომაც ქართულ სუფრას აკადემიას უდარებდნენ.

დღეს კი...სამწუხაროდ იმ აკადემიის მხოლოდ ჩონჩხილა შემოგვრჩა



ხელში. ახლა ერთმანეთს კი არა, თამადასაც აღარავინ უსმენს. იძვლავრა ჩიქორთულმა, უსახო და უსულგულო, გატყლარკულმა სადღეგრძელოებმა. სიტყვა გახდა უმეტესად ფორმალური. ზედაპირული, ტრაფარეტული. დღეს იშვიათად როდი შეჩვდებით ანგარებით „არჩეულ“ თამადასაც კი... მოლხენა და ანგარება?! უმეტესად, ალბათ, ამიტომ არის, რომ დღეს სუფრასთან ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ყველა სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობსო. სადღაა ღვინის ჭიქა, „ჩაის ჭიქა“ დამკვიდრდა ჩვენს ყოფაში. თამადა რომ ფეზე წამოდგება, კარგა ხანს ივედრება. მომისმინეთო, მაგრამ ყველა თავის საქმით არის გართული. თამადა იძულებულია ყელისჩახლეჩამდე იყვიროს, რათა ახლოს მსხდომ თანამეინახეებს მაინც გაავებინოს თავისი „ნააზრევი“.

შევიხედოთ ჩვენს რესტორნებში... ნაბახუსევ თვალებში სიამაყე რომ ჩასდგომიათ მომრავლებულ ჩამრგვალებულ ქართველ მამაკაცებს, აქოდა შეხედეთ, ცარიელ ბოთლებში აღარ ვჩანვართო. ენამზეობა და მჭევრმეტყველება ხომ თითქმის სულ გავდევნეთ ჩვენი სუფრიდან. ზოგი კი ისე გამოსცლის ოთხ-ხუთ ბოთლ ღვინოს, ერთი სიტყვაც არ წასცდება გაქონილი ბაგედან. გავიხსენოთ ნოდარ დუმბაძის ნაღველგარეული ხუმრობა ასეთი ენადადუმებულის მიმართ: მაგ კაცს, ბოლოკი მაინც აჭამეთ. ხმას არ იღებს და იქნება დააბოყინოს მაინცო, ამას წინათ კი იმასაც შევესწართ. რომ საყვავილე ქოთნიდან მიწა გადაყარეს და იმით წარმოთქვეს „განსაკუთრებული“ სადღეგრძელო. გულისმომკვლელია ყოველი ამგვარი ამაზრზენი სცენის ცქერა... ვიღრე გვიან არ არის, უნდა ვისწავლოთ ზომიერებისა და წონასწორობის დაცვა, რამეთუ კულტურული ერის წარმომადგენლებს არ შეშვენით პირველყოფილი ადამიანისათვის დამახასიათებელი ქცევები...

ახლა ორიოდ სიტყვა ზოგიერთების კვების კულტურაზე... დიახ, გვეამაყება, რომ ქართული წელში გაზნეილი სუფრა სიუზვით არის განთქმული, მაგრამ კერძების მრავალფეროვნება იმას როდი ნიშნავს, რომ თითოეულმა ყველაფერი უნდა მიირთვას, პირიქით, სწორედ მრავალფეროვნება იძლევა იმის საშუალებას, რომ ყველამ მისთვის საყვარელი კერძი იგემოს. მაგალითად, „ჰათჰა იოგა“ კატეგორიულად კრძალავს რამდენიმე სახის კერძის ერთჯერად მიღებას, რადგან ეს კუჭს მეტისმეტად დიდ ძალას ატანს. იშვიათად როდი გვინახავს, როცა ჭარბი საკვების მიღებით სუნთქვა ეკვრით ადამიანებს. სამაგიეროდ, თუ მხოლოდ ერთი რომელიმე კერძით დაგკმაყოფილებით, თავსაც ლაღად და მსუბუქად ვიგრძნობთ. ამასთან ზედმეტი საკვების მიღება აფერხებს სისხლის მიმოქცევას, საკვების გადამუშავების პროცესს და რაც მთავარია, ასეთ დროს სუნთქვა მეტად ზედაპირულია და ორგანიზმი ვერღებულობს საჭირო რაოდენობით ნახშირბადსა და ჟანგბადს. სისხლში იზრდება პროთრომბინის რაოდენობა, იწყება წნევის თამაში, გულის არითმია. „ჰათჰა იოგას“ თვალსაზრისით, რთული შეზავების საკვებს ორგანიზმი დიდხანს ამუშავებს და ამ პროცესს დიდ ენერგიას ახარჯავს, რაც თავის მხრივ აღდგენით პროცესებს ამუხრუჭებს და იწყება ორგანიზმის სიბერე. განა იშვიათად ვხვდებით ნაადრევად მობერებულ, ჭარბი წონით აქლოშინებულ ახალგაზრდას.

დიახ, ორგანიზმი ერთგულად გვემსახურება, დღე და ღამე შრომობს, მაგრამ როცა მეტრევიით ვექცევით საკუთარ ჯანმრთელობას, ერთ „მშვენიერ“ დღეს ორგანიზმიც გამოგვიცხადებს, რომ გადაიღალა და მეტი აღარ შეუძლია... ვფიქრობთ. დადგა დრო საჯაროდ და პირუთვნელად ვილაპარაკოთ ჩვენი





სულიერი და ფიზიკური კულტურის ამბლღებაზე, ეროვნულ გაჯანსაღებაზე. სამართლიანად გვეამაყება, რომ ჩვენი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი სწორად და კარგად აზროვნებს, ამჟღავნებს მაღალ ინტელექტუალურ ჩვევებს, მაგრამ ფიზიკურად დაძაბუნებული ყმაწვილებიც საკმაოდ მომრავლდნენ, შვებას სხვადასხვა ბანგში რომ ეძებენ. ამას კი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევეუბრდებით, რადგან ერი მაშინ არის ძლიერი, როცა სულ უფრო და უფრო მხნე, ენერგიული, ძლიერი და ლამაზი ახალგაზრდობა ჰყავს. მაშ, ყველა ერთად დავიარაზმოთ, რათა ჩვენი ყოველდღიური საზრუნავი გახდეს პოეტის ნათქვამი: „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა, შეილი დასაკარგავი“.

რაულ მამალაძე,

განსვენება

გიორგი ლასურაშვილი



წელს დაბადების 60 წელი უნდა შესრულებოდა მართლმსაჯულების უანგარო მსახურს გიორგი ივანეს ძე ლასურაშვილს. სამწუხაროდ მისი სიცოცხლე უდროოდ, 46 წლის ასაკში შეწყდა 1975 წელს.

საინტერესო ცხოვრების გზა გაიარა გ. ი. ლასურაშვილმა. დაიბადა 1929 წელს ქ. თბილისში, მუშის ოჯახში. 1937 წელს შევიდა თბილისის მე-17 საშუალო სკოლაში, რომელიც 1948 წელს დაამთავრა. ნიჭიერი ახალგაზრდა იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ქ. რუსთავის სამშენებლო ორგანიზაცია „სპეცმშენში“ ოსტატ ათისთავად, სადაც სულ მალე დაიმსახურა თანატოლთა სწავარული და ნდობა; ამიტომაც აირჩიეს წინამძღოლად, კომკავშირის კომიტეტს ჩაუყენეს სათავეში. მუყაითი, ინიციატივანი ახალგაზრდის საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა და 1955 წელს დაწინაურეს, გადაიყვანეს რუს-

თავის კომკავშირის ქალაქკომის ავიატარ-პროპაგანდის განყოფილების გამგედ, შემდეგ კი კომკავშირის ქალაქკომის მეორე მდივნად, პარტიის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორად.

ყველგან, სადაც კი მუშაობდა, უყვარდათ, პატივს სცემდნენ, სჭეროდნათ მისი. თითქოს ცხოვრების გზაც უკვე არჩეული ჰქონდა, გარკვეულწილად გავლილიც, მაგრამ შინაგანად ყოველთვის რაღაც სხვა მხარეს იღტვოდა, პროფესია თავისკენ ეძაბდა. და აი, 1960 წელს მუშაობა დაიწყო სპეციალობის მიხედვით, ჯერ ქ. თბილისის, კერძოვის რაიონის, ხოლო შემდეგ 26 კომისრების რაიონის პროკურატურაში გამომძიებლად. დაიწყო მღელვარებით სავსე დღეები, უძილო ღამეები, გამომძიებლის შფოთიანი ცხოვრება, იყო ნერვიული დაძაბულობა, მარცხიც, მაგრამ დიდი წარმატება და სიხარულიც. ყველაფერს ანაწლავებდა იმის რწმენა, რომ მისი შრომის შედეგად საზოგადოებას აკლდებოდნენ ხორცმეტები, რაიონში მტკიცედ იკიდებდა ფეხს კანონიერება.

წლებთან ერთად მოდიოდა გამოცდილებაც, პროფესიული ზრდა. შრომას უფასებენ, აწინაურებენ ჯერ 26 კომისრის რაიონის პროკურორის თანამშემედ, შემდეგ კი გადაწყვეთა ამავე თანამდებობაზე ლენინის რაიონში. მისი პირნათელი, უანგარო სამსახური საწინდარია



კიდევ ერთი წარმატებისა — 1970 წელს ხდება ხალხის რჩეული — ირჩევენ ორჯონიკიძის რაიონის ხახალხო მოსამართლედ, სადაც სიცოცხლის ბოლომდე იმუშავა.

ზნობრივად წმინდა, საკუთარი თავისადმი მომთხოვნ, დიდი პასუხისმგებლობის ადამიანს უხაზვლოდ უყვარდა თავისი საქმე, მართლმსაჯულებისა და ხალხისადმი პატივისცემა. იყო მისი ცხოვრების დევიზი.

სამწუხაროდ, ხანმოკლე გამოდგა მისთვის ცხოვრება, წუთისოფელი. ნახევარი საუკუნეც ვერ ჩაათავა, მაგრამ თავისი სავალი კაცურად გალია.

არიან ადამიანები, რომელთა გახსენება ათბობს ადამიანთა სულებს. სწორედ ასეთთა რიცხვს ეკუთვნის გიორგი ივანეს ძე ლასურაშვილი, რომლის უმწიკვლო ხსოვნასაც დღემდე ატარებენ მისი მეგობრები.



## ინფორმაცია

### ახალი კანონის პროექტის განხილვა

სსრ კავშირის საგამომგონებლო საქმიანობის კანონის პროექტმა, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა, დიდი ინტერესი გამოიწვია. ამ სიახლეს, საგამომგონებლო კანონმდებლობის დახვეწა-განვითარებას მხარს უჭერენ და იწონებენ არა მარტო იურისტები, არამედ ყველანი, ვინც ასე თუ ისე დაკავშირებულია გამოგონებასთან, მის დანერგვასა და გაანგარიშებასთან. სამწუხაროდ, ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე დღემდე თითქმის თვითღინებაზეა მიშვებული. ამჟამად მოქმედი შესაბამისი ნორმატიული აქტები, მართლაც, ვერაფერითარ სასიკეთო გავლენას ვერ ახდენენ გამოგონებელთა ქსელის გაფართოებაზე, რადგან ისინი ნაჩქარევად, მოუფიქრებლად, ძალიან ბევრი რამის გაუთვალისწინებლად იყო თავისდროზე მომზადებული და დამტკიცებული. თუ გამოქვეყნებულ პროექტს დავეუქრებთ, ამიერიდან ყველაფერი ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს, დაფასდეს და ფართო გასაქანი მიეცეს. გამოგონებელთა მუშაობას, მათ დაუღალავ მოღვაწეობას.

ეყრდნობოდა რა XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებსა და საყოველთაოდ აღიარებულ იდეას სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრამ მიმდინარე წლის 28 თებერვალს მოაწყო საგამომგონებლო საქმიანობის შესახებ გამოქვეყნებული კანონის პროექტის საჯარო განხილვა და უნივერსიტეტში მოიწვია თვალსაჩინო მეც-

ნიერები, პრაქტიკული მუშაკები, ამ დარგის სპეციალისტები, დაინტერესებული პირები.

ახალი კანონის პროექტის განხილვისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა ს. ჯორბენაძემ. მანვე მიმოიხილა გამოქვეყნებული კანონის პროექტი და გამოთქვა თავისი მოსაზრებანი მთელ რიგ პრობლემურ და საინტერესო საკითხებზე.


განხილვამ მეტად აქტუალურად, მწვავედ და საქმიანად ჩაიარა. იყო კამათი, აზრთა სხვადასხვაობა, წამოყენებულ არგუმენტთა დასაბუთება, ამა თუ იმ დებულების მოწონება-არმოწონება, მაგრამ საბოლოოდ მაინც ერთი აზრი გამოიკვეთა და ყველამ ერთხმად აღიარა უდიდესი მნიშვნელობა, რაც საგამომგონებლო კანონის მიღებას. ცხოვრებაში მის დანერგვას უნდა მოჰყვეს.

საჯარო განხილვაზე სიტყვებით გამოვიდნენ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რ. შენგელია, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ზ. ახვლედიანი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი გ. ცირაშუა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შ. ჩიკვაშვილი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ტ. ზამბახიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის დეკანი. პროფესორი შ. სიღამო-



ნიმე, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი ნ. კრასნიკოვა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატენტო-სალიცენზიო განყოფილების გამგე ა. შიჭაძე, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საუნივერსიტეტო საბჭოს თავმჯდომარე გ. ნადირაშვილი.

საჯარო განხილვის დროს გამოთქმულ წინადადებებსა და შენიშვნებს, რომლებიც შესაბამის კომისიას გადაეგზავნა, იმედია გაითვალისწინებენ შემდგომი ორგანოები კანონის მიღების დროს.



დასრულდა

კანონთა

წიგნის

გამოცემა

მკითხველმა უკვე მიიღო კანონთა წიგნის 14 ტომი ქართულ და რუსულ ენებზე.

საქართველოს სსრ კანონთა წიგნში მოთავსებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის საკანონმდებლო აქტები, საქართველოს კა ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსაკუთრებული მნიშვნელობის ერთობლივი დადგენილებანი და საქართველოს სსრ მთავრობის საერთო ნორმატიული ზანიათის დებულებანი.

რესპუბლიკური კანონმდებლობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის, ერთსა და იმავე საკითხებზე სამართლებრივი აქტების ხიზრავლის აღმოფხვრის და სამართლებრივ რეგულირებაში ხარვეზების შევსების მიზნით, საქართველოს სსრ კანონთა წიგნის მომზადების პროცესში შემუშავდა და დადგენილი წესით შევიდა დასამტკიცებლად საკოდიფიკა-

ციო და სხვა გამსხვილებული აქტებისა და ახალი აქტების პროექტები.

საქართველოს სსრ კანონთა წიგნი შედგება როგორც ოფიციალურ წყაროებში გამოქვეყნებული, ასევე გამოუქვეყნებელი აქტებისაგან. ისინი განლაგებულია საგნობრივი ნიშნის მიხედვით დამტკიცებული სქემის შესაბამისად და დაყოფილია თავებად, უფრო წვირლ სტრუქტურულ ქვედანაყოფებად.

საქართველოს სსრ კანონთა წიგნში მანალები განლაგებულია ისეთი სისტემით, რაც უზრუნველყოფს თემის თანმიმდევრულ განვითარებას, ცალკეა გამოყოფილი კოდექსების და კანონმდებლობის სხვა ფუძემდებელი აქტები.

საქართველოს სსრ კანონთა წიგნი შედგენილია ისეთი ფორმით, რომ კანონმდებლობის შემდგომი ცვლილებების შესაბამისად შესაძლებელია იგი სისტემატურად შეივსოს ახალი



აქტივობა. თითოეულ ტომს თან ერთვის შეტანილი აქტების ქრონოლოგიური ნუსხა, ანბანურ-საგნობრივი საძიებელი და სხვა საგნობრივი აპარატი, რაც უზრუნველყოფს მასალების სრულყოფილად გამოყენებას.

პირველი ტომი შედგება რვა თავისაგან, მასში შესული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები ეხება საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების, მოქალაქეობის, ეროვნულ-სახელმწიფო და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობილების, საარჩევნო სისტემის, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების, საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის, დროშის, ჰიმნის, აღმების და ვიპელების, სახელმწიფო ჯილდოების, კრემიების, უცხოეთის სახელმწიფოების დაწესებულებებთან და თანამდებობის პირებთან ურთიერთობის და რელიგიის საკითხებს.

მეორე და მესამე ტომებში მოთავსებულია სოციალური განვითარებისა და კულტურის, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების, სამოქალაქო, ქორწინების და ოჯახის, შრომის, სოციალური უზრუნველყოფის, საბინაო, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგის მარეგულირებელი აქტები.

მეოთხე ტომი, რომელიც ბუნების დაცვის და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების მომწესრიგებელ ნორმატიულ აქტებს დაეთმოს, შეიღი თავისაგან შედგება. აქ მითხველი გაცნობა მიწის, წიაღის, წყლის, ტყეების, ატმოსფერული ჰაერის, ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მათი ექსპლუატაციის იურიდიულ ნორმებს. ტომში შესულია „საქართველოს სსრ წითელი წიგნი“, სადაც აღწესულია საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გავრცელებული, იზვიათი და გადაშენების გზაზე მდგარი გარეული ცხოველების და მცენარეების სახეობანი.

მეხუთე ტომში სისტემატიზირებულია მდიდარი საკანონმდებლო მასალა „სახალხო მეურნეობის შესახებ“, ცხრა თავისაგან შედგება ან სახალხო მეურნეობის დაგეგმვის, მატერიალური და ტექნიკური მომარაგების, ფინანსების, კაპიტალური მშენებლობის, მრეწველობის, სოფლის, მეურნეობის დაშავების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, კომუნალური მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მომწესრიგებელი კანონმდებლობა.

მეექვსე და მეშვიდე ტომებში დასტამებულია საკანონმდებლო აქტები მართლმსაჯულება-

სა და მართლწესრიგის დაცვის შესახებ. აღნიშნული ტომები შედგება 4 თავისაგან, რომლებიც მოიცავს საკითხებს სასამართლო წყობილების, იუსტიციის ორგანოების, ადვოკატურის, ნოტარიატის, სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის, სამოქალაქო სამართალწარმოების, არბიტრაჟის, შინაგან საქმეთა ორგანოების, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის, სისხლის სამართლის, სისხლის სამართალწარმოების, შრომა-გასწორების კანონმდებლობის საკითხებს.

მთლიანად საქართველოს სსრ / კანონთა წიგნის ყველა ტომში (7 ტომი) მოთავსებულია 741 საკანონმდებლო და ნორმატიული აქტი, 60-ზე მეტი ამონაკრები აქტიებიდან და აქტებზე მინიშნებები.

აღნიშნული ტომების გამოცემა დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ფართოდ მიმდინარეობს მუშაობა XIX საკვშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ახალი საკანონმდებლო აქტების შემუშავებისა და უნიფიცირებისათვის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე.

გარდაქმნამ და დემოკრატიზაციამ, იმ სიახლეებმა, რომლებმაც მთელი ჩვენი ქვეყანა მოიცვა, კიდევ უფრო გაზარდა ის დიდი პასუხისმგებლობა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს აღნიშნული პრობლემების გადაჭრას და შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწას.

სწორედ ამიტომ, საქართველოს სსრ კანონთა წიგნის გამოცემულ ტომებში შესული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენენ, მათი დანიშნულება სცილდება ვიწრო, პროფესიულ ფარგლებს და ისინი ერთნაირად საინტერესო ხდება, როგორც იურისტების, სპეციალისტების, სამეურნეო ხელმძღვანელების, ისე ფართო საზოგადოებრიობისათვის.

მომზადებულია და გამოცემილია „სამსახურთა საქართველო“ მალე გამოსცემს იმ ახალ საკანონმდებლო მასალას, რომლითაც ცვლილებები შევიდა „საქართველოს სსრ კანონთა წიგნის“ პირველ, მეორე და მესამე ტომებში. ამ წესით ახალი ნორმატიული აქტების მიწოდება უზრუნველყოფს გამოსული ტომების განახლებას, მათ მუდმივ მუშაობას ეფექტიანი გამოყენებისათვის.

პარალელურად გრძელდება მუშაობა „საქართველოს სსრ კანონთა წიგნის“ მომდევნო ტომების განახლებისათვის.

ელისო გურბანიძე,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კანონთა წიგნის მომზადების რედაქციის გამგე.



**სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს საბჭო**

ამიერიდან მილიციისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა ქვეგანყოფილების არცერთი მნიშვნელოვანი დებულება არ იქნება მიღებული, თუ არ მოიწონებს მას საზოგადოებრივი საბჭო. ამ წარმომადგენლობით სათათბირო ორგანოში, რომელიც პირველად შეიქმნა სამინისტროში, 111 კაცია. მათ შორის არიან მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა მინისტრები, მთელი რიგი სამხარეო, საოლქო, რაიონული და საქალაქო სამმართველოებისა და განყოფილებების ხელმძღვანელები, აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოების ყველა სამსახურის ოფიცრები და რიგითი თანამშრომლები. საბჭოს შემადგენლობაში არიან აგრეთვე მეცნიერები, მწერლები და ჟურნალისტები.

გაიმართა საბჭოს პირველი სხდომა, რომელზეც განიხილეს მნიშვნელოვანი დოკუმენტები — შინაგან საქმეთა ორგანოების გარდაქმნისა და სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების პირობებში მათი საქმიანობის ნორმატიული რეგულირების სრულყოფის კონცეფციის, საბჭოთა მილიციის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ სსრ კავშირის კანონის, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების პროექტები.

**ქრიდინალოს ცივის ისტორიიდან**

**ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები**

**ვან მუხარანი და ყალბი**

**ვარმუხარაბი**

**ჯონ უეზი**

„თქვენ ყველა ჩიჩკები ხართ“

როგორც ვხედავთ, მოვლენამ აბსურდული ხასიათი მიიღო. კოლბორაციონისტობასა და ერთნეული მხატვრული ღირებულებების გატაცების ბრალდებას უყენებენ კაცს, რომელმაც აინამდვილეში პოლანდიან დაუბრუნა 200 მხატვრული ნაწარმოების ორიგინალი... (როგორც ვეახსოვს, სწორედ ამ სახით გადაუხადა მას გერმანებმა „ქრისტე და მოდალატე ცოლისათვის“). მაგრამ ვიდრე მთელ სამყაროს სურათი „ნამ-

დვილ“ ვერმეერად მიაჩნია, ვან მეეგერენი კოლბორაციონისტად რჩება. ისტორია სიყალბისაკენ შემობრუნდა, რადგან ჭეშმარიტება ფალსიფიკატორს ეუფთვნის.


ის კი დამეინავ დუმილს განაგრძობს, ჩაიკეტა საკნის მყუდროებაში და უარს აცხადებს დამკითხველებთან ლაპარაკზე. გარდა ამისა, ნარკოტიკის (კერძოდ, მორფის) უქონლობა ხელს უშლის გარკვეული გალაყვებულების მიღებაში.

თვენახევარი იყო ასეთ სახიფათო ყოყმანში. გახანგრძლივებული დუმილი ბრალმდებლებს მისი დანაშაულის თავისებურ მტკიცებულება მიაჩნდათ.

და ბოლოს, 12 ივლისს ყოყმანის ბარიერი ირ-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1987 წლის №№ 2—6  
1986 წლის №№ 1—6, 1989 წლის № 1.





ღვევა და მოულოდნელად იფეთქა ლანძღვა-გინებაში არეული აღიარებების დაუოკებელმა ნაკადმა:

— ჩერჩეტებო! თქვენ ისეთივე ჩერჩეტები ხართ, როგორც ყველა დანარჩენი. მე არ გამოვიცდით არავითარი ეროვნული განძი! ის მე თვითონ დაეხატე!..

ამას მოჰყვა სხვა, იმდენად გასაოცარი აღიარებანი, რომ გამოძიებლები სრულიად დაიბნენ.

ისინი მას ნაცისტთა აგენტად მიიჩნევდნენ და უცებ მათ წინაშე წარსდგა თვითმარქვია ფალსიფიკატორი. ახლა უკვე მის მტკიცებათა შემოწმების პრობლემა დგება. ყველაფერი ერთმანეთში აირია: პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტისათვის საჭირო გახდა კვლევა ხელოვნების სფეროში.

ამას გარდა, ვან მეეგერენის უტიფარი განცხადებების მასშტაბები მისი ფსიქიკის ნორმალურობას ეჭვქვეშ აყენებს.

კოლაბორაციონისტი? ფალსიფიკატორი? პათოლოგიური ფანტაზიორი? იქნებ ამ ადამიანში თავს იყრის სამივე ეს თვისება? ვინ არის ის, ვან მეეგერენი?

**„მე ვარ სიცრუე, რომელიც მართალს ამბობს“**

იწევა ფალსიფიკატორის მტკიცებების შემოწმება. „ქრისტე ღა მოლაღატე ცოლის“ რენტგენოგრაფიულმა ანალოზმა დაადასტურა, რომ როგორც ვან მეეგერენი აღნიშნავდა, ამ რელიგიური ისუყეტის თავდაპირველი ტილო იყო ნადირობის სცენა. ეს მტკიცება ეჭვს იწვევს: ვან მეეგერენს შეეძლო თავის დროზე გაეგო ეს სურათის რენტგენოგრაფიით. მიუხედავად ამისა, ვერმეერს მაინც არ შეეძლო ნადირობის სცენაზე დაეხატა რელიგიური სცენა. ისიც უეჭველია, რომ სურათი იგივე ხელით არის შესრულებული, როგორც ვერმეერის სხვა ნაწარმოებები, რომელთა ავტორობის პრეტენზია აქვს ვან მეეგერენს. ბოლოსდაბოლოს, საეჭვო ხდება ყველა ამ ნახატის წარმოშობა.

მიუხედავად მხატვრის მიერ მიცემული ზუსტი ცნობებისა, პოლიცია და უშიშროების სამსახური თხოულობს დამატებით მტკიცებულებებს. მათ სურთ აბსოლუტურად დარწმუნდნენ იმაში, რომ ვან მეეგერენს აქვს XVII საუკუნის ოსტატების იმიტირების უნარი. ისინი სთხოვენ მას გააკეთოს „ქრისტე ემაუსში“ სურათის ასლი. სრულიად აშკარაა, რომ გაუთვითცნობიერებლები არიან ხელოვნებაში: ნებისმიერ გამოცდილ მხატვარს შეუძლია გააკეთოს სურათის ასლი. თვითონ ვან მეეგერენი მიუთითებს მათ ასეთი გამოცდის უაზრობაზე და სთავაზობს

სხვას: იმ პირობით, თუ მას შესაძლებლობას მისცემენ იმუშაოს თავის სახელოსნოში და პოლიციელები მოამარაგებენ საჭირო მასალებით (ასევე მორფით), იგი მათ თვალწინ შექმნის ახალ ვერმეერს ისეთივე რელიგიურ სტილში.

ივლისის დამლევს კიზერპრატზე თავის უზარმაზარ სახლში სახელმწიფო უშიშროების სამსახურის აგენტების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ვან მეეგერენი იწყებს თავის უკანასკნელ — მეთე-ვერმეერს. ეს არის „ტაძარი მოქალაქე ახალგაზრდა ქრისტე“. ეს ნაწარმოები (ზომები — 149×142 სმ.) ისეთივე ვერმეერულია, როგორც ყველა დანარჩენი. მაგრამ ტილოს შესაქმნელად საჭირო ორი თვე, რბილად რომ ვთქვათ, გადის არასასურველ პირობებში. მხატვარი გარემოცულია ეჭვით, პოლიციელები მის მიმართ ვერ იჩენენ ელემენტალურ გაგებას. სახელოსნოში გამეფებულია ზემოქმედების ატმოსფერო, მაგრამ ვან მეეგერენის მანიაკურ აღმოფენას შედეგი მაინც მოაქვს. ფალსიფიკატორი უბრუნდება მის თავდაპირველ პროექტს: საჭაროდ უჩვენებს საკუთარ ტალანტს.

მართლაც, მთელი პოლანდია ესწრება ამ სპექტაკლს. ივლისის დამლევებიდან პრესაში გაჩაღდა ხმაურიანი კამპანია. ყველა ვან მეეგერენის სენსაციურ საქმეზე ლაპარაკობს. ირგვლივ გაუთავებელი კამათია. იყო თუ არა იგი გერინგის თანამზრახველი? არა, ის გენოსია. არის თუ არა იგი „ქრისტე ემაუსში“ და სხვა „ვერმეერების“ ავტორი? ჰო, მაგრამ შეიძლება ეს ჩაითვალოს შემოქმედებად? იგი ფალსიფიკატორია. მაშინ ის თაღლითია? თუ მან გერინგის გატურება მოახერხა, — შეძლებს კი უშიშროების სამსახურის აგენტების დარწმუნებას?

ამასობაში გრძელდება ახალი „ვერმეერის“ შექმნა. დაძაბული მოლოდინი თავისებურ იერს ატარებდა. ფალსიფიკატორი შეუნიღბავად მოქმედებს. ერთ-ერთ გახეთში დაბეჭდა სტატია სათაურით: „იგი ხატავს საკუთარი სიცოცხლისათვის“.

**მბიძეაგულაბა — სახელმწიფოს აუწყარებლოვა**

ხელისუფლებისათვის ამ საქმის ყველაზე უსიამოვნო მხარე სწორედ ის უბრალო ფაქტია, რომ ვან მეეგერენი მსხვილი ან წვრილი კოლაბორაციონისტი კი არ არის, არამედ გამოჩენილი ფალსიფიკატორია. ახლა საქმე გაცილებით რთულია, რადგან იურიდიულად მისი დანაშაულის დამტკიცება ძნელია, რამდენადაც საკუთარი თავი თვითონვე გასცა და არც მისი ნაყალბევის მყიდველები არიან შემთხვევითი ადამიანები. გარდა ამისა, ამ საქმეში გარეულია სახელმწიფოც: გადასახდელ-



თა გადამხდელებმა შეიტყვეს, რომ ომის დროს, ისინი აფინანსებდნენ, რბილად რომ ვთქვათ, ძვირადღირებული ნაყალბების შესყიდვას. სწორედ ამით აიხსნება ამ საქმეში ზოგიერთი პიროვნების საკმაოდ უცნაური ქცევა... სამინისტროს მუშაკები, ხელოვნების სფეროსა და სურათებით ვაჭრობის ექსპერტები და სახელმძღვანელო სპეციალისტები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მთავრობას სულაც არ უყვარს ისეთი სკანდალები, მას რომ ეხება. აუცილებელია დროის მოგება. 1945 წლის სექტემბერში ვან მევეგერენი ამთავრებს სურათის „მკაბრში მოქალაქე ახალგაზრდა ქრისტე“. მაგრამ გამომძიებლები მეტიმეტ გულმოდგინებას იჩენენ და თხოულობენ სულ ახალ-ახალ განმარტებებსა და მტკიცებულებებს... ვან მევეგერენის საქმის პროცესის დაწყებას აშკარად არ ჩქარობენ.

1946 წლის 11 ივნისს, ბოლოსდაბოლოს, იუსტიციის სამინისტროს ბრძანებით შეიქმნა გამოძიების სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან ექსპერტები, ხელოვნების ისტორიკოსები და ქიმიკოსები. უკანასკნელი „ვერმეერის“ დამთავრებიდან ცხრა თვე გავიდა, მაგრამ ამ საქმის მიმართ საზოგადოებრიობის ინტერესი არ შესუსტებულა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე კრიტიკოსები და ხელოვნებათმცოდნენი ყოველმხრივ ცდილობდნენ, როგორც იტყვიან, გაეზუნდოვანებინათ ვითარება. ურთიერთ საწინააღმდეგო მოსაზრებებით გაჭერებული დისკუსიებით თავშერცხვენილი ღირსეული მოქალაქენი ცდილობენ დაიფიქსონ თავიანთი მარცხი. მაგალითად, დეკუნი ამტკიცებდა (იგი დღემდე ამასვე ამტკიცებს), რომ „ქრისტე ემაუსში“ და „საიდუმლო სერობა“ მართლაც ვერმეერის ფუნჯს ეკუთვნისო. მაგრამ ვან მევეგერენი საკუთარი მოლოდინის გაცრეფებას არ დაუშვებს და თვითონვე აქეზებს კორემანსის კომისიას (თავმჯდომარის სახელის მიხედვით იწოდებოდა), რათა აქტიურად ემოქმედა.

აქ ვან მევეგერენი წარმოჩნდა სწორედ ისეთად, როგორც სინამდვილეში იყო: ცოცხალ პარადოქსად. ფალსიფიკატორმა აღიარა, რომ იგი ფალსიფიკატორია და სურს მისი მტკიცებულებანი იქცეს მისივე გენიის დამადასტურებლად. იგი კორემანსს ყოველმხრივ ხელს უწყობს მუშაობაში და თავისი ტექნიკის უმცირეს წვრილმანსაც კი უხსნის. ეხმარება ქიმიკოსებს იმ ნივთიერებების შემჩნევაში, რომლებსაც იყენებდა და რომელთა კვალის ძებნა არასოდეს არავის აზრადაც არ მოუვიდოდა. იგი რენტგენოლოგებსაც ხელმძღვანელობს, ზუსტად აღწერს ყოველივე იმას, რაც ადრე იყო

გამოსახული ტილოებზე და თავდაპირველი გამოსახულების თუ რა კვალი შეიძლება კიდევ გამოჩნდეს რენტგენოგრაფიის დროს. მაგალითად, მან წინასწარ გააკეთა ზუსტი მონახაზი იმისა, — რაც დარჩა „ლაზარეს აღდგომაზე“, რომელსაც ზემოდან „ქრისტე ემაუსში“ დაახტა. რენტგენოლოგებმა ეს ფაქტ დაადასტურეს. კომისიის სპეციალისტებს და კერძოდ, კორემანსს, რომელიც მეტად სერიოზულად მიუღდა საქმეს და შრომობდა სოლიდური დოსიეს შედგენისათვის, საბოლოოდ დააწმენდეს და კორემანსიც პოლიციას აგზავნის ნიცაში, სადაც მევეგერენის ვილაში აღმოაჩენენ მრავალ ნივთიერ მტკიცებულებას.

ასე თანდათანობით დადასტურდა ფალსიფიკატორის სიმარჯულე მტკიცებულებანი სახეზეა. პროცესის კიდევ გადადება უკვე აღარ შეიძლება.

### აკოთიოვი

1947 წლის 29 ოქტომბერს დილით ადრე ამსტერდამის საქალაქო სასამართლოს მეოთხე პალატის კარებთან უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. აქვე გამოსწიეს მთელი მსოფლიოა ეუწინაღობა (საფრანგეთიდან, ინგლისიდან, შვეიცარიიდან, შტატებიდან, იტალიიდან. ვან მევეგერენის დიეზამ საყოველთაო ცნობისმოყვარეობა წარმოშვა.

უნიკალური პროცესი: ბრალდებული გამოდის საკუთარი თავის მტკიცე ბრალდებლად, რაც ართულებს განაჩენის გამოტანას. ვის ასამართლებენ? ფალსიფიკატორს თუ მთელს ფერწერის მისტიფიციერებულ ბაზარს?

ძალიანაც არ უნდოდათ, მაგრამ შეუძლებელი იყო სასამართლოში რომ არ გამოეძახებინათ უცოდველი და ამავე დროს მარცხანცდელი სპეციალისტები, პატიოსანი და ამასთანავე შერცხვენილი სურათებით მოვადკარენი, საქმიანი, მაგრამ საეჭვო შუამავლები, უმწიკლო, მაგრამ მფლანგველი მსხვილი სახელმწიფო ჩინოვნიკები. სასამართლოზე კანონიერი, მაგრამ მეტიმეტად ნაჩქარევი საშუალებებით ცდილობდნენ ვითარების შემსუბუქებას. მათ შეკითხვებს კი აძლევენ, მაგრამ არა არსებობს. ისინიც იძლევიან ჩვენებებს, მაგრამ საქმის არსს არ ეხებოან. პროცესზე 17 მოწმე გამოვიდა, რომელთა მოსმენასაც სულ რაღაც ორი საათი დასჭირდა, ესე იგი თითოეულისათვის საშუალოდ შვიდი წუთი საქმარისი აღმოჩნდა, რათა თავი აერიდებინა აღიარებისათვის. მაშინ, როცა ყოველივე ეს ხანგრძლივ მოხსენებებს მოითხოვდა. ამიტომ იყო, რომ ასეთი პროცესი, რომელიც ჩვეულებრივ ვითარებაში რამდენიმე კვირას გაგრძელდებოდა. ერთ დღე-



ში ჩატარდა, უფრო სწორად, ხუთნახევარ საათში.

იმ დღით ვან მეგერენი ჩვეულებრივზე უკეთ გრძნობდა თავს. უკანასკნელ ხანებში მისი ჯანმრთელობა საგრძნობლად უარესდებოდა, მაგრამ იმ დღეს იგი გამოიყურებოდა 58 წლის სრულიად მხნე ადამიანად. შევერცხლილი სფოთლებით, ქედმაღლური გამომეტყველებით, მორფის ბოროტად გამოყენებით ოდნავ წაწვეტებული სახის ნაკეთებით, საგულდაგულოდ და მეტად ელეგანტურად ჩაცმული — ყველაფერი ეს თვითდაჭერებულობის იერს ანიჭებდა. აი, ასე მიემართებოდა ფალსიფიკატორი სასამართლოსაკენ. საკუთარი სახლიდან გამოდის და უამრავი ხალხით გარშემორტყმული ფეხით გაუყვება გზას. აქ არიან ყურნალისტები, ფოტოგრაფები და მისადმი სიმპათიით აღვსილი უბრალო ცნობისმოყვარენი. მიდის იგი და მისი ცხოვრების უკანასკნელი თხუთმეტი წელიწადის — ნაყალბეებზე მუშაობა, იატაკქვეშა ძიებანი — სიმძიმეს ვეღარ გრძნობს. იგი გმირია და ამას კი აღარ მოელოდა.

სასამართლოს მეოთხე პალატის დარბაზი მართლაც რომ ვან მეგერენის მუზეუმს ჰგავს. თავის დროზე გაყიდულ მხატვრის ნაყალბეეთა ექსპოზიციის შუაში თავმჯდომარის სავარძელში წამოკიმულა სასამართლოს თავმჯდომარე ვ. გ. ა. ბოლი; უადგილობის გამო „საიდუმლო სერობა“ დედოფლის პორტრეტსაც კი მიაკიდებს. მთელი კედლები დაფარულია მისი ნახატებით. აქვეა ეკრანიც, რომელზედაც რენტგენოგრაფიის შედეგების ამსახველი დიაპოზიტების ჩვენება მოხდება.

ვან მეგერენი აუტრატულად იხედება აქეთ-იქით, ჯდება, ისევ ჯდება, იხსნის და ისევ იკეთებს სათვალეს, ხელს უქნევს თავის ახლობლებს. თითოეული ქესტი შემოწმებული აქვს. შესანიშნავი აქტიორია, აშკარა კმაყოფილებით ტკებდა თავისი ნაწარმოებების კრებულის ხილვით. მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, როცა ზუსტად 10 საათზე დაიკავა თავისი ადგილი სამართალში მიცემულთა სკამზე.

— ბრალდებულო, აღიარებთ ფაქტებს?

— ვაღიარებ.

— მაშინ მოვესმინოთ სპეციალისტთა ჩვენებებს, — აცხადებს მოსამართლე.

— კორემანის კომისიის მთელი შემადგენლობა ფიცს დებს. შეიკოხვები კომისიას:

— საქმეში ფიგურირებული ყველა სურათი ახლახანს შექმნილია და არა XVII საუკუნეში? თუ ეს ასეა, არის თუ არა ვან მეგერენი მათი ავტორი?

შვიდი, სპეციალისტი დადებითად პასუხობს. რენტგენოგრაფიათა დიაპოზიტების დემონსტრირების შემდეგ დოქტორი კორემანსი იძლევა ნახევარსაათიან მოკლე განმარტებებს. იგი ადასტურებს. რომ... ფალსიფიკატორის ყველა მტკიცებულება აბსოლუტურად სწორია. კრაველიურები (ასევე ჩინური ტუმის მტვერი), ფარწერული ფენები, ფენოლფორმალდეჰიდის არსებობა, „ქრისტე ემაუსში“ სურათის დამოკლებული ქვეჩარჩო (ორიგინალის მოხერხილი ნაკერი, რომელიც პოლიციამ ნიცაში აღმოაჩინა) — არაფერი არ გამორჩენიათ. მაგრამ ყველაფერი წარმოადგინეს ზესწრაფული მეთოდებით: პროცესი არ უნდა გაკიანურებულიყო, ამასთან, კორემანსს (უცნაური დამთხვევაა) თვითმფრინავზე ავციანდება. 11 საათზე სასამართლოს დარბაზს ტოვებს და ნიუ-იორკს მიემგზავრება. მისი გამოსვლა სასამართლოზე წმინდა ტექნიკურ ხასიათს ატარებდა და ბევრიც არ ულაპარაკია.

თვით ვან მეგერენი მისი ფალსიფიკატორობის დამადასტურებელ ამ დემონსტრირების თაობაზე შემდეგ დასკვნას აკეთებს:

— ჩემი აზრით, ჩატარებულია ბრწყინვალე სამუშაო, შეიძლება ითქვას, ღირსშესანიშნავიც კი. ამიერიდან ნაყალბევის ორიგინალად გამოცხადება ისე იოლი აღარ იქნება, როგორც ეს აქამდე იყო. ჩემი აზრით, ასეთი სამუშაო გაცილებით მეტ ოსტატობას მოითხოვს, ვიდრე... ვთქვათ. „ქრისტე ემაუსში“ დახატვა.

**ნაყალბევის ორიგინალად, ხოლო უმოდვა ამ ორიგინალის ნაყალბევად აღიარება**

**უდიდესი ხელოვნების 830 წუთი**

— თქვენ ჰენრიკუს ანტონიუს ვან მეგერენი ბრძანდებით?

ვან მეგერენი ხალისით თანხმდება. შემდეგ პროკურორმა ჰ. ა. ფასელბერგმა ჩაიკითხა საბრალდებო აქტი: ორი ძირითადი ბრალდება ასეთია: თაღლითური გზით მიღებული შემოსავალი; ყალბი ხელმოწერა „ზოგიერთ ნახატზე მათი სხვის ნაწარმოებებად გასაღების მიზნით“.

მოწმის ადგილს დე ვილდი იკავებს. ეს ის სპეციალისტია, რომელმაც ნიდერლანდის მთავრობას რეკომენდაცია გაუწია, რათა შეესყიდა „ფენობანა“. ამავე დროს იგი კორემანსის კომისიის ერთ-ერთი წევრია, რომელსაც დავალებული აქვს ფალსიფიკატორობის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვება. ამ ადამიანის ჩვენებები აუცილებელია ყველა თვალსაზრისით, რადგან სწორედ მან და-



ადგინა სურათის ორიგინალობა და შემდეგ სწორედ მასვე მოუწია იმის მტკიცება, რომ სურათი ნაყალბეგია. მან განაცხადა:

— მოგვიანებით შევქელი „ფხვთბანის“ რადიოგრაფიული ანალიზის გაკეთება, რამაც მაძიულა აზრის შეცვლა.

აღსანიშნავია, რომ ეს მისი „მოგვიანებით“ მეტად ბუნდოვანია. სინამდვილეში კი თვითვენ მეეგერენის დაქინებითა და შესაბამისი მითითებების შემდეგ ჩატარდა მისი ნახატების რადიოგრაფია. რაც შეეხება დე ვილდს, მას არ შეეშინდა იმისა, რომ სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა და თავს იქებდა ხელოვნებაში საკუთარი ცოდნითა და დამსახურებებით:

— მთელი ეს შემოწმებები ჩემთვის მეტად იოლი იყო. მალე დავრწმუნდი, რომ ბრალდებულს ნასესხები ჰქონდა ვერმეერისა და დე ჰოხის მეთოდების შესახებ ჩემი ტრაქტატის ფორმულა თითქმის ყველა იმ საღებავის შემადგენლობაზე, რომლებსაც იგი ამზადებდა ძველბურთი მეთოდით. ზოგიერთი უცხო მინარევიც კი (შემთხვევითი ჭუჭყი), რომლებიც მე შევნიშნე ვერმეერის ფერწერაში, აღმოჩნდა ვან მეეგერენის ფერწერაშიც.

ამ წარუმატებელ ტრაბახს თან სდევდა სიცილი და რბაზში.

შემდეგ რიგრიგობით გამოდიან კომისიის სხვა წევრებიც. ყველა ადასტურებს კორემანისის დასკვნებს. სტრაიბისმა განაცხადა, რომ იგი მეტად ეფექტური, მაგრამ აშკარად უცოდინარი შეუძავალი იყო „აბსოლუტურად არ ახსოვს გარიგების თანხები, რამდენადაც არ შეუნახავს არავითარი დოკუმენტი“. ამის შემდეგ ჩვენებს იძლევა ჰოპენდაიკი, პოლანდიაში ყველაზე მსხვილი სურათებით მოვაჭრე: მოსამართლე მოწიწებით სთხოვს თავისი ნება-სურვილის მიხედვით ილაპარაკოს ფაქტებზე და არც ერთი საჩოთირო კითხვაც კი არ მიუცია მისთვის.

— ხაფანგში აღმოჩნდი, როგორც კი „მსხნელი“ დავინახე, მაშინვე გავიფიქრე სურათის „ქრისტე ემაუსში“ შესახებ.

ხელოვნების ისტორიკოსები ამტკიცებდნენ, რომ შეუძლებელია, „ქრისტე ემაუსში“ იყოს ამ სახის ერთადერთი ნაწარმოები და რომ უნდა არსებობდეს სხვა ქმნილებებიც. „მსხნელი“ ვან ბენინგს მივიყიდე. ეს იყო 1941 წელს როტერდამში...

პირველი შეხედვისთანავე მომეჩვენა, რომ ეს იყო არაჩვეულებრივი სურათი. ჩვეულებრივ, პირველი შთაბეჭდილება არ მალატობს ხოლმე. ამ შემთხვევაშიც თავი ვერ დავაღწიე ისეთ შთაბეჭდილებას, რაც ჩემში გამოიწვია თავის დროზე „ქრისტე ემაუსში“ ხილვამ. ახლა

შეიძლება ეს გაუგებრად მოგვეჩვენოს, მაგრამ, როგორც იცით, მაშინ ყველა ისეთი გარიგება საიდუმლოდ ხორციელდებოდა. „საიდუმლო სერობის“ შემდეგ კიდევ ორი სურათი გავყიდე, მათ შორის ისეთი უცნაური, როგორც არის „ისააკი აკურთხებს იაკობს“.

— როგორ ხსნი იმ ფაქტს, რომ თქვენ ირწმუნეთ ეს სურათი? — გკითხება სასამართლოს თავმჯდომარე.

— ძნელია ამის ახსნა. ახლა მეც არ ვიცი, როგორ შევედი. მაგრამ მაშინ ყველა ერთ დაქანებულ სიბრტყეზე მიცურავდით: „ქრისტე ემაუსიდან“ „საიდუმლო სერობამდე“, „საიდუმლო სერობიდან“ „ისააკი აკურთხებს იაკობამდე“, როცა დღეს ამ სურათებს ვუყუარებ, არ მესმის, ეს როგორ უნდა მომხდარიყო. შეიძლება ეს ფსიქოლოგმა უკეთ ახსნას, ვიდრე მე. მაგრამ საომარი დროის ვითარება მნიშვნელოვანდ უწყობდა ხელს ჩვენს დაბრმავებას. არ უნდა დავგვიწყდეს, რომ „ქრისტე ემაუსში“ მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტების მიერ აღიარებული იყო ორიგინალურ ნაწარმოებად. ყველა მომდევნო ნაყალბევი მას მიჰყავდა როგორც ჯაჭვების რგოლები, იმიტომაც ასე ადვილად გაიყიდა ყველა. ამას გარდა, თავისი როლი შეასრულა სურათების პოლანდიაში დატოვების სურვილმაც.

### რეპანდის კომპლექსი


ჰოპენდაიკის ამ ჩვენების შემდეგ სასამართლოს დილის სხდომა დამთავრდა ფსიქიატრ ვან დერ ჰორსტის დასკვნის მოსმენით:

— ბრალდებულის ხასიათიდან გამომდინარე, იგი განსაკუთრებული მგრძობიარეა კრიტიკის მიმართ. სწორედ ამ მგრძობიარობით, რომელიც რევენსის კომპლექსით კიდევ უფრო გაუმწვავდა, აიხსნება მისი ანტისაზოგადოებრივი ქცევა. მე ვიტყვოდი, რომ მისი ფსიქიკა გაუწონასწორებელია, მაგრამ იგი მთელი სისრულით ერკვევა თავის საქციელში. ასეთი ნატურის მქონე ადამიანისათვის იზოლაცია შეიძლება დამლუბველიც კი აღმოჩნდეს. მე არ გირჩევდით ციხეში მის გამოაწვევას.

შუალდის შემდეგ სასამართლო სხდომა საათზე ნაკლებ ხანს გაგრძელდა. მოუსმინეს შვიდ მოწმეს, რომლებიც მოტყუებულ ადამიანებს ამართლებდნენ თავიანთი გულუბრყვილობით. მაგრამ ერთმა ინციდენტმა გამოცოცხლება შეიტანა სხდომის მსვლელობაში. დოქტორი ვან ჰელდერი, რომელიც შუამავლობდა სახელმწიფოს შიერ სურათის „ფხვთბანა“ შესყიდვის დროს, პრეტენზიას აცხადებს წინასწარამჭვრეტელის როლზე:

— არ ვიცი რატომ, მაგრამ წინათგრძნობა





მკარანახობდა, რომ ეს სურათები ბრალდებულის ქმნილებანი იყო... ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ვან მეეგერენი არტულ პატიოსანი ადამიანია.

სამართალში მიცემულის სკამიდან ვან მეეგერენმა დამცინავად შეავლო მას თვალი:

— აი, თურმე რა, წინათგრძნობა გქონდათ ხომ?

— დიახ, — უპასუხებს ვან პელდერი, — დღეს დადასტურდა, რომ მე სრულიად მართალი ვიყავი. (სიცილი დარბაზში).

— ჰოდა, როდის გაგიჩნდათ ეს წინათგრძნობა? — არ ეშვება მხატვარი.

— 1942 წელს.

— ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს ყურადღება მინდა მივაქციო იმ ფაქტს, რომ მაშინ სურათი „ფეხთბანა“ გასაყიდად ჩერ კიდევ არ იყო წარდგენილი. იგი, უბრალოდ, ჩერ არ არსებობდა. და მაინც, მიუხედავად თქვენი ბედნიერი წინათგრძნობისა, იგი ერთი წლის შემდეგ უყოყმანოდ მიიჩნის ვერმეერის ორიგინალად?

მოწმეთა ჩვენებების მოსმენა დამთავრდა. სასამართლოს თავმჯდომარე ბოლი მიმართავს ბრალდებულს:

— კვლავინდებურად აღიარებთ, რომ ყველა ეს ნაყალბევი თქვენი დახატულია?

— დიახ.

— და რომ თქვენ გაყიდეთ ისინი მეტად მაღალ ფასებში?

— არჩევანი არ მქონია. მცირე ფასებში რომ გამეყიდა, მაშინ დაეჭვდებოდნენ, რომ ნაყალბეგია...

— „ქრისტე ემაუსში“ დახატვის შემდეგ რატომ გააგრძელეთ ეს საქმე?

— მიმაჩნდა, რომ ეს მეთოდი მეტად კარგია. ამ საქმის გაგრძელება უმთავრესად იმიტომ კი არ გადავწყვიტე, რომ ნაყალბევი შეემქმნა, არამედ იმიტომ, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მიმელო ჩემს მიერ გამოგონილი წმინდა ტექნიკური მეთოდებისაგან. მინდოდა კვლავაც გამოვეყენებინა ეს ტექნიკა. იგი, უბრალოდ, დიდებული რამ არის.

**რა არის ანთიმტიკური აზრი?**

დაუყოვნებლივ დაიწყეს, პროკურორის საბრალდებო სიტყვის მოსმენა. ამასთან, ეს შეუძლებელი იყო, რომ სასამართლოს შემწყნარებლობა არ გამოეჩინა ბრალდებულის მიმართ, რომელმაც საყოველთაო სიმპათია გამოიწვია. ვან მეეგერენის მისამართით პროკუ-

რორის მიერ წარმოთქმული რამდენიმე შეკითხვა ფრაზა თვით ბრალდებულის სასიკეთოდ შემობრუნდა და ფაქტობრივად მისი ტალანტის გაქანების აღიარებას ნიშნავდა.

— შეირყა ხელოვნების მთელი სამყარო, — ამბობს პროკურორი, და ეჭვს ქვეშ დადგო თვით ესთეტიკური აზრის მნიშვნელობა.

პროკურორი აკეთებს შემდეგ დასკვნას:

— ასეთი შემთხვევისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელია ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა. მაგრამ, ვითვალისწინებთ რა ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობას, მის გამწვავებულ აღქმის უნარიანობას, ფსიქიატრის დასკვნასა და ზოგიერთ სხვა შემამსუბუქებელ გარემოებას, სასამართლოს ვთხოვ გათვალისწინებული მაქსიმალური ვადა გაუნახვევქოს.

ასეთი საბრალდებო დასკვნის შემდეგ, რომელშიც გამოძვლავდა ესოდენ დიდი მიმტევებლობა, ადვოკატ პელდრინგის გამოსვლა აუცილებელი აღარც კი იყო. მან სასამართლოს მხოლოდ „შესაძლო მაქსიმალური შეწყალება“ სთხოვა.

სასამართლოს თავმჯდომარე ბრალდებულს ეკითხება, რამეს ხომ არ დაუმატებდითო. ვან მეეგერენი მეტად მშვიდად უარყოფითად პასუხობს. სხდომა დასრულდა, სასამართლო მისი საათბიროდ.

**მეტად დაზვიანებულია**


1947 წლის 12 ნოემბერს ცხადდება სასამართლო განაჩენი: ჰან ვან მეეგერენს განუსაზღვრეს მინიმალური სასჯელი — ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა. მისი ნაყალბევი არ გაუნადგურებიათ და დაუბრუნეს მფლობელებს.

1947 წლის 26 ნოემბერს ჰან ვან მეეგერენი წვება ვალერიუმის კლინიკაში. მანამდე მან ხელი მოაწერა შეწყალების თაობაზე დედოფლის სახელზე გაგზავნილ თხოვნას. პროკურორი არაოფიციალურად აუწყებს მხატვრის ადვოკატს, რომ თხოვნას დააკმაყოფილებენ.

1947 წლის 30 დეკემბერს ჰან ვან მეეგერენი გარდაიცვალა გულის შეტევით. დეკემბერშივე ჩატარებულმა საზოგადოებრივმა გამოკითხვამ დაადასტურა, რომ იმ დროისათვის იგი იყო ქვეყნის ყველაზე პოპულარული ადამიანი. ერთნი ხმაურს ურთავდნენ კვარტეტებში, სხვები სურათებისა და სკულპტურებისათვის იყენებდნენ ქვიშასა და ქვებს, ვან მეეგერენმა კი ფერწერის ბაზარის შიგ შეუაგულში აამუშავა ჯოჯოხეთის მანქანა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).





**«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»).** № 2, 1980 (на грузинском языке). Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Министерства внутренних дел ГССР, Прокуратуры ГССР Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49, 95-58-87. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



629/66



ფასი 60 კპპ

---

ინდექსი 7618

